# განსაკუთრებული გაუშვეს... ჩელსიში?

# დავიჯეროთ? ბეილი ტოტენჰემში დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
21 მაისი სამშაბათი 2013
№117 (14 033) ფასი 80 თეთრი



მადრიდის „რეალის" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო ამ სეზონის შემდეგ დატოვებს თავის პოსტს. გუშინ, ამის შესახებ სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა „სამეფო კლუბის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა.

პერესის თქმით, კლუბი და მწვრთნელი შეთანხმდნენ იმაზე, რომ „ახლა დადგა სწორი მომენტი ურთიერთობის დასასრულებლად". მოურინიოსთან კონტრაქტის (2016 წლის ზაფხულამდე იყო ძალაში) ვადაზე ადრე გაწყვეტის ფინანსური დეტალები უცნობი დარჩა.

პერესმა ისიც განაცხადა, რომ ამ მომენტისთვის „რეალს" არ აქვს რომელიმე სხვა სპეციალისტთან წინასწარი შეთანხმება. „ჩვენ ამ პროცესს უახლოეს დღეებში დავიწყებთ", - განაცხადა „რეალის" პრეზიდენტმა.

მიმდინარე სეზონში, მადრიდულმა კლუბმა ვერც ერთი ტურნირი ვერ მოიგო, რომელშიც მონაწილეობას იღებდა. ესპანეთის ჩემპიონატში „რეალი" „ბარსელონას" ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა, ჩემპიონთა ლიგაზე ნახევარფინალიდან გამოეთიშა ბრძოლას, როცა „დორტმუნდთან" დამარცხდა, ესპანეთის თასის ფინალი კი მადრიდის „ატლეტიკოს" დაუთმო.

თითქმის არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ მომავალი სეზონისთვის ჟოზე მოურინიო „ჩელსიში" დაბრუნდება.

# შეხვედრა ნიჭიერთან

ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი ევროპაში უფრო გაიზრდება

შეცდომა იყო სიტის უარი რომ ვერ ვუთხარი

მეინ როუდი დაანგრიეს, მაგრამ მანჩესტერში ჩასვლა მაინც მიყვარს

ჩემი აზრით, ფინალს ბაიერნი მოიგებს



2-3,16

გიორგი ქინქლაძე (ბურთით) მანჩესტერულ დერბიში ნიკი ბატსა (მარცხნივ) და დევიდ ბექჰემს შორის



უელსელი ნახევარმცველი გარეტ ბეილი „ტოტენჰემში" გააგრძელებს კარიერას. როგორც გაზეთი London Evening Standard წერს, ბეილმა ლონდონურ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა და ახლა, კვირაში 130 ათას ფუნტს მიიღებს. უახლოეს პერიოდში, „ტოტენჰემის" ხელმძღვანელობა ამის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადებს.

ბევრი დიდი კლუბის მხრიდან სერიოზული დაინტერესების მიუხედავად, ლონდონელებმა შეძლეს უელსელის შენარჩუნება პირადი კონტრაქტის პირობების გაუმჯობესების ხარჯზე. ამასთან, ახალ კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც ბეილს შეეძლება მომავალ ზაფხულს გუნდის შეცვლა, თუ მასში 50 მილიონ ფუნტს გადაიხდიან.

## ფინალი დაიწყო

ოლიმპი 71

შსს 79



12

## ტრავმაზე, ნაკრებზე, ატლანტაზე, თორნიკეზე...

ზაზა ფაჩულიას პრესკონფერენცია



12

## სად არის დაპირებული ჩელსი?

ვლადიკავკაზური სკანდალის დეტალები

2



გიორგი ჭანტურია (მარჯვნივ)



● ლეგიონერი. სკანდალის გამოხმაურება



გიორგი ჭანტურია

# რუსი კომენტატორი: ქართველი უნახავივით მოიქცა!

## გიორგი ჭანტურია ვიტესზე: სად არის დაპირებული ჩელსი?

რუსეთის ჩემპიონატის 29-ე ტურში „ალანიამ“ ვლადიკავკაზში მოსკოვის „დინამოს“ 1:0 მოუგო და მეტოქეს 14-მატჩიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინა. როგორც იცით, ვლადიკავკაზის გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა, მოსკოველებს კი საპრიზო ადგილზე გასვლისა და ევროსაგზურის მოპოვების შანსი აქვთ. თუმცა, ამ მატჩის ცქერისას ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, რომ გუნდებს საპირისპირო პოზიციები ეკავათ.

ამ შეხვედრის პერიპეტიები უკვე ცნობილია: "ალანიას" ძირითადში ითამაშა **გიორგი ჭანტურიამ**. 82-ე წუთზე, როდესაც "ალანია" 1:0-ს იგებდა, მოსკოველმა **ალექსანდრ კოკორინმა** ვლადიკავკაზელი **დანიელ ნეკო** უკნიდან უხეშად მოცელა, რის შემდეგ მოედანზე გაწევ-გამოწევა დაიწყო. მასპინძლები უკმაყოფილონი იყვნენ მოსკოველთა გაუთავებელი უხეშობით, რაზეც მთავარი არბიტრი **სერგეი ივანოვი** თვალს ხუჭავდა. თანაგუნდელის მიმართ უხეშობამ განსაკუთრებით ჭანტურია ალაშფოთა და კოკორინმა მას სახეში ხელი ჩაარტყა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი ტკივილისგან ჩაიკეცა, თუმცა ვალში არ დარჩენილა - მოწინააღმდეგეს კეფაში უთავაზა და მერე შეაფურთხა.

ამის შემდეგ, ივანოვმა ალექსანდრ კოკორინი, გიორგი ჭანტურია და კიდევ ორი ფეხბურთელი (დანიელ ნეკო – "ალანია", ბალაშ ჯუჯაკი – "დინამო") მოედნიდან გააძევა.

### კომენტატორის ემოციები

ფაქტია, რომ ჭანტურიამ ემოციები ვერ მოთოკა და არბიტრს თავი გააგდებინა – მის საქციელს ვერ გავამართლებთ და თავადაც აღიარა, რომ შეცდა. საერთოდ, გიორგი ემოციურობით გამოირჩევა და ამის გამო ბევრჯერ დასჯილა.

მაგრამ ქართველის საქციელის კომენტირებისას, მატჩის კომენტატორსაც ზედმეტი მოუვიდა: *"ესაა ჯენტლმენური საქციელი?! კოკორინი ვერ ხედავდა, როდესაც ჭანტურიამ უკნიდან ვერაგულად დაარტყა. ამის ცქერაც კი ამაზრზენია. საინტერესოა, რას გადაწყვეტს მთავარი არბიტრი? კოკორინმა სახეში გაარტყა და წითელს იმსახურებს. ჭანტურიამ კი ვერაგულად, უკნიდან დაარტყა და შეაფურთხა. ისიც წითელი ბარათის ღირსია!.. ქართველი უნახავივით მოიქცა! საკითხავიც არ არის, ის მოედნიდან გასაგდებია, წადი და დაისვენე, აი, ასე!"*

ბობოქარი კომენტატორი "უდისციპლინო" კავკასიელებსაც გადაწვდა: *"საიდან გაჩნდნენ მოედანზე სამოქალაქო პირები, ტემპერამენტიანი კავკასიელი ბიჭები? სად არის სპეცნაზი, მილიცია, წესრიგს ვინ იცავს?"*

შესაძლოა, ვცდებით, მაგრამ კომენტატორის ტონმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს გიორგიზე კი არა, ქართველებზე ამოანთხია ბოღმა. თუმცა, ჭანტურიამ და კოკორინმა გაძევებამდე შერიგება და ერთმანეთთან მობოდიშებაც მოასწრეს.

### დანაშაული და სასჯელი

საწყენი კი ისაა, რომ სკანდალმა გიორგის კარგი თამაში გადაფარა: 20 წლის ქართველმა შექმნა საგოლე მომენტები, ორჯერ კარში სახიფათოდ დაარტყა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ტრიბუნებიდან ამჯერადაც სკანდირებდნენ - "ჭანტურია, ჭანტურია!" თავად კომენტატორიც ამბობდა, რომ ქართველი პირველ ტაიმში "ბრწყინვალე იყო".

მატჩის დროს განვითარებული მოვლენები გაზეთ "იზვესტიასთან" "ალანიას" პრეზიდენტმა **ვალერი გაზაევმა** შეაფასა: *"დაპირისპირება მსაჯის პროვოცირებულია, რადგან მოსკოველთა უხეშობა დროულად ვერ აღკვეთა... რაც შეეხება ჭანტურიას, მეტოქეს თუ მართლა შეაფურთხა, შესაბამისი სასჯელიც ეკუთვნის".*

რუსეთის საფეხბურთო კავშირის ინსპექტორთა კომიტეტის ხელმძღვანელმა **ალექსეი სპირინმა** სააგენტო "იტარტასთან" დამნაშავეთა მოსალოდნელ სანქციებზე ილაპარაკა: *"კავშირის დისციპლინარული კოდექსის 94-ე მუხლის თანახმად, ოთხივე მოთამაშეს 4-4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის, ჭანტურიას კი შეფურთხებისთვის სასჯელი დაემატება და 8 მატჩს გამოტოვებს".*

### აღარ მინდა ვიტესი!

მოსალოდნელი სასჯელის მიუხედავად, ჭანტურია მხოლოდ ერთ შეხვედრას გამოტოვებს და "ალანიას" დაემშვიდობება. პოპულარულ რუსულ გამოცემა "სპორტ-ექსპრესთან" ინტერვიუში გიორგიმ ჩხუბის მიზეზებსა და სხვა საკითხებზეც ილაპარაკა (რაზეც "ლელო" უკვე წერდა). საინტერესო იყო ერთი ნაწყვეტი, სადაც თავის მომავალზეც ილაპარაკა - რომ შემეძლოს, მომავალ სეზონშიც "ალანიაში" დავრჩებოდი, მაგრამ არენდის ვადა სრულდება და "ვიტესში" დაბრუნება მომიწევსო.

მაგრამ არნემული კლუბის ფანების ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ცნობას თუ ვენდობით, გიორგი "ვიტესში" აღარ ითამაშებს. ქართველი თავდამსხმელი ჰოლანდიური კლუბის მიერ დანაპირების შეუსრულებლობაზე ალაპარაკდა.

"გიორგი ჭანტურია ამბობს, რომ ზაფხულში "ვიტესში" დაბრუნება არ სურს. ის თავს მოტყუებულად გრძნობს, რადგან "ბარსელონადან" "ვიტესში" გადასვლისას, "ჩელსისთან" კონტრაქტს შემპირდნენო. გიორგი იმითაც უკმაყოფილოა, რომ შარშან ზაფხულს ორი იტალიური კლუბის - "ჯენოასა" და "კალიარის" კონკრეტული წინადადება ჰქონდა, მაგრამ "ვიტესის" მფლობელმა მერაბ ჟორდანიამ არ გაუშვა.

"ვიტესის" ტექნიკური დირექტორის ტედ ვან ლეუვენის თქმით, კლუბი ჭანტურიას ინტერესს ითვალისწინებს და არ გამორიცხავს, ზაფხულში ტრანსფერზე დააყენოს და წასვლის საშუალება მისცეს".

**მერაბ მამულაშვილი**

● ნიჭიერი

# დანგრეული მეინროუდი და საქართველოს ნაკრები

ნიჭიერ ადამიანზე განსაკუთრებულად ძნელია კონკრეტული განმარტების გაკეთება. აბა, რა უნდა ვუწოდოთ გიორგი ქინქლაძის ფენომენს?! 90-იანი წლების ყველაზე ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი, საბჭოთა ეპოქის შემდეგ, ყველაზე თვალისმომჭრელი ქართველი მოთამაშე... განმარტების რამდენიმე [illegible] ქართველის?..

გიო ქინქლაძემ მოახერხა და შექმნა მითი საკუთარ თავზე, ეს კი ალბათ უფრო მეტია, ვიდრე სტატისტიკა. ინგლისური პრემიერლიგა ბევრს მოუგია, მითი კი ცოტაა...

ქინქლაძე რამდენიმე დღით არის ჩამოსული თბილისში და მასთან დალაპარაკების შესაძლებლობა ხელიდან არ გაგვიშვია...

**- ბოლო წლები მოსკოვში ცხოვრობ - იქ უფრო კომფორტულად გრძნობ თავს, ვიდრე სამშობლოში?**

- კომფორტულობაზე არ არის საქმე, უბრალოდ, ასე გამოვიდა, ოჯახიც იქ მყავს... მოკლედ, ჯერჯერობით იქით ვარ.

**- რუსეთში მენეჯერულ საქმიანობას ისევ აგრძელებ?**

- კი, მე და გოგა გახოკიძე ისევ ამ საქმეში ვართ, ვცდილობთ ნიჭიერი ახალგაზრდები აღმოვაჩინოთ და გზაზე დავაყენოთ.

**- შარშან ლევან ყენიას სანკტ-პეტერბურგის „ზენიტში“ ტრანსფერზე მუშაობდი, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუმცა ბოლო მომენტში საქმე ჩაიშალა. რამ შეუშალა ხელი ყენიას „ზენიტში“ ტრანსფერს?**

- ყენიას დიდი ხანი არ ჰქონდა ნათამაშევი ფეხბურთი, „ზენიტს“ კი დიდი ამბიციები აქვს - რუსეთის ჩემპიონობა, ჩემპიონთა ლიგა... ხშირად, რუსულ გუნდებში ოთხი ფეხბურთელი წყვეტს ბევრ რამეს და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ყენიას არ გაუმართლა, ასეთ სიტუაციაში რომ აღმოჩნდა. ფეხბურთში ხდება მსგავსი რამ. ყენიას დიდი გულშემატკივარი ვარ, მას აქვს ის პიროვნული და სპორტული თვისებები, დიდი ფეხბურთი რომ ითამაშოს.

**- ჩვენში ხშირად კამათობენ იმაზე - რა უფრო უკეთესია ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელისთვის - დასავლეთ ევროპაში წასვლა თუ რუსეთი ან უკრაინა. როგორია შენი აზრი ამასთან დაკავშირებით?**

- ვფიქრობ, ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი ევროპაში უფრო გაიზრდება. რუსეთის ჩემპიონატი საკმაოდ ძნელი სათამაშოა, განსაკუთრებით ქართველისთვის. რუსეთში კვლავაც პატივს სცემენ ქართველ ფეხბურთელებს და არ არსებობს, იქ ვინმე შეზღუდონ, მაგრამ ისიცაა, რომ ლეგიონერისგან რუსეთშიც განსაკუთრებულად ბევრს ითხოვენ. იქაურ ჩემპიონატში რომ შედიხარ, უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი უნდა იყო...

**- ქინქლაძე ვარსკვლავურ ფეხბურთელად „მეინ როუდზე“ - „მანჩესტერ სიტიში“ ჩამოყალიბდა. ხშირად ჩადიხარ ხოლმე მანჩესტერში?**

- მანჩესტერში ჩასვლა მართლაც ძალიან მიყვარს, ჩემი შვილი ცხოვრობს იქ... „მეინ როუდი“ კი დაანგრიეს, მაგრამ ამ ქალაქში ჩასვლა მაინც განსაკუთრებულად მსიამოვნებს.

**- ყველა ადამიანისთვის, მათ შორის ნიჭიერისთვისაც, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილების მიღება. „მანჩესტერ სიტიში“ მისვლისთანავე მოიპოვე აღიარება, თუმცა გუნდი იმავე სეზონში გავარდა პრემიერლიგიდან. გქონდა შესაძლებლობა, პრემიერლიგის რომელიმე გუნდში გადასულიყავი, მაგრამ „სიტის“ გაჰყევი პირველ დივიზიონში. ალბათ დამეთანხმები, რომ ამ გადაწყვეტილებამ ძალიან იმოქმედა შენს კარიერაზე...**

- რა თქმა უნდა. 22 წლის ვიყავი, პირველი პრემიერლიგური სეზონის შემდეგ სათანადო გამოცდილება არ მქონდა სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. ისეთი სიტუაცია იყო „სიტიში“, რომ უარი ვერ ვუთხარი... როცა შეცდომას უშვებ, ორჯერ და სამჯერ უფრო ძლიერ საპასუხო დარტყმას იღებ - ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც.

**- ფეხბურთელის კარიერა ყაზანის „რუბინში“ დაასრულე - 33 წელი ის ასაკია, როცა ფეხბურთის პროფესიულ დონეზე თამაში უწინდელივით აღარ გსიამოვნებს?**

- მოტივაცია აღარ მქონდა, საზარდულის ტრავმაც მაწუხებდა... ერთი სიტყვით, მივხვდი, რომ თამაშისთვის თავის დანებების დრო იყო.

**- რაიან გიგზი 39 წლისაა და კიდევ აპირებს თამაშს...**

- გიგზს ისე წაუვიდა საქმე, რომ შეფერხებები არ ჰქონია, ის ახლაც ამტკიცებს, რომ პროფესიონალია. მას მხოლოდ სახელის გამო არ ათამაშებენ „მანჩესტერში“. მერწმუნეთ, ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, როგორ განვითარდება კარიერა.

**- ყოფილან ათი ნომრები, რომელთაც არ ჰქონიათ დრიბლინგის განსაკუთრებული უნარი, თუმცა გუნდისთვის დიდი სარგებლობა მოუტანიათ. ქინქლაძე კი სულ სხვანაირი იყო, კაცის მოტყუებას არ ერიდებოდა - რა იყო ეს, ინსტინქტი თუ გამომუშავებული თამაშის სტილი?**

- ქართველის ბუნებაა ასეთი - ბურთი მოიგდოს, მოატყუოს და შეაგდოს. თუ ეს გამოგდის, რატომ არ უნდა გააკეთო? ოღონდაც, თამაშის წინ არასდროს არ მიფიქრია - გავალ მოედანზე და ხუთ კაცს მოვატყუებ. კაცის მოტყუებასა და დრიბლიგს ვერავინ გასწავლის და ამაზე საგანგებოდ არც არასდროს არ მიმუშავია.

**- რაც თბილისში ჩამოხვედი, სპორტულ ფორმას არ უნდა უჩიოდე...**

- ყოფილი ფეხბურთელები თითქმის ყოველ საღამოს ვიკრიბებით მინი-ფეხბურთის სათამაშოდ, თუმცა ყოველთვის ის გუნდი ვერ იმარჯვებს, სადაც მე ვთამაშობ.

**- საქართველოს ნაკრების გულშემატკივარი გიორგი ქინქლაძისგან ლიდერობას, გუნდის თამაშის გაძღოლას ითხოვდა, მაშინდელი ნაკრებისგან კი ფინალურ ეტაპზე გასვლას - ეს ძალიან მძიმე ტვირთი, შეუსრულებელი მოთხოვნა იყო?**

- ძალიან გულდასაწყვეტია, შესარჩევის ჯგუფიდან გასვლა ერთხელაც რომ ვერ მოვახერხეთ, არადა, მეტის გაკეთება შეგვეძლო. ბედნიერი ვარ იმით, რომ ნაკრებში ასეთ თაობასთან მომიწია თამაშმა. რაც შეეხება ლიდერობას, ინდი- [illegible]

**- ალბათ, საქართველოს ნაკრების გამოსვლას შეძლებისდაგვარად ადევნებ თვალყურს რუსეთიდან - რა შთაბეჭდილება გრჩება?**

» მე-16 გვერდზე



**გიორგი ქინქლაძე**

დაიბადა: 06.07.1973

კარიერა

| | |
|---|---|
| 1989-91 მრეტები | 80(18) |
| 1991-95 დინამო | 65(41) |
| 1993 ზააბრიუკენი (იჯარა) | 11 |
| 1994 ბოკა ხუნიორსი (იჯარა) | 3 |
| 1995-98 სიტი | 106 (20) |
| 1998-00 აიაქსი | 12 |
| 1999-00 დერბი (არენდით) | 13 (1) |
| 2000-03 დერბი | 80(6) |
| 2004-05 ანორთოსისი | 22(2) |
| 2005-06 რუბინი | 13(2) |
| ეროვნული ნაკრები | 57 (9) |

ტიტულები

საქართველოს ჩემპიონი: 1993-95
საქართველოს თასის მფლობელი: 1993, 1995
კვიპროსის ჩემპიონი: 2005
საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი: 1993, 1996
მანჩესტერ სიტის საუკეთესო ფეხბურთელი: 1996, 1997
დერბი ქაუნთის საუკეთესო ფეხბურთელი: 2003

გიორგი ქინქლაძე ინგლისთან მატჩში

● ლეგიონერები

# ინტერში ქართველების კლებაა, რუსეთში პლეი ოფი მოახლოვდა

დასრულდა აზერბაიჯანის ჩემპიონატი, სადაც მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა **კახა ცხადაძის** მიერ გაწვრთნილმა "ინტერმა". ბაქოური კლუბი მეორეადგილოსან "ყარაბახს" ორი ქულით ჩამორჩა, ხოლო ჩემპიონ "ნეფთჩის" - ხუთით.

ბოლო ტურში "ინტერმა" "გაბალას" უმასპინძლა და მოწინააღმდეგე 1:0 დაამარცხა. ბაქოელთა შემადგენლობაში მხოლოდ სამმა ქართველმა ითამაშა – **გიორგი ლომაიამ და ილია კანდელაკმა** მატჩი შეუცვლელად ჩაატარეს, სასტარტო შემადგენლობაში გამწესებული **ბაჩანა ცხადაძე** კი 77-ე წუთზე შეცვალეს.

„აზერისპორტის“ ცნობით, ცხადაძე გუნდიდან ოთხ თანამემამულეს უშვებს – "ინტერს" დატოვებენ ილია კანდელაკი, **ვალერი აბრამიძე, გიორგი ადამია** და მეკარე **რევაზ თევდორაძე**. შესაბამისად, ქართველთაგან ბაქოურ კლუბში რჩებიან მხოლოდ გიორგი ლომაია და ბაჩანა ცხადაძე. "შემცირებაში" მხოლოდ ქართველები არ მოყვნენ - ცხადაძემ კიდევ რამდენიმე ლეგიონერზე თქვა უარი.

**გიორგი ფოფხაძის** "ბაქი" მეხუთე ადგილზე გავიდა და ევროტურნირებს მიღმა დარჩა. პრემიერლიგის ბოლო ტურში "ბაქი" დედაქალაქურ დერბიში "ნეფთჩის" ეწვია და ჩემპიონს 1:0 სძლია. ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა.

აზერბაიჯანის ჩემპიონატი მეოთხე საფეხურზე დაასრულა ზაქათალის "სიმურგმა", რომელსაც სათავეში **გიორგი ჩიხრაძე** უდგას. ეს ამ კლუბის ბიუჯეტიდან გამომდინარე, სერიოზული წარმატებაა და სწორედ ამიტომ, "სიმურგის" ხელმძღვანელობა ქართველ სპეციალისტს კიდევ ერთი წლით დარჩენას სთხოვს.

რუსეთის პირველ დივიზიონში ხაბაროვსკის "სკა-ენერგია", რომელსაც **გიორგი დარასელია** წვრთნის, საკუთარ მოედანზე "უფას" დაუზავდა – 0:0. "სკა-ენერგიას" ძირითად შემადგენლობაში ოთხი ქართველი იყო – **ლაშა სალუქვაძე, გიორგი ნავალოვსკი, შოთა გრიგალაშვილი და გოჩა ხოჯავა**. ამათგან პირველი ორი მეორე ტაიმის მსვლელობისას შეცვალეს, ხოლო გრიგალაშვილმა და ხოჯავამ შეხვედრა სრულაც ჩაატარეს. "სკა-ენერგია" პრემიერლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქე "კრილია სოვეტოვი" ან "როსტოვი" იქნება. პლეი ოფში ამ ორიდან ერთ-ერთს შეხვდება ნალჩიკის "სპარტაკიც", რომლის ღირსებასაც **დავით სირაძე** იცავს. "სპარტაკმა" პირველი დივიზიონის ბოლოსწინა ტურში "ბალტიკას" უმასპინძლა და მეტოქეს 2:0 აჯობა. ნალჩიკელთა ქართველმა თავდამსხმელმა მოედანზე 90 წუთი გაატარა.

უნგრეთის ჩემპიონატში "დიორ ეტო" "ჰონვედს" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. "დიორის" შემადგენლობაში **გიორგი ქვილითაია** 50-ე წუთზე გამოჩნდა, თუმცა 20 წუთში მოედნიდან გააძევეს. ქვილითაია უკვე უნგრეთის ჩემპიონია – "დიორიმ" ეს ტიტული წინა ტურებში გაინაღდა.

"კეჩკემეტიმ", რომლის შემადგენლობაშიც **გივი იოსელიანი** ასპარეზობს, სტუმრად "დიოშდიორთან" 0:2 წააგო. ქართველმა ნახევარმცველმა შეხვედრას თვალი სათადარიგოთა სკამიდან ადევნა.


კახა ცხადაძე

**ლევან ჯანაშვილი**



● ქართველები რუსეთის ნაკრებში


გიორგი მელქაძე


ნიკა ყიფიანი

# ყიფიანი და მელქაძე ფინალში გავიდნენ

რუსეთის 16-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მომავალი შესარჩევი ციკლისთვის ემზადება. ახლა, გუნდი მოსამზადებელ ეტაპს უკრაინაში ატარებს, სადაც ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტის - **ვიქტორ ბანიკოვის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ტარდება.

შევიტყვეთ, რომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი კირიაკოვმა** შეკრებაზე ორი ქართველი ახალგაზრდა წაიყვანა – ნახევარმცველები **ნიკა ყიფიანი და გიორგი მელქაძე**. მათზე "ლელო" უკვე წერდა: თბილისში დაბადებული 15 წლის ყიფიანი მოსკოვის „ლოკომოტივის“ 17-წლამდელთა [illegible] კირიაკოვმა ორივე ქართველი ნახევარმცველი შეცვლაზე ათამაშა – **ნიკა ყიფიანი** მოედანზე 41-ე წუთზე შევიდა, **გიორგი მელქაძე** კი - 62-ეზე. რუსებმა მეტოქეს ვერაფერი მოუხერხეს, 0:1 წააგეს და საბოლოოდ, მე-2 ადგილს დასჯერდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

● საპარადო ტრანსფერი

# ძმებს ნაკრებში ერთად თამაში არ გვეღირსა

## დარჩება ელგუჯა გრიგალაშვილი ტორპედოში?

2 და 5 ივნისს, ირლანდიისა და დანიის ნაკრებებთან გასამართი ამხანაგური მატჩებისთვის საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** ქუთაისის "ტორპედოს" სამი ფეხბურთელი გამოიძახა - მეკარე **ომარ მიგინეიშვილი** და ნახევარმცველები - **ელგუჯა გრიგალაშვილი და მერაბ გიგაური**.

ამავე დროს, შევიტყვეთ, რომ ქეცბაიას სიაში მოხვდა ელგუჯას უფროსი ძმა, ხაბაროვსკის "სკა-ენერგიას" შუახაზელი **შოთა გრიგალაშვილიც**. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ძმები გრიგალაშვილი ნაკრებში ერთად გამოიძახეს, მაგრამ რად გინდა...

*"შოთას გამოძახება გამიხარდა, მაგრამ სამწუხაროდ, ძმებს ერთად თამაშის საშუალება არ გვექნება. "სკა-ენერგიამ" რუსეთის პირველ ლიგაში მე-4 ადგილი დაიკავა და 29 მაისსა და 4 ივნისს პრემიერლიგაში გადასასვლელ მატჩებს ჩაატარებს. მას ნაკრებში წამოსვლა სურდა, მაგრამ ხაბაროვსკელები არ უშვებენ – რუსების კარგად მესმის, გუნდისთვის უმნიშვნელოვანესია ეს ორი შეხვედრა და შოთას დახმარება სჭირდებათ"* – გვითხრა ელგუჯა გრიგალაშვილმა.

ქეცბაიამ ელგუჯა გრიგალაშვილი პირველად ეროვნულ გუნდში საფრანგეთთან 22 მარტის მატჩისთვის გამოიძახა: *"მაშინ განაცხადში ვიყავი, მაგრამ არ მითამაშია. ახლა ამხანაგური შეხვედრებია და იმედია, მოედანზე გასვლა მომიწევს".*

დარჩება თუ არა "ტორპედოში", სადაც ზაფხულში სერიოზული საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი? ამ კითხვაზე პასუხი ელგუჯას ჯერ არ აქვს: *"გუნდთან კონტრაქტი სამი წლის შემდეგ მიმთავრდება, დღეს არსებული ინფორმაციით კი "ტორპედოში" ძირითადის რამდენიმე მოთამაშე ვრჩებით. მაგრამ ზუსტი პასუხის გაცემა მაინც გამიჭირდება. თანაც, რაღაც წინადადებებზე პასუხს ველოდები".*

ნაკრების მოსამზადებელი ეტაპი დღეს, ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" დაიწყო. ირლანდიის ნაკრები 2 ივნისს "ავივას" სტადიონზე გვიმასპინძლებს, ხოლო დანია - 5 ივნისს, ოლბორგის "ნორდისკ არენაზე".

**მერაბ მამულაშვილი**

● პირველი ლიგა, XXXI ტური

## A ჯგუფი

**სტუ – რაჭა 1:0**

17.05. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი“. 100 მაყურებელი

1:0 ჯ. კოლუა (59)

სტუ: მ. ძიძიგური, დ. ყაველაშვილი (60. ო. გაგნიძე), ნ. ბინკინაშვილი, გ. ჯიშკარიანი (82. ა. ლაცაბიძე), გ. ვაშაკიძე (48. ვ. რობაქიძე), ი. გოგატიშვილი, შ. გვაზავა, გ. თვალავაძე, კ. კახაბრიშვილი, ა. გოდუაძე, ჯ. კოლუა

სათადარიგოები: დ. კოხრეიძე, მ. გოგატიშვილი

მწვრთნელი: გ. ყორყოლიანი

რაჭა: ა. აბულაძე, ზ. ვარდუაშვილი, ლ. ნეფარიძე, გ. სურმავა (75. ი. ხუნდაძე), ბ. ხომერიკი (67. თ. კირკიტაძე), გ. ჭაავა, ვ. ჭაბუკიანი, ლ. შაიშმელაშვილი, გ. მაისაშვილი, თ. კოხრეიძე, ლ. შილაკაძე

სათადარიგოები: თ. ცინცაბაძე, ბ. ზაზაშვილი

მწვრთნელი: ზ. ჯიბუტი

გაფრთხილება: ჯ. კოლუა; თ. კოხრეიძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

**მეშახტე – ბაგრა 2:1**

17.05. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი“. 100 მაყურებელი

0:1 ჯ. ჯერემია (20), 1:1 ო. გიორგობიანი (45), 2:1 მ. ყლენტი (69)

მეშახტე: ი. კუჭუხიძე, გ. გვენეტაძე, დ. ბაქრაძე, ც. ხარაბაძე, ი. ჭანკვეტაძე, ი. კილაძე, ბ. კოლუაშვილი, ვ. გიორგაშვილი, მ. ყლენტი (88. გ. ხეცურიანი), ო. გიორგობიანი, ბ. ჯიშიაშვილი

სათადარიგო: ნ. ჯოხაძე

მწვრთნელი: დ. რუხაძე

ბაგრა: გ. დობორჯგინიძე, გ. სიჭინავა (50. გ. გადრანი), გ. ფალავანდიშვილი, ნ. ხოჯაშვილი (46. დ. ლაშქარავა), თ. ჯანაშია, ი. კანდელაკი, თ. ჟიშკარიანი, ბ. მუმლაძე (63. რ. წანკრიალაშვილი), ბ. ტეიდი, უ. მაგაჯი, ჯ. ჯერემია

სათადარიგოები: დ. მაღალდაძე, ი. ფიფია, თ. მოსიაშვილი, ა. ნეფარიძე

გაფრთხილება: ბ. ჯიშიაშვილი; გ. ფალავანდიშვილი, თ. ჯანაშია, ი. კანდელაკი, გ. გადრანი

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**სქური – დინამო-2 0:0**

17.05. წალენჯიხა. „ს. კვარაცხელია“. 400 მაყურებელი

სქური: ტ. ხარჩილავა, დ. რაფავა, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ზ. ლარიბაშვილი, შ. გაბუნია (64. ი. ფაცაცია), ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, გ. ჭკუასელი (76. გ. სორდია), გ. კვირკვია (58. ლ. მორგოშია)

სათადარიგოები: ი. ქარდავა, ი. მოლაშხია, ნ. არახამია

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

დინამო-2: ლ. ტყეშელაშვილი, ა. ტვილდიანი, თ. კაკულია, ს. გურეშიძე, ბ. მახარობლიძე, ნ. კვეკვესკირი, ლ. პარუნაშვილი, ბ. რუხაძე (60. ვ. ფოცხვერია), ა. სარიშვილი (63. ჭ. ჭეჭელაშვილი), ლ. ჩაფიძე, ლ. შინდაგორიძე (80. მ. ჯიშკარიანი)

სათადარიგოები: ლ. საბაძე, ტ. ხაინდრავა

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

გაფრთხილება: გ. კვირკვია; ა. ტვილდიანი, ნ. კვეკვესკირი

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**ბეთლემი – სასკო 0:0**

17.05. ქედა. „ცენტრალური“. 300 მაყურებელი

ბეთლემი: ლ. ბექთაშევი, ლ. კალანდაძე (57. გ. კახიანი), ნ. გოგუაძე, გ. ხაჩიძე, გ. ბერიძე, თ. თედორაძე, ი. ნაჭყებია, დ. ჯალაღანია (73. გ. ქობალია), გ. გოგიტიძე, ი. ბოლქვაძე, ს. გაგუა

სათადარიგოები: ი. ჩხაიძე, ჯ. გორგაძე, ვ. რუხაძე, ზ. კეკელიძე, ზ. სეიდიდი

მწვრთნელი: ე. კაკაბაძე

სასკო: ა. ნონოსი, პ. მოსემღვდლიშვილი, დ. სალია, გ. შენირული, კ. ახალაია (85. გ. ცირამუა), თ. ქორჩილავა (46. ა. გომელაური), ა. ბაგაშვილი (90. დ. ცქიტიშვილი), ი. ქავთარაძე, ზ. ქარდავა, გ. ჩუბინიძე, გ. კვარაცხელია

სათადარიგოები: დ. კუჭუხიძე, ლ. ბრაჭული

მწვრთნელი: თ. კაცია

გაფრთხილება: გ. ქობალია

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**იმერეთი – გურია 0:0**

17.05. ხონი. „ცენტრალური“. 200 მაყურებელი

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, ა. ტყეშელაშვილი, გ. გოდერიძე, გ. ხვიჩია (60. დ. კუხალაშვილი), იაგო დეისაძე (77. დ. სულაბერიძე), იაკობ დეისაძე, მ. აშვეთია (62. დ. გოდერიძე), გ. მანაგაძე

სათადარიგოები: დ. ხაბურძანია, დ. სვანაძე, თ. ლომთაძე, ზ. სადილიანი

მწვრთნელი: გ. ხაზარაძე

გურია: მ. გოგუაძე, ა. ჩუენსუ, ს. თოდუა, ზ. კვარაცხელია (49. ლ. ჩალაძე), გ. სალარიძე (71. ვ. დარჩიძე), ა. გოგობერიშვილი, ლ. ჯანგიძე, ა. შენგელია (46. კ. შალამბერიძე), ტ. კუკულაძე, ე. კილაძე, გ. ჭეიშვილი

სათადარიგოები: დ. მაისაშვილი, გ. მაჩაიძე, ლ. ვართაგავა, რ. იმერლიშვილი

მწვრთნელი: თ. ლორია

გაფრთხილება: ა. ტყეშელაშვილი; ს. თოდუა, კ. შალამბერიძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

**ჭიათურა – სულორი 2:1**

17.05. საჩხერე. „ძველი სტადიონი“. 200 მაყურებელი

0:1 გ. ბერიშვილი (21) 1:1 დ. სევასტოპულო (62. პენალტით) 2:1 ი. სარალიძე (71)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, გ. ქირია, ლ. ცუცქირიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ი. შალიკაშვილი (82. ა. ბაბლიძე), ლ. კუჭაშვილი, გ. ბარბაქაძე (90. ს. გაბაძე), მ. ჭკადუა (66. ი. სარალიძე), დ. სევასტოპულო, დ. ციცხვაია

სათადარიგოები: დ. შეყილაძე, ი. ცერცვაძე, ზ. ჯაფარიძე, ლ. მაჭარაშვილი

მწვრთნელი: გ. სანაია

სულორი: შ. ლვინიანიძე, გ. ბერიშვილი, გ. ბრეგვაძე, დ. ივანიაძე, ა. როხვაძე, თ. სანიკიძე, თ. ძაგნიძე (36. ნოდარ გიორგაძე), შ. ბაბუნაშვილი (72. ა. ქებულაძე), გ. პირანაშვილი, ბ. ბელექანია, ბ. სულაბერიძე (75. გ. ნიკოლეიშვილი)

სათადარიგოები: დ. ხურციძე, გ. ბალდაველაძე, ლ. გაბუნია, თ. მაღლაკელიძე

მწვრთნელი: რ. ბურკაძე

გაფრთხილება: ლ. ცუცქირიძე, გ. ბარბაქაძე, დ. სევასტოპულო; თ. ძაგნიძე, შ. ბაბუნაშვილი, ბ. ბელექანია

გაძევება: დ. სევასტოპულო

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 31 | 26 | 3 | 2 | 84-19 | 81 |
| 2. დინამო-2 | 31 | 19 | 6 | 6 | 91-41 | 63 |
| 3. სასკო | 31 | 19 | 4 | 8 | 80-33 | 61 |
| 4. ბაგრა | 31 | 16 | 4 | 11 | 58-40 | 52 |
| 5. იმერეთი | 31 | 12 | 7 | 12 | 34-38 | 43 |
| 6. ჭიათურა | 31 | 11 | 6 | 14 | 35-46 | 39 |
| 7. მეშახტე | 31 | 11 | 6 | 14 | 35-64 | 39 |
| 8. სტუ | 31 | 11 | 3 | 17 | 59-71 | 36 |
| 9. სქური | 31 | 9 | 8 | 14 | 30-47 | 35 |
| 10. ბეთლემი | 31 | 10 | 4 | 17 | 37-68 | 34 |
| 11. რაჭა | 31 | 7 | 3 | 21 | 38-71 | 24 |
| 12. სულორი | 31 | 6 | 4 | 21 | 27-70 | 22 |

**მომდევნო ტური**

**21 მაისი**

გურია – ჭიათურა
დინამო-2 – ბეთლემი
სტუ – მეშახტე

**22 მაისი**

რაჭა – სულორი
სასკო – იმერეთი
ბაგრა – სქური

## B ჯგუფი

**ლიახვი – სპარტაკი 1:5**

16.05. თბილისი. „ბენდელა“. 100 მაყურებელი

0:1 გ. ცერცვაძე (48), 0:2 ზ. მეტრეველი (60), 1:2 გ. მინდორაშვილი (66), 1:3 უ. ბურძენაძე (84), 1:4 თ. მაქაცარია (87), 1:5 ზ. მეტრეველი (90)

ლიახვი: ა. ბარნაბიშვილი (44. კ. ბალაშვილი), გ. მინდორაშვილი, მ. ჯიქია, თ შუბითიძე, დ. ბარნაბიშვილი (65. კ. გაბუნია) ლ. კომლაძე, გ. ნონიკაშვილი, ნ. კვარაცხელია, დ. ქრესტესიაშვილი, ზ. ჭადაშვილი, ო. ცანავა

სათადარიგოები: ა. ქელიხაშვილი, გ. ნადირაშვილი

მწვრთნელი: უ. ქანთარია

სპარტაკი: ვ. ზუხბაია, ლ. ქაფოძე, ნ. მგელაძე, ლ. ქურდაძე (44. ლ. თვალავაძე), გ. ლემონჯავა, თ. შონია, უ. ბურძენაძე, გ. ცერცვაძე (80. თ. მაქაცარია), ვ. კილასონია (64. ლ. კემუხტაშვილი), კ. ხიზანეიშვილი, ზ. მეტრეველი

სათადარიგოები: კ. კაკაშვილი, გ. ნარიმანიძე, ა. ხუბეჟოვი, გ. ნადირაძე

მწვრთნელი: ე. ხაჩიძე

გაფრთხილება: უ. ბურძენაძე

არბიტრი: შ. ქუხილავა

**სამგურალი – ლოკომოტივი 0:2**

17.05. სამტრედია. „ე. მანჯგალაძე“. 100 მაყურებელი

0:1 დ. ჯიქია (14), 0:2 ა. მზევაშვილი (84)

სამგურალი: დ. მემარნიშვილი, ზ. ჩხეტიანი, ბ. ხაჭიპერაძე (46. ლ. ნავერიანი), ბ ბიბილაშვილი, მ. ჩხარტიშვილი (46. ზ. კუხალაშვილი), უ. ბანძელაძე, თ. კაპანაძე, ი. ხვადაგიანი, გ. ამბროლაძე (46. ა. მეტონიძე), ლ. ყიფიანი, გ. თევდორაძე

სათადარიგოები: ლ. გორდეზიანი, ლ. კირკიტაძე, ნ. ბაბუნიძე, ო. ტორაძე

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

ლოკომოტივი: ბ. საჯაია, გ. გაბაძე (46. გ. მაკასარაშვილი), ენდიკა ბორდასი, ლ. კიკაბიძე (58. ჯ. ყანჩაშვილი), რ. ჩიტეიშვილი, გ. გოროზია, ე. სულთანიშვილი, ა. მზევაშვილი, მ. ცინცაძე, დ. ჯიქია, რ. ბარაბაძე (60. დ. დარციმელია)

სათადარიგოები: ა. გუგუშვილი, ბ. ტყემალაძე, დ. მიქავა, ო. პატარკაციშვილი

მწვრთნელი: ჟერარდ სარაგოსა

გაფრთხილება: ზ. ჩხეტიანი, ი. ხვადაგიანი.; ბ. საჯაია, ენდიკა ბორდასი

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**ალგეთი – კოლხეთი (ხ) 0:2**

17.05. თბილისი. სპორტის აკადემიის სტადიონი. 50 მაყურებელი

0:1 გ. ლომაია (47), 0:2 პ. გაბრავა (53)

ალგეთი: ლ. ეზიეშვილი, რ. კიკალიშვილი, შ. გალეგაშვილი, ი. ალასანია, მ. მახათაძე, გ. პატარქალიშვილი, ა. ნოზაძე (46. ი. სვანიძე), უ. მამულაშვილი (53. თ. მოსიაშვილი), ი. ჯოჯიშვილი, გ. ტუხაშვილი, ს. ჭიკაიძე (46. გ. ჯოხაძე)

სათადარიგოები: გ. ქარჩილაძე, მ. მაღლაკელიძე, ს. პილიევი, ვ. გოგოხია

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

კოლხეთი: ლ. ჭურღულია, გ. გოგენია, დ. ჭითანავა, კ. გოგენია (46. ლ. მეფიშვილი), ბ. ბუკია, გ. პაქკორია, პ. გაბრავა (68. რ. ჩიტაია), ი. გერგაია, გ. ლომაია, ლ. ჯიქიძე, ა. ქაშიბაძე (46. ლ. გოგენია)

სათადარიგოები: რ. ცობეხია, ზ. გელაშვილი, გ. ბუცხრიკიძე, ნ. ლემონჯავა

მწვრთნელი: ლ. ნოდია

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**მერცხალი – შუქურა 1:1**

17.05. ოზურგეთი. „ცენტრალური“. 200 მაყურებელი

1:0 ს. გ. ჩიგოგიძე (23), 1:1 ზ. ტუღუში (31)

მერცხალი: ი. მურუსიძე, თ. ჩხატარაშვილი, ს. გ. ჩიგოგიძე, გ. კაშია (84. ი. ხეცურიანი), გ. მექვაბიშვილი, ნ. მაჭავარიანი, ლ. ათუაშვილი (63. ი. კალაჯიშვილი), გ. მალაზონია, გიორგი გოგუა (63. გ. პაპკოვი), ლ. კოტრიკაძე, მ. ყლენტი

სათადარიგოები: ლ. ესაძე, ლ. კალაჯიშვილი, ვ. მგელაძე

მწვრთნელი: ს. გაგუა

შუქურა: თ. კაკალაძე, ზ. ტუღუში, ა. ბრაჭული, ი. ხუჭუა, ლ. მახარაძე, ლ. ელიზბარაშვილი, გ. ჩელებაძე, ლ. ბლაგოევიჩი (69. ვ. ცენტერაძე), გ. ჩხიკვიშვილი, ი. ტაკიძე, მ. კოპალიანი

სათადარიგოები: ა. გოგიტიძე, დ. გაბელია, გ. შერვაშიძე, გ. ზოიძე, ლ. ანანიძე, მ. ფუტკარაძე

მწვრთნელი: ა. ბალაძე

გაფრთხილება: თ. კაკალაძე, მ. კოპალიანი

არბიტრი: ო. ხეცაძე

**ადელი – ჩხერიმელა 0:0**

17.05. ბათუმი. „ადელი“. 200 მაყურებელი

ადელი: გ. რომანაძე, კ. ბაგალიშვილი, ა. ფარტენაძე, ნ. დავითაძე, თ. მჟავანაძე (87. ი. ლოლობერიძე), თ. ჩადუნელი, ბ. ჯუგაშვილი, თ. ხაბელაშვილი, გ. სირაბიძე, გ. ქოქოლაძე (71. თ. გიორგაძე), ბ. კახიძე

სათადარიგოები: დ. რუხაია, ნ. ყიფიანი

მწვრთნელი: ო. ნაგერვაძე

ჩხერიმელა: გივი კიკნაძე, ი. გვეტაძე, გ. ლობჟანიძე, დ. ხარჩილავა, ჯ. არევაძე (61. თ. კიკნაძე), გ. მეტრეველი, ვ. აფციაური, ი. ჩუბინიძე, გიორგი კიკნაძე (56. დ. ვაშაკიძე), გ. ცუცქირიძე, ჯ. ავალიშვილი

სათადარიგოები: გ. ნიქაბაძე, ნ. ბერაძე

მწვრთნელი: ლ. ჭყონიძე

გაფრთხილება: დ. ხარჩილავა, გიორგი კიკნაძე

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 29 | 24 | 2 | 3 | 77-14 | 74 |
| 2. ლოკომოტივი | 28 | 17 | 6 | 5 | 65-27 | 57 |
| 3. შუქურა | 28 | 17 | 4 | 7 | 50-24 | 55 |
| 4. კოლხეთი | 28 | 16 | 3 | 9 | 37-27 | 54 |
| 5. სამტრედია | 28 | 15 | 4 | 9 | 45-36 | 49 |
| 6. სამგურალი | 28 | 13 | 7 | 8 | 58-42 | 46 |
| 7. ალგეთი | 28 | 10 | 3 | 15 | 38-48 | 33 |
| 8. მერცხალი | 28 | 5 | 10 | 13 | 36-46 | 25 |
| 9. ჩხერიმელა | 28 | 6 | 1 | 21 | 33-86 | 19 |
| 10. ლიახვი | 28 | 4 | 6 | 18 | 28-68 | 18 |
| 11. ადელი | 29 | 4 | 3 | 22 | 26-73 | 15 |

**მომდევნო ტური**

**20 მაისი**

სპარტაკი – ადელი 4:0

**21 მაისი**

შუქურა – ლიახვი
კოლხეთი (ხ) – მერცხალი
ლოკომოტივი – ალგეთი
სამტრედია – სამგურალი

● XXXII ტურის მიმოხილვა...

# ...ვიდრე გუნდებს მოძებნიდნენ

Ორ დღეში საქართველოს თასის ფინალია და აი, ამის მერე კი 2012-13 წლების საფეხბურთო სეზონი ჩვენთან დასრულებულად გამოცხადდება. ანუ, გასარკვევი მხოლოდ და მხოლოდ თასის მფლობელის ვინაობაა, თორემ დანარჩენი ყველაფერი ბოლო ტურამდე თუ ბოლო ტურის მერე გაცხადდა: ხუთწლიანი პაუზის მერე ჩემპიონი თბილისის „დინამო“ გახდა, ვერცხლის მედლები თავის ისტორიაში პირველად მოიპოვა გორის „დილამ“, შარშანდელი შედეგი გაიმეორა და კვლავაც მესამე ადგილზე დაამთავრა ჩემპიონატი ქუთაისის „ტორპედომ“, ამ სამი გუნდის გარდა ევროტურნირებზე იასპარეზებს „ჩიხურაც“ (როგორც თასის ფინალისტი) და საჩხერელთა ეს მიღწევაც ნამდვილად არ არის პატარა ამბავი. ბოლო ტურამდე კი არა, უფრო ადრე გაირკვა, რომ უმაღლეს ლიგაში სამი წლის წინათ დაბრუნებულმა ფოთის „კოლხეთმა“ მომავალი სეზონი პირველ ლიგაში უნდა გაატაროს; აი, მეორე ჩამოქვეითებული გუნდის ვინაობა კი სწორედ ბოლო ტურს უნდა გაერკვია: ბათუმის „დინამო“ და ბოლნისის „სიონი“, — აი, ამ ორი გუნდიდან ერთ-ერთს უმაღლესი ლიგა უნდა დაეტოვებინა. ორივეს სტუმრად უწევდა თამაში და, როგორც მოსალოდნელი იყო, ორივემ გაიმარჯვა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოთხწლიანი განშორების მერე უმაღლეს ლიგაში შარშან ალზევებულ ბათუმის „დინამოს“ ისევ პირველ ლიგაში დაქვეითებამ მოუწია. ჰო, საქართველოს 2012-13 წლების XXIV ეროვნული ჩემპიონატის დებულების თანახმად, **უმაღლეს ლიგაში XI-XII ადგილზე გასული გუნდები 2013-14 წლების XXV ჩემპიონატში გადაყვანილი იქნებიან პირველ ლიგაში (დებულებიდან: თავი — 3, პარაგრაფი — 3, ჩემპიონატის ჩატარების სისტემა)**. ანუ, თუ ჩემპიონატის რეგლამენტით ვიხელმძღვანელებთ, უმაღლესი ლიგა ბათუმის „დინამომ“ და ფოთის „კოლხეთმა“ დატოვეს, მათ ნაცვლად კი უმაღლეს ლიგაში მომავალი სეზონიდან პირველი ლიგის ორი გამარჯვებული, ლანჩხუთის „გურია“ და ცხინვალის „სპარტაკი“ იასპარეზებენ. ასეა, ოფიციალურად, მაგრამ უკვე თვეზე მეტია, უმაღლეს ლიგაში გუნდების გაზრდასთან დაკავშირებით არაერთხელ ვთქვით და კვლავაც გავიმეორებთ, რომ „კოლხეთიც“ და ბათუმის „დინამოც“ დიდი ტრადიციის მქონე კლუბებია და ძალიანაც დაგვწყდა გული ამ ორი გუნდის დაქვეითების გამო. თუმცა, რატომ ვარღვევთ რეგლამენტს და, საერთოდაც, რატომ ვზრდით უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობას, როცა დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, 12 გუნდიც კი გვეზევრება; მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ქართულ ფეხბურთში რეგლამენტის დარღვევა არახალი ამბავია და ამიტომაც ნურავის გაუკვირდება, მომავალ სეზონში „კოლხეთიც“ ისევ უმაღლეს ლიგაში ვიხილოთ და ბათუმის „დინამოც“. კიდევ ორ გუნდს კი, როგორმე „მოძებნიან“, თუმცა, მანამდე ხომ ახლახან დასრულებული XXIV ჩემპიონატის ბოლო ტურის მეტ-ნაკლებად გამორჩეული ფაქტები თუ მოვლენები გვინდა შემოგთავაზოთ.

## კაპიტულაცია... მატჩამდე, ანუ უსიმბოლურო ტური

არამხოლოდ ამ სეზონში, არამედ უკვე წლებია, თავის ერთგულ მკითხველს „ლელო“ ყოველი ტურის მიმოხილვას სთავაზობს და იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველი ტურის სიმბოლურ ნაკრებსაც წარმოგიდგენთ-ხოლმე; თუმცა, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში რამდენჯერმე იყო ისეთი შემთხვევა, როცა ტურის სიმბოლური ნაკრების შედგენაზე შეგნებულად ვთქვით უარი, — აი, თუნდაც წინა ორ სეზონში, რომ „ჩაწყობილი“ თამაშები ვითომდა-გამოაშკარავდა; სამწუხაროდ, ამ სეზონშიც იყო ერთი-ორი შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ტურის სიმბოლური ნაკრების შედგენა სათუოდ გავხადეთ (ხვდებით, ალბათ, რომ მეორე ეტაპზეა ლაპარაკი); თუმცა, „ტრადიციას“ არ ვარღვევდით და ამა თუ იმ ტურში თავგამოჩენილ მწვრთნელსა თუ ფეხბურთელს დამსახურებებს არ ვუკარგავდით.

ბოლოს და ბოლოს, ტურის ექვსი მატჩიდან თუ ერთი ან ორი, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ სუფთად მიგვაჩნდა, დანარჩენ შეხვედრებში მონაწილე მწვრთნელ-ფეხბურთელები ამის გამო რატომ უნდა დაზარალებულიყვნენ? მოკლედ, ჩემპიონატის ფინიშამდე არც ერთი ტური არ „ჩაგვიგდია“, მაგრამ აი, ბოლო ტურის სიმბოლური ნაკრების შედგენა კი მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ! რატომ? ქვედა ექვსეულში ვითომ დიდი ინტრიგა უნდა ყოფილიყო, ამ დროს კი, სამივე მატჩი ადვილად პროგნოზირებადი შედეგებით დამთავრდა! თითქმის მსგავსი სიტუაცია იყო ზედა ექვსეულშიც, სადაც წყვილის ფავორიტებმა, მოლოდინისამებრ, უიოლესი გამარჯვებები მოიპოვეს და, სამივე შემთხვევაში უხვგოლიანი მატჩები ვიხილეთ. კი ბატონო, — ერთი მხრივ, ცუდი მართლაც არ არის, როცა სეზონის ფინიშზე ჩვენი ფეხბურთელები ასეთ შესაშურ შედეგიანობას ავლენენ, მაგრამ გოლ(ებ)ს მაშინ აქვს ფასი, როცა ნაღდი თამაშია; აქვე, აუცილებლად უნდა განვმარტოთ: არაფერს არ ვამტკიცებთ, თითქოსდა, ბოლო ტურის ესა თუ ის მატჩ(ებ)ი გარიგებული იყო; უბრალოდ, გულშემატკივარი სტადიონზე იმიტომ მიდის, რომ სანახაობა ნახოს, უარეს შემთხვევაში იმის ხილვა სურს, ერთი გუნდი მეორეს, შეძლებისდაგვარად რომ ეპაექრება; ჩვენს შემთხვევაში კი, ბოლო ტურში, ზოგიერთმა გუნდმა კაპიტულაცია მატჩის... დაწყებამდე გამოაცხადა! თუმცა, XXIV ჩემპიონატს მთლად ასეთი პესიმისტური ფონით ნუ გავაცილებთ და ბოლო ტურის რამდენიმე გამონათებასაც ვერ ავუვლით გვერდს...



ჩემპიონატის ბომბარდირმა ჩისკომ ზესტაფონთანაც გაიტანა

ფოტო: www.fcdinamo.ge

## საჩემპიონო აკორდი

თბილისის „დინამოს“ ჩემპიონატი ისე დაასრულა, გათამაშების გამარჯვებულს როგორც ეკადრებოდა: **დუშან უჰრინის** გუნდმა მორიგი მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით და თასის ფინალის წინ არსებული მშვენიერი განწყობა კიდევ უფრო „გაილამაზა“: 4:0, 5:0, 4:2, 6:1, — აი, ასეთი ანგარიშებით მოიგო ბოლო 4 მატჩი თბილისის „დინამომ“ და საერთოდაც, მიმდინარე სეზონში გუნდმა 12-ჯერ შეძლო სამი ან მეტი ბურთის სხვაობით გამარჯვება! მაისში მართლაც გოლის „მადა“ გაეხსნა 29 წლის **პეტერ გრაიციარს** — სლოვაკმა ნახევარმცველმა დროის მოკლე პერიოდში 4 გოლი გაიტანა. ალარავის გვიკვირს სეზონის გამორჩეული მეგოლეების შედეგიანი თამაშიც: 32 წლის **ჩისკომ** მორიგი „დუბლი“ შეასრულა და 24 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, 28 წლის **ჯაბა დვალი** (წინა სეზონის გამარჯვებული) კი 20 გოლით მეორე ადგილზე გავიდა.

## ლეგიონერები და დებიუტები

ჩისკოსა და გრაიციარის გარდა, ბოლო ტურში თავი სხვა ლეგიონერებმაც გამოიჩინეს; აღსანიშნავია, რომ „დინამოს“ 30 წლის ცენტრალურმა მცველმა **უსტარიცმა** საქართველოს ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა; „დინამოს“ მეტოქის შემადგენლობაში კი ერთადერთი გოლის ავტორად ასევე ლეგიონერი, 24 წლის **ბოტი გოა** მოგვევლინა. „დილას“ ბრაზილიელი ლეგიონერებიც არ უნდა გამოგვრჩეს: 24 წლის **ნათან ჟუნიორმა** „დუბლი“ შეასრულა, ხოლო **ლეონარდომ** საქართველოს ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა. თუმცა, ბოლო ტურში ლეგიონერთა გოლების გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სხვა ფაქტორიც: უმაღლეს ლიგაში სადებიუტო შეხვედრები ოცამდე ახალგაზრდა ფეხბურთელმა ჩაატარა. ამათგან განსაკუთრებული დებიუტი **მამია გავაშელიშვილს** ჰქონდა — ქუთაისის „ტორპედოს“ 18 წლის ფეხბურთელმა უმაღლეს ლიგაში პირველი მატჩი ჩაატარა და გოლიც გაიტანა! ასევე პირველი გოლები გაიტანეს უმაღლეს ლიგაში ფოთის „კოლხეთის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა — **ალექსანდრე ქორჩილავამ** და **ნიკა სიჭინავამ**. ისე, ფოთის „კოლხეთს“ აშკარად დაუგვიანდა საკუთარი თამაშის „პოვნა“, თორემ უმაღლეს ლიგაში ადგილს... სპორტული პრინციპების დაცვით შეინარჩუნებდა და ახლა „საფეხბურთო ამნისტიის“ იმედადაც არ იქნებოდა...

**გია ტუხაშვილი**

*P.S. ჩემპიონატი მორჩა, მაგრამ სეზონი არ დასრულებულა — ორ დღეში ხომ საქართველოს თასის ფინალია! აი, ამის მერე კი სეზონის ნომინანტებს წარმოგიდგენთ: „ლელოს“ ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელს, მწვრთნელს, მეკარეს, მცველს, ნახევარმცველს, თავდამსხმელს, დებიუტანტს, აღმოჩენას და ასე შემდეგ.*

## ბოლო ტურის სიმბოლური ნაკრები



● ფეხბურთი ყველასათვის

# ნიგერიამ ყველას აჯობა

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდით, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის **ზაურ ფხალაძის** და ცენტრის თანამშრომლის, სასწავლებლის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის, ტურნირის მთავარი მსაჯის **ვახტანგ ბაქანიძის** თანადგომით ჩატარდა ტურნირი მინიფეხბურთში, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მედიკოსის, თსსუ-ის სამედიცინო რეაბილიტაციის „კინეზოთერაპიისა და სპორტული მედიცინის“ ღვაწლმოსილი სპეციალისტის, პროფესორ **რომანოზ სვანიშვილის** დაბადების 85 წლის იუბილეს. ტურნირი თითქმის თვე-ნახევრი მიმდინარეობდა. 5-5-გუნდა ოთხი ქვეჯგუფიდან 2-2 საუკეთესო მეოთხედფინალში გავიდა. ნახევარფინალში მატჩები ასე დამთავრდა: „კატენაჩო“ — „მორგი“ 5:3; „ნიგერია“ — „თბილისი-სიტი“ 4:3 (ძირითადი დრო 2:2). მესამე ადგილისთვის: „თბილისი-სიტი“ — „მორგი“ — 3:1. ფინალი: „ნიგერია“ — „კატენაჩო“ დიდი უპირატესობით მოიგო „ნიგერიამ“ 5:1. მატჩებს სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლებიც ესწრებოდნენ. გამარჯვებული და პრიზიორები თასებით, სიგელებით და მედლებით დააჯილდოვეს იუბილარმა, პრორექტორმა **გია აბესაძემ, ზაურ ფხალაძემ, ვახტანგ ბაქანიძემ.** რომანოზ სვანიშვილმა სტუდენტ ფეხბურთელებს თავისი წიგნები „ფიზიკური დატვირთვა“ და „ორგანიზმის გაკაჟება“ გადასცა საჩუქრად. სხვადასხვა ნომინაციაში გამორჩნენ: კრისტოფერ ზოჰი, კლიფორდ ინჯა, ვიტეს ამაცუ, თენგიზ სისორდია, გიორგი ჭუმბურიძე, გიორგი პაიჭაძე, მირიან ჯიქია, გიორგი სალინაძე. Ⓡ



გამარჯვებულები და ორგანიზატორები

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გაცილების მატჩი




# მილანის ექს-ვარსკვლავები: ერთად გავაცილოთ კალა!

31 მაისს, 20 საათსა და 30 წუთზე „დინამო არენაზე" **კახა კალაძეს** ფეხბურთიდან გააცილებენ. გამოსამშვიდობებელ მატჩში კალაძის მეგობრების გუნდი „მილანს" შეხვდება. „როსონიერის" შემადგენლობაში ითამაშებენ **პაოლო მალდინი, ალესანდრო კოსტაკურტა, ანდრეი შევჩენკო, კრისტიან ვიერი, ფილიპო ინძაგი, რუი კოშტა, ზვონიმირ ბობანი, სერჟინიო** და სხვა ვარსკვლავები. გუნდის მწვრთნელი კი **კარლო ანჩელოტი** იქნება.

მატჩის საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე გაავრცელა ვიდეო-მოსაწვევი, სადაც მალდინი, ინძაგი და ამბროზინი გულშემატკივრებს ქართულად მიმართავენ: *"მოდით სტადიონზე კახას მეგობრებო! ერთად გავაცილოთ კალა! ჩვენ მოვდივართ!"*

მატჩის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელის **დავით მუჯირის** თქმით, კლიპის იდეა მას და I არხის სპორტულ კომენტატორს **დავით მინაშვილს** ეკუთვნით. რაც შეეხება გუნდების შემადგენლობებს, ამ სიას 21 მაისს, "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში 11:00 საათზე დანიშნულ პრესკონფერენციაზე გააჟღერებენ.

საინტერესოა, რომ ეს სამი ფეხბურთელი - მალდინი, ინძაგი და ამბროზინი მონაწილეობდა 2007 წლის მარტში პროფესიული ფეხბურთის ლიგისა და კომპანია "ყაზბეგის" მიერ ორგანიზებულ სარეკლამო აქციაში, რომლის მიზანიც ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაცია და სტადიონზე მაყურებლის მოზიდვა იყო.

მაშინაც, კალაძის თხოვნას სამივე უსიტყვოდ დათანხმდა, თანხა არ მოუთხოვიათ და ქართულად ამეტყველდნენ. მალდინიმ მიზეზი ასე ახსნა: *"არაერთი ვარსკვლავის გვერდით მითამაშია და ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო პარტნიორი კალაძე იყო".*

შეგახსენებთ, რომ კახას გამოსამშვიდობებელ მატჩზე ბილეთები 22 მაისიდან გაიყიდება, ფასი 5-დან 10 ლარამდე იქნება. აქვე გეტყვით, რომ მატჩისთვის საგანგებოდ დამზადებულ ვებ-გვერდზე ჟურნალისტების აკრედიტაცია დაიწყო.

**მერაბ მამულაშვილი**

● პორტუგალია. პრიმეირა ლიგა საგრეში. შეჯამება

# პორტუს 27-ე ტიტული

**დასრულდა** პორტუგალიის ჩემპიონატი, რომელიც ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ჩემპიონობისთვის კვლავ „პორტუ" და „ბენფიკა" იბრძოდნენ და ამ ორის დუელში გამარჯვება ისევ „პორტუს" დარჩა.

## პორტუ და ბენფიკა

29-ე ტურამდე, ორივე გუნდი დაუმარცხებელი იყო. აი, ბოლოსწინა ტურში კი საჩემპიონო მატჩი გაიმართა, რომლის ბედიც 92-ე წუთზე გადაწყდა. 1:1-ზე, ცვლილებაზე შემოსულმა **ლიედსონმა** და **კელვინმა** გაითამაშეს კომბინაცია, რომელიც ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა და ბოლო ტურის წინ, ლისაბონელებმა ლიდერობა მოქმედ ჩემპიონს გადააბარეს.

მართალია, უკანასკნელ ტურში „პორტუ" მესამეზე მყოფ „პაკოშ ფერეირას" სტუმრობდა, მაგრამ ეს გუნდი უმოტივაციოდ იყო და ქულების დაგროვების აუცილებლობის წინაშე არ იდგა. საბოლოოდ, „პორტუმ" 2:0 მოიგო და ქვეყნის ჩემპიონი ზედიზედ მესამედ, ბოლო 8 წელიწადში კი მეშვიდედ გახდა. ყველაზე სამწუხარო კი ის ფაქტია, რომ სტუმართა გამარჯვებაში დიდი წვლილი არბიტრს მიუძღვის. შეხვედრის 22-ე წუთზე, **ჯეიმს როდრიგესი** მეკარესთან პირისპირ გადიოდა, როდესაც მასპინძელთა მცველ **რიკარდოს** ჩაურბინა, მაგრამ უცბად მარჯვენა ფეხი მარცხენას წამოსდო და დაეცა. არბიტრმა პენალტი დანიშნა და რიკარდოც გააძევა. გამეორებაზე ნათლად არ ჩანდა, შეეხო თუ არა რიკარდო კოლუმბიელს, თუმცა ის კი გამოჩნდა, რომ 11-მეტრიანი არ უნდა დანიშნულიყო, რადგან კონტაქტი თუ იყო, იყო საჯარიმოს გარეთ - როდრიგესმა დაცემა საჯარიმო მოედნამდე ორი მეტრით ადრე დაიწყო.

პენალტი **ლუჩო გონსალესმა** გამოიყენა და ამ მომენტში ყველაფერი გაირკვა. ცოტა ხანში „პორტუმ" უპირატესობა ორამდე გაზარდა (**ჯექსონ მარტინესი**). მართალია, მეორე ტაიმში სტუმრებს **მაიკონი** გაუძევეს, მაგრამ ამას არაფერი შეუცვლია. საბოლოოდ, 0:2 და **ვიტორ პერეირას** გუნდი ისევ ჩემპიონია (27-ედ ისტორიაში).

„ბენფიკამ" თავისი მატჩი მოიგო, თუმცა მაინც მეორე ადგილზე დარჩა. **ჟორჟე ჟესუსის** შეგირდებმა ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. „პორტუსთან" 92-ე წუთზე გაშვებულ ბურთს თავი გავანებოთ და გავიხსენოთ, რომ ერთი ტურით ადრე, ლისაბონელებმა შინ „ეშტორილს" ვერ მოუგეს (1:1), რის გამოც „პორტუ"-"ბენფიკამ" ოქროს მატჩის სტატუსი შეიძინა.

საერთოდ, ლისაბონელებისთვის 92-ე წუთი დაწყევლილი გამოდგა. „პორტუსთან" მატჩზე ხომ ვისაუბრეთ და აქვე გავიხსენოთ, რომ ევროპა ლიგის ფინალშიც „ბენფიკამ" მეორე გოლი 92-ე წუთზე გაუშვა. „არწივებს" ტიტულის მოგების შანსი მაინც აქვთ: 26 მაისს, „ბენფიკა" პორტუგალიის თასის ფინალში „ბელენენსეშს" დაუპირისპირდება.



გადამწყვეტი გოლი თავგატეხილმა დანილომ გაიტანა

## მთავარი სენსაცია

ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი მთავარი დადებითი ხასიათის სენსაცია ნამდვილად პორტუგალიაში დაფიქსირდა. „პაკოშ ფერეირამ", რომელიც 1950 წელს არის დაარსებული და ისტორიის განმავლობაში არაფერი მოუგია, მესამე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური მოიპოვა. ამ გუნდს ევროტურნირებზე სულ 6 მატჩი აქვს გამართული (დებიუტი 2007 წელს ჰქონდა) და ამ ექვს შეხვედრაში, „პაკოშ ფერეირამ" მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა (+1 =2 -3 ბურთები: 1:3).

ძალიანაც რომ მოისურვოთ, „ფერეირაში" ასე თუ ისე ცნობილ ერთ ფეხბურთელსაც ვერ იპოვით. არც მწვრთნელ **პაულო ფონსეკას** მიუღწევია მანამდე განსაკუთრებული წარმატებისთვის. 40 წლის სპეციალისტი ამ გუნდში სეზონის წინ დაინიშნა, იქამდე კი „ავეშში" მუშაობდა.

## იმედგაცრუება

ამ ნომინაციაში ერთპიროვნული გამარჯვებული გვყავს. საუბარი, რა თქმა უნდა, ლისაბონის „სპორტინგზე" გვაქვს. ქვეყნის 18-გზის ჩემპიონმა, მიუხედავად ვარსკვლავური შემადგენლობისა, სეზონის უმეტესი ნაწილი გასავარდნი ზონის სიახლოვეს გაატარა. მწვრთნელის პოსტზე **ჟესუალდო ფერეირას** დანიშვნის შემდეგ, გუნდის მდგომარეობა უკეთესობისკენ კი შეიცვალა, მაგრამ „სპორტინგი" მეხუთე ადგილს მაინც ვერ შეწვდა. აღსანიშნავია, რომ ლისაბონელები უკეთ მას შემდეგ ათამაშდნენ, რაც გუნდიდან რამდენიმე სახელოვანი ფეხბურთელი გაუშვეს.

აი იმ მოთამაშეთა ჩამონათვალი, ვინც „სპორტინგი" იანვარში დატოვა: **ჟელსონ ფერნანდესი** (სიონი), **დანიელ კარისო** (რედინგი), **მარატ იზმაილოვი** (პორტუ), **ელიასი** (ფლამენგო), **ვალერი ბოჟინოვი** (ვიჩენცა), **დანიელ პრანიჩი** (სელტა), **ემილიანო ინსუა** (ატლეტიკო), **ბრუნო პერეირინია** (ლაციო). ამ მოთამაშეების გარდა, წელს „სპორტინგის" ღირსებას იცავდნენ: **რუი პატრისიო, ხალიდ ბულარუზი, მარკოს როხო, სტეინ სხაარსი, ზაქარია ლაბიადი, დიეგო კაპელი, ხეფრენი, ვალენტინ ვიოლა** და **რიკი ვან ვოლფსვინკელი**.

ასეთი ცუდი შედეგი (მეექვსე ადგილი) „სპორტიგნს" ბოლოს როდის ჰქონდა, რთული გასახსენებელია.

ამავე ქვეთავში ვთქვათ ისიც, რომ უმაღლესი ლიგიდან „მორეირენსე" და „ბეირა მარი" გავარდნენ, მათ ადგილს კი „ბელენენსეში" და „აროუკა" დაიკავებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 30 | 24 | 6 | 0 | 70-14 | 78 |
| 2. ბენფიკა | 30 | 24 | 5 | 1 | 77-20 | 77 |
| 3. პაკოშ ფერეირა | 30 | 14 | 12 | 4 | 42-29 | 54 |
| 4. ბრაგა | 30 | 16 | 4 | 10 | 60-44 | 52 |
| 5. ეშტორილი | 30 | 13 | 6 | 11 | 47-37 | 45 |
| 6. სპორტინგი | 30 | 11 | 9 | 10 | 36-36 | 42 |
| 7. რიუ ავე | 30 | 12 | 6 | 12 | 35-42 | 42 |
| 8. ნასიონალი | 30 | 11 | 7 | 12 | 45-51 | 40 |
| 9. გიმარაეში | 30 | 11 | 7 | 12 | 36-47 | 40 |
| 10. მარიტიმო | 30 | 9 | 11 | 10 | 34-45 | 38 |
| 11. აკადემიკა | 30 | 6 | 10 | 14 | 33-45 | 28 |
| 12. სეტუბალი | 30 | 7 | 5 | 18 | 30-55 | 26 |
| 13. ოლანენსე | 30 | 5 | 10 | 15 | 26-42 | 25 |
| 14. ჟილ ვისენტე | 30 | 6 | 7 | 17 | 31-54 | 25 |
| 15. მორეირენსე | 30 | 5 | 9 | 16 | 30-51 | 24 |
| 16. ბეირა მარი | 30 | 5 | 8 | 17 | 35-55 | 23 |

ბომბარდირები: 26 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 20 - ლიმა (ბენფიკა); 17 - ოსკარ კარდოსი (ბენფიკა); 14 - რიკი ვან ვოლფსვინკელი (სპორტინგი).

**ტატო ბაციკაძე**

● ლიგა 1



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

# იბრაჰიმოვიჩი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელია

საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ პრიზები ჩამოარიგა. „ლელო" რამდენიმე დღის წინ ნომინანტების შესახებ წერდა, გუშინ კი გამარჯვებულთა ვინაობა და წლის სიმბოლური ნაკრები გაირკვა.

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ლიგა 1-ის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. „ბრესტთან" გატანილი ორი გოლის შემდეგ, 31 წლის შვედის ანგარიშზე უკვე 29 ბურთია, რაც შესანიშნავი შედეგია. ამაზე მეტი გოლი უკანასკნელად 1989/90 წლების სეზონში **ჟან-პიერ პაპენმა** გაიტანა - 30.

*„საკმაოდ რთული სეზონი გამოდგა. ჩვენ ფავორიტები ვიყავით და ყველას ჩვენი დამარცხება სურდა. პარიზთან მიმართებაში ჩემი საუკეთესო მოგონება იქნება ის, რომ 19-წლიანი პაუზის შემდეგ გუნდს საჩემპიონო ტიტული დავუბრუნეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ მე პსჟ-სთვის რაღაც გავაკეთე, რის გამოც ძალიან ამაყი ვარ. დიდი მადლობა მთელ ქალაქს, ამ პრიზს თითოეულ პარიზელს ვუძღვნი,"* - განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

ზლატანის თანაგუნდელი, **სალვატორე სირიგუ** წლის საუკეთესო მეკარის პრიზის მფლობელი გახდა, წლის მწვრთნელებად კი **კარლო ანჩელოტი** და „სენტ ეტიენის" დამრიგებელი **კრისტოფ გალტიე** დაასახელეს.

*„სეზონის სტარტზე თუ მეტყოდით, რომ ჩვენ 32-წლიანი პაუზის შემდეგ პირველი ტიტულს მოვიპოვებდით, ნამდვილად არ დაგიჯერებდით, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ეს შევძელით. გარდა ამისა, ჯერ კიდევ გვაქვს მესამე ადგილის დაკავების შანსი. ამ ტიტულის მოგებით ძალიან ბედნიერი ვარ და მიხარია, რომ მას კარლო ანჩელოტისთან ერთად მივილებ,"* - ეს უკვე კრისტოფ გალტიეს სიტყვებია.

როდესაც ნომინანტები გაგაცანით, მოგახსენეთ, რომ წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზის მოგების მთავარ კანდიდატად ფრანგ ჟურნალისტებს „მონპელიეს" ნახევარმცველი **რემი კაბელია** მიაჩნდათ და იქვე დავამატეთ, რომ ჩვენი აზრით, აღიარებას უფრო **ფლორიან ტოვენი** იმსახურებდა. საბოლოოდ, პრიზი სწორედ ტოვენმა მიიღო, რომელიც „ბასტიაში" კი თამაშობს, მაგრამ „ლილს" ეკუთვნის და მომავალ სეზონში „ძაღლებში" ითამაშებს.

სეზონის საუკეთესო გოლად კი „ევიანის" ფორვარდის, **საბერ ხელიფას** მიერ, 36-ე ტურში „ნიცას" კარში, მოედნის საკუთარი ნახევრიდან გატანილი გოლი დასახელდა.

ბოლოს კი სიმბოლურ ნაკრებსაც შემოგთავაზებთ, სადაც „პარი სენ ჟერმენის" 7 ფეხბურთელი მოხვდა:

**მეკარე:** სალვატორე სირიგუ (პსჟ)

**მცველები:** კრისტოფ ჟალე (პსჟ), ტიაგო სილვა (პსჟ), ნიკოლა ნკულუ (მარსელი), მაქსველი (პსჟ).

**ნახევარმცველები:** დიმიტრი პაიე (ლილი), მარკო ვერატი (პსჟ), ბლეზ მატუიდი (პსჟ), მატიო ვალბუენა (მარსელი).

**თავდამსხმელები:** ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ), პიერ-ემერიკ ობამეიანი (სენტ ეტიენი).

**ტატო ბაციკაძე**

● ბრაზილია. პაულისტა. ფინალი. საპასუხო მატჩი.

# სანტოსის ჰეგემონია დაემხო

**სანტოსი-კორინთიანსი 1:1 (1:2)**

გოლები: 1:0 სისერო (27), 1:1 დანილო (29).

**დასრულდა** სან პაულოს შტატის ჩემპიონატი, რომლის გამარჯვებულიც „კორინთიანსი" გახდა. **ტიტეს** გუნდმა „სანტოსს" საპასუხო შეხვედრაშიც აჯობა და ამ კლუბის სამწლიანი ჰეგემონია დაამხო. **ნეიმარი** და კომპანია პაულისტას ბოლო სამი გათამაშების გამარჯვებულნი იყვნენ. აღსანიშნავია, რომ იქამდე, ბოლო ტურნირი სწორედ „კორინთიანსს" ჰქონდა მოგებული (2009 წელს).

პირველ შეხვედრაში მოპოვებული მინიმალური უპირატესობის შემდეგ (2:1), „ვილა ბელმიროზე" სტუმრებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, თუმცა უშედეგოდ. აი, „სანტოსმა" პირველივე ნორმალური შეტევით იხეირა - სტანდარტულის შემდეგ, ერთი კვირის წინ „სანტოსის" მხრიდან ერთადერთი გოლის ავტორმა **დურვალმა**, თავით ბურთი **სისეროს** დაუგდო, რომელმაც ულამაზესი გოლი გაიტანა - 1:0.

მასპინძლების სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. გაშვებული გოლიდან ზუსტად ორ წუთში, შეტევაზე „კორინთიანსი" გადავიდა და ანგარიში გაათანაბრა. თავი გამოიჩინა **დანილომ**, ვინც **რაფაელ კაბრალის** კარი ახლო მანძილიდან აიღო. ამის შემდეგ, გოლის გატანა ისევ და ისევ სტუმრებს შეეძლოთ, მაგრამ „ტიმაოს" ხან არ უმართლებდა, ხან კი კარგად თამაშობდა რაფაელი, რომელიც 2013 წლის პაულისტას საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.

მეორე ნახევარი საკმაოდ მოსაწყენი იყო და მომენტები თითქმის არ იქმნებოდა. „კორინთიანსი" თამაშს ბოლომდე აკონტროლებდა და მასპინძლებს არაფერს აბედინებდა. საბოლოოდ, შეხვედრა 1:1 დასრულდა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონმა საკუთარი შტატის ჩემპიონატიც მოიგო. „კორინთიანსი" პაულისტას გამარჯვებული 27-ედ გახდა, რაც საუკეთესო შედეგია.



გადამწყვეტი გოლი თავგატეხილმა დანილომ გაიტანა

აქვე, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს და სიმბოლურ ნაკრებს შემოგთავაზებთ:

**პაულისტას საუკეთესო ფეხბურთელი:** ნეიმარი (სანტოსი)

**საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი:** როდრიგო ბირო (პენაპოლენსე)

**საუკეთესო ბომბარდირი:** ვილიამი (პონტე პრეტა) - 13 გოლი

**სიმბოლური ნაკრები** (4-4-2): რაფაელი (სანტოსი) - ალესანდრო (კორინთიანსი), ჟილი (კორინთიანსი), კლებერი (პონტე პრეტა), როდრიგო ბირო (პენაპოლენსე) - ჟადსონი (სან პაულო), პაულინიო (კორინთიანსი), რალფი (კორინთიანსი), დანილო (კორინთიანსი) - გერერო (კორინთიანსი), ნეიმარი (სანტოსი).

აღსანიშნავია, რომ ნეიმარი საუკეთესო მოთამაშედ ზედიზედ მეოთხედ დაასახელეს. სულ ნეიმარმა სან პაულოს შტატის ჩემპიონატში ხუთჯერ ითამაშა. მისმა გუნდმა სამჯერ იმარჯვა, ორჯერ კი ფინალში დამარცხდა და ორივე შემთხვევაში „სანტოსის" მეტოქე „კორინთიანსი" იყო (2009 და 2013 წლებში).

**ტატო ბაციკაძე**

ბერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტურის შეჯამება

# იუპის ცრემლები

## ჰაინკესი უკვე ლეგენდაა და თუ ლიგაც მოიგო...



იუპ ჰაინკესმა გლადბახთან მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ემოცია ვერ დამალა

მნიშვნელობა არა აქვს, მიუნხენის „ბაიერნის" მტერია, თუ მოყვარე - ეს კადრი გულგრილს არავის დატოვებს...

რეკორდმაისტერმა ტრიუმფალური სეზონის ბოლო მატჩი ბუნდესლიგაში ისტორიული მეტოქის მოედანზე მიონხენგლადბახში 4:3 მოიგო, ეს გახლდათ „ბაიერნის" მე-16 გამარჯვება მეორე წრის 17 ტურში, მიუნხენელებმა სეზონი დორტმუნდის „ბორუსიასთან" 25-ქულიანი უპირატესობით დაამთავრეს, ჯამში 91 ქულა დააგროვეს და ბურთების შეფარდებას არ იკითხავთ? 98:18! მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კი „ბაიერნის" თავკაც **იუპ ჰაინკესს** ცრემლები წამუვიდა...

„ბაიერნის" ასეთი სეზონი პირველ რიგში სწორედ მისი, 68 წლის „დონ იუპის" დამსახურებაა, რომელიც „ბაიერნს", მიუნხენს და ზოგადად ბუნდესლიგას სამუდამოდ დაემშვიდობა. მის ხელში რეკორდმაისტერისთვის ბოლო ორი მატჩი ჩემპიონთა ლიგისა (25 მაისს) და გერმანიის თასის (1 ივნისს) ფინალები იქნება.

*„ეს ჩემთვის ძალიან ემოციური მომენტია. როგორც საფეხბურთო, ასევე სამწვრთნელო კარიერაც „გლადბახში" დავიწყე და ბუნდესლიგას სწორედ მიონხენგლადბახიდან ვემშვიდობები. ამ ქალაქთან და ამ კლუბთან ბევრი ტრიუმფი, მარცხი და რამდენიმე კურიოზი მაკავშირებს. მინდა, „ბაიერნის" ფანებთან ერთად, ასეთი თბილი გამომშვიდობებისთვის მადლობა „ბორუსიას" ქომაგებსაც გადავუხადო, რადგან..."* - აქ ჰაინკესს სიტყვა გაუწყდა, მისი სახე ცრემლებმა გადასერა. წინადადების დასრულება „დონ იუპმა" მოგვიანებით-ლა შეძლო: *„ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩემი სამშობლო აქ ქრის."*

იუპ ჰაინკესი ბუნდესლიგის ლეგენდაა - მიონხენგლადბახში დაბადებულმა და გაზრდილმა, ფეხბურთელისა და მწვრთნელის რანგში ყველაფერი მოიგო. ჟურნალისტებმა თვალცრემლიან იუპს მხურვალე ტაში უძღვნეს, მან კი ყველას მადლობა უთხრა, დამშვიდდა და განაგრძო: *„წინ ჩემპიონთა ლიგის ფინალია და ცხადია, ვერ გამოვრიცხავთ იმას, რომ დღეს უკვე „დორტმუნდთან" ფინალზე ვფიქრობდით. ფაქტია, რომ დორტმუნდელებიც ჩვენთან დუელზე ფიქრობდნენ, სხვანაირად საკუთარ მოედანზე „ჰოფენჰაიმთან" არ წააგებდნენ."*

„გლადბახთან" მატჩის შემდეგ ჰაინკესმა შეგირდები შვალმტალში, საკუთარ ვილაში, რაინულ მწვადებზე დაპატიჟა. აღსანიშნავია, რომ ეს წვეულება **ჟერომ ბოატენგის** დამსახურებაა, რომელმაც „ფორტუნასთან" ამასწინანდელ შეხვედრაში (3:2 ბაიერნის სასარგებლოდ) ჰაინკესს სანაძლეო მოუგო.

*„მე ვამბობდი, „ფორტუნასთან" ჩემს პირველ ბუნდესლიგურ გოლს გავიტანმეთქი, ჰაინკესს კი არ სჯეროდა და სწორედ ამ წვეულებაზე დავნაძლევდით. შესანიშნავი საღამო გამოვიდა,"* - ეს ბოატენგის სიტყვებია.

ჰაინკესს „ბაიერნის" მწვრთნელის რანგში ორი მატჩი დარჩა ჩასატარებელი - ორივე ფინალია და თუ ორივე მოიგო, სანაძლეოს ჩამოვალთ, რომ მიუნხენში ძეგლს დაუდგამენ.

**გოტფრიდ ლენცი**

### სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები

„კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 27 | 2.15 |
| 2. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 26 | 2.40 |
| 3. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 28 | 2.46 |
| 4. რენე ადლერი | ჰამბურგი | 32 | 2.73 |
| 5. თომას მიულერი | ბაიერნი | 28 | 2.77 |
| 6. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 29 | 2.78 |
| 7. ტონი კროოსი | ბაიერნი | 24 | 2.78 |
| 8. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 34 | 2.80 |
| 9. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 28 | 2.81 |
| 10. დიეგო ბენალიო | ვოლფსბურგი | 34 | 2.83 |

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 34 | 25 | 10 | 35 |
| 2. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 31 | 34 | 7 | 31 |
| 3. თომას მიულერი | ბაიერნი | 28 | 13 | 13 | 26 |
| 4. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 27 | 10 | 15 | 25 |
| 5. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | დორტმუნდი | 27 | 11 | 13 | 24 |
| 6. მარკო როისი | დორტმუნდი | 32 | 14 | 9 | 23 |
| 7. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 28 | 10 | 12 | 22 |
| 8. საბოლჩ ჰუსტი | ჰანოვერი | 21 | 9 | 11 | 20 |
| 9. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 30 | 15 | 5 | 20 |
| 10. კევინ დე ბრუინი | ვერდერი | 33 | 10 | 9 | 19 |

XXXIV ტურის გმირი

### სეიად სალიჰოვიჩი (ჰოფენჰაიმი)



„ჰოფენჰაიმის" 28 წლის ბოსნიელი ნახევარმცველი დღესაც გუნდის ლიდერია, მაგრამ ეს მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ და ისიც ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში დაამტკიცა. მართალია, **სალიჰოვიჩმა** „დორტმუნდს" ორივე გოლი პენალტით გაუტანა, მაგრამ ეს გმირობისთვის საკმარისი აღმოჩნდა, რადგან ამ გამარჯვებით „ჰოფემ" გადარჩენისკენ უდიდესი და სენსაციური ნაბიჯი გადადგა.

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




დორტმუნდი

# კლოპმა შვებით ამოისუნთქა: ჰუმელსი ფინალში ითამაშებს!



მატს ჰუმელსი ბაიერნთან ითამაშებს

დორტმუნდის „ბორუსიას" ქომაგებს შაბათს, ბუნდესლიგის 34-ე ტურში „ჰოფენჰაიმთან" წაგება ოდნავადაც არ აღელვებდათ - მათი მწუხარების მიზეზი დაცვის ბურჯ **მატს ჰუმელსის** ტრავმა გახლდათ. 24 წლის მცველი 75-ე წუთზე დაშავდა და შესაცვლელი გახდა, მატჩის შემდეგ კი გავრცელდა ხმები, რომ დიდი შანსი იყო, ჰუმელსს ჩემპიონთა ლიგის ფინალი გამოეტოვებინა.

მაგრამ გუშინ „დორტმუნდის" სამედიცინო შტაბმა „ბორუსიას" გულშემატკივრები დაამშვიდა: მატსის ტრავმა სერიოზული არაა და „ბაიერნთან" აუცილებლად ითამაშებს. *„კიდევ კარგი, რომ არაფერი გამიწყდა და ტრავმა სერიოზული არაა. დარწმუნებული ვარ, რომ ფინალამდე მწყობრში ვიქნები,"* - უთხრა ჰუმელსმა „შპორტ ბილდს".

მოგვიანებით, „ბორუსიას" ექიმმა დოქტორმა **მარკუს ბრაუნმაც** დაადასტურა, რომ ჰუმელსის თამაში „ბაიერნთან" აბსოლუტურად რეალურია.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### ფლას კაკას შეძენაში ადიდასი დაეხმარება

მადრიდის „რეალის" 30 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი **რიკარდო კაკა** მომავალი სეზონიდან შესაძლოა, „ფლამენგოში" გადავიდეს. ბრაზილიური კლუბი ჯერ 2012 წლის ბოლოს დაინტერესდა კაკას შეძენით, თუმცა „ფლამენგოს" კაკას შეძენისთვის თანხა არ ეყო.

„ფლამენგოს" ვიცე-პრეზიდენტის, **ლუის ედუარდო ბაპტიშტას** წინადადებას უარი თავად ფეხბურთელმა უთხრა. მაგრამ მას მერე კაკას პოზიცია მკვეთრად შეიცვალა. მას ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ **ლუიშ ფელიპე სკოლარი** ბრაზილიის ნაკრებში მიიწვევს მუნდიალისთვის, თუმცა კონფედერაციის თასზე მონაწილეთა შორის კაკა ვერ მოხვდა.

წყაროს ცნობით, „ფლამენგოს" კაკას შეძენაში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია, ცნობილი ფირმა „ადიდასი" დაეხმარება. ამას წინათ, „ადიდასი" „ფლას" ერთ-ერთი ტექნიკური სპონსორი გახდა.

### ანჩელოტის შემცვლელად ლუის ენრიკე?

ფრანგული „პარი სენ-ჟერმენი" ახალი სეზონიდან შესაძლოა, „რომას" ყოფილმა თავკაცმა **ლუის ენრიკემ** ჩაიბაროს. ამის შესახებ იტალიური პრესა იუწყება. წყაროს ცნობით, **კარლო ანჩელოტის** „რეალში" შესაძლო გადასვლის შემდეგ, ესპანელი მთავარი კანდიდატი გახდება.

ფრანგულ კლუბში არ აქცევენ ყურადღებას ესპანელი სპეციალისტის რომაულ წარუმატებლობას, მათ კარგად ახსოვთ, როგორი წარმატებული იყო ლუის ენრიკეს გაწვრთნილი „ბარსელონას" სარეზერვო გუნდი.

შეგახსენებთ, რომ კარლო ანჩელოტიმ უკვე განუცხადა პსჟ-ს ხელმძღვანელობას, რომ წასვლა სურს. იტალიელი „რეალში" **ჟოზე მოურინიოს** შემცვლელად განიხილება,

ანჩელოტიმ „პარი სენ-ჟერმენის" ხელმძღვანელობას წასვლის სურვილი უკვე გაუმჟღავნა

### რაფა ბენიტესი ნაპოლის ახალი თავკაცი?

მიუხედავად იმისა, რომ ესპანელმა სპეციალისტმა **რაფაელ ბენიტესმა** ზედმიწევნით შეასრულა მისი „ჩელსიში", მოიგო ევროპალიგა და მე-3 ადგილი, ის მაინც მიდის ლონდონური კლუბიდან. სავარაუდოდ, ესპანელს „ჩელსიში" პორტუგალიელი **ჟოზე მოურინიო** შეცვლის. როგორც ჩანს, ამჯერად ბენიტესი დიდხანს არ დარჩება უმუშევარი.

იტალიური პრესა ამტკიცებს, რომ ის „ნაპოლიში" **ვალტერ მაცარის** ადგილს დაიკავებს. მაცარის სამხრეთ იტალიიდან აბარგება სურს. პრესის ცნობით, ბენიტესმა წინასწარი თანხმობა უკვე მისცა „ნაპოლის" ხელმძღვანელობას.

„ნაპოლის" პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** გამოაცხადა, რომ გუნდის ახალი თავკაცის სახელს „ტვიტერით" გამოაცხადებს.

მხარეები „მილანში: შექმნილი სიტუაციის გარკვევას ელიან, დარჩება თუ არა იქ **მასიმილიანო ალეგრი**. რა მხრივ არის დაკავშირებული ეს ბენიტესის „ნაპოლიში" მისვლასთან, არ წერენ.

### შევჩენკოს კიევში ვარსკვლავს გაუხსნიან

უკრაინის დედაქალაქ კიევის ცენტრში **ანდრეი შევჩენკოს** სახელობის ვარსკვლავი გაიხსნება. შეგახსენებთ, რომ კიევის „დინამოსა" და „მილანის" ყოფილმა ვარსკვლავმა 2004 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მოიპოვა. ევრო 2012-ის შემდეგ შევჩენკომ ფეხბურთელის კარიერა დაასრულა.

შევჩენკოს ვარსკვლავი კრეშატიკზე, „ვარსკვლავთა ალეაში" განთავსდება. გახსნის ცერემონიალი 25 მაისს გაიმართება და მას თავად ანდრეი შევჩენკოც დაესწრება.

### გალიანი: მწვრთნელის საკითხი 22 მაისს გადაწყდება

„მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** მწვრთნელის საკითხზე ისაუბრა იტალიურ მედიასთან. გალიანიმ განაცხადა, რომ 22 მაისს გადაწყდება გააგრძელებს თუ არა კლუბი **მასიმილიანო ალეგრისთან** თანამშრომლობას, რომლის წაყვანაც „რომას" სურს.

*„ვფიქრობ, ოთხშაბათს, 22 მაისს შევხვდებით და მის მომავალზე შევთანხმდებით. გადაწყვეტილებას კლუბის პრეზიდენტთან ერთად გამოვიტანთ. ჯერ გავიგებთ, რა ხედვები აქვს ალეგრის გუნდის მშენებლობაზე და მომავალი სეზონის გეგმებზე"*, - განაცხადა ადრიანო გალიანიმ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. ბოლო ტურის შეჯამება

# ჯოჯოხეთიდან მობრუნებული გალიანი

## მაცარიმ დაადასტურა: მივდივარ!

სერია A-ს ბოლო ტური მეტად უხვგოლიანი გამოდგა: 10 შეხვედრაში 37 გოლი გავიდა, რაც საშუალოდ ერთ მატჩში 3.7 შედეგიანი დარტყმაა. მოკლედ, შემტევებმა გაილაღეს და ეს არც არის გასაკვირი, რადგან გუნდების უმეტესობა ყველანაირი წნეხისგან თავისუფალი იყო. თუმცა, ბოლო ტურს ინტრიგაც ახლდა თან - ამ და სხვა თემებზე ტურის შეჯამებაში...


გადარეული გალიანი

### დრამატული ფინიში

ყველაზე დაძაბული და დრამატული ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურისთვის ბრძოლა გამოდგა. „ფიორენტინამ“ „პესკარას“ თავიდანვე მოუმთავრა საქმე და ყველაფერი „სიენა“-„მილანის“ პაექრობას უნდა გადაეწყვიტა. ლომბარდიელებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს, სხვა დანარჩენს კი ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე „ფიორენტინა“ გაჰყავდა.

მატჩის წინ **მასიმილიანო ალეგრი** დაპირდა გულშემატკივრებს, რომ **მარიო ბალოტელის** და **ჯამპაოლო პაცინის** ერთად დააყენებდა ძირითად შემადგენლობაში, თუმცა სიტყვა გატეხა და პაცო ისევ თადარიგში დატოვა. მეტიც, ჯამპაოლოს **სტეფან ელ შაარავიც** მიუსვა გვერდით, სასტარტოში კი სუპერ-მარიოსთან ერთად **რობინიო** და **მბაიე ნიანგი** ვიხილეთ. ამან არ გაამართლა და ალეგრი იძულებული გახდა, პირველი შეცვლა შესვენებაზე გაეკეთებინა. მეორე ნახევარში, პაცინიც და ელ შაარავიც მოედანზე იყვნენ, რამაც საბოლოოდ, გამოიღო კიდეც შედეგი. ბოლო წუთებში, სტუმრებმა არათუ **ტერლიცის** მიერ ანტრაქტამდე გატანილი გოლი გაქვითეს, მეორეც შეაგდეს და ნანატრ მიზანს მიაღწიეს.

დიდი გამოხმაურება მოჰყვა გამათანაბრებელ გოლს, რადგან არბიტრმა თერთმეტმეტრიანი საეჭვო ვითარებაში დანიშნა - ბალოტელის ზურგიდან მიაწვა მცველი და თითქოს ხელიც მიაყოლა, მაგრამ სერია A-ში ასეთ პენალტებს იშვიათად ნიშნავენ - ბუნებრივია, მსაჯის გადაწყვეტილება ყველაზე აქტიურად ფლორენციელებმა გააპროტესტეს და აქვე, გავეცნოთ კიდეც რამდენიმე კომენტარს...

**დანიელე პრადე (ფიორენტინას სპორტული დირექტორი):** *„გაორებული შეგრძნება მაქვს - შესანიშნავი სეზონი გვქონდა და არ შეიძლება ეს არ მახარებდეს, მაგრამ ბოლო წუთებში დაკარგულ ლიგის საგზურზე ძალიან მწყდება გული. თანაც, „მილანმა“ გამოგონილი თერთმეტმეტრიანით შეიტანა თამაშში გარდატეხა და ჩემი აზრით, უსამართლოდ მოიგო. არც კი ვიცი, რა აზრი აქვს გაპროტესტებას, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას“.*

**მანუელ პასკუალი (ფიორენტინა):** *„ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას ჩვენ ვიმსახურებდით და ის, რაც სიენაში მოხდა, უსამართლობაა. ვერავის ვერაფერში ვადანაშაულებ, მაგრამ ერთი ვიცი: მიმდინარე სეზონში, ჩვენ „მილანზე“ უკეთესი გუნდი ვვყავდა. „როსონერის“ სასარგებლოდ გამოგონილი პენალტი დანიშნეს, რაც არ გამკვირვებია“.*

**გონსალო როდრიგესი (ფიორენტინა):** *„ის რომ ვთქვა, რასაც რეალურად ვფიქრობ, იტალიაში თამაშს სამუდამოდ ამიკრძალავენ“.*

**ვინჩენცო მონტელა (ფიორენტინას მთავარი მწვრთნელი):** *„ჩვენი გოლები მალევე გავიტანეთ და შემდეგ, მთლიანად ტოსკანურ პაექრობაზე გადავერთე. ბოლომდე მჯეროდა „სიენასი“, მაგრამ საბოლოოდ, მოხდა ის, რაც მოხდა... პენალტი მართლაც საეჭვო იყო და ცუდია, რომ ამხელა დუელის ბედი სწორედ ასეთმა ეპიზოდმა გადაწყვიტა. მიუხედავად ყველაფრისა, მინდა მასიმილიანო ალეგრის და მთლიანად, „მილანს“ კომპლიმენტები ვუძღვნა, ამასთან, ჩემპიონთა ლიგაში წარმატებები ვუსურვო“.*

**ადრიანო გალიანი (მილანის ვიცე-პრეზიდენტი):** *„ჯოჯოხეთში ვიყავი და მადლობა ღმერთს, დავბრუნდი“.*

### მაცარი მარცხით წავიდა

„რომა“-„ნაპოლის“ მატჩი სატურნირო თვალსაზრისით არაფერს წყვეტდა, მაგრამ გუნდების სახელებიდან გამომდინარე, მაინც მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება. გადახალისებული შემადგენლობით მოასპარეზე დედაქალაქელებმა ნეაპოლური გუნდი დაამარცხეს და სეზონის უმთავრესი მატჩის წინ (თასის ფინალი), კარგი განწყობა შეიქმნეს... თუმცა, მთავარი ამბავი მატჩისშემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე მოხდა, როდესაც **ვალტერ მაცარიმ** შემდეგი განაცხადა:

*„ჯერ კიდევ ზამთარში გადავწყვიტე, რომ მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე „ნაპოლის“ დავტოვებდი. აქამდე არაფერი მითქვამს, რადგან არ მინდოდა ამას გუნდზე ცუდად ემოქმედა. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მთელი ამ დროის განმავლობაში გვერდით მედგა. ვამაყობ იმ მიღწევებით, რაც „ნაპოლიში“ მქონდა და ყოველთვის ვიამაყებ. დიდი მადლობა კლუბის მესვეურებს გამოცხადებული ნდობისთვის, ისინი ბოლომდე ცდილობდნენ ჩემს დაყოლიებას, მაგრამ წასვლა მყარად მქონდა გადაწყვეტილი. ჩემს შემცვლელს დიდ წარმატებას ვუსურვებ“.*

ვალტერ მაცარიმ „ნაპოლიში“ სამი სეზონი იმუშავა, ორჯერ მოუტანა გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზური და ერთხელ, იტალიის თასიც მოიგო. მის შესაძლო შემცვლელად **რობერტო დი მატეოს**, **რაფაელ ბენიტესს** და **მარსელო ბიელსას** ასახელებენ. ბუნდოვანია თვითონ მაცარის მომავალი - მას ხან „ინტერში“, ხან „რომაში“ და ხანაც რუსულ „ანჟიში“ უწინასწარმეტყველებენ გადაბარგებას.

### გვიდოლინის სკუდეტო და შერცხვენილი ინტერი

ჩვენთვის სკუდეტო ევროპალიგის საგზურიაო, თქვა „ინტერთან“ მატჩის წინ **ფრანჩესკო გვიდოლინმა** და დაეუფლა კიდეც ამ „სკუდეტოს“. „უდინეზემ“ მიჯრით მერვე მატჩი მოიგო, რაც ამ გუნდისთვის სარეკორდო მაჩვენებელია და ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე ჩაამთავრა. ქებათა ქება გვიდოლინს, მისი გუნდი უკვე მერამდენედ იტოვებს უკან გაცილებით მდიდარ და ამბიციურ გუნდებს - ამჯერად, „რომას“, „ლაციოს“ და „ინტერს“.

ბოლო ტურში, ფრიულელები „ინტერს“ ესტუმრნენ და მეტოქეს განკითხვის დღე მოუწყვეს (5:2)... უმძიმესი სეზონი მილანურმა გრანდმა სამარცხვინო მარცხით „დააგვირგვინა“ და ჩემპიონატი მეცხრე ადგილზე დაამთავრა. **ანდრეა სტრამაჩონის** ისღა დარჩენია, ყველაფრის სუფთა ფურცლიდან დაწყებაზე ილაპარაკოს:

*„დანავსული სეზონი იყო, ტრავმებით და მსაჯთა შეცდომებით გაჯერებული. უნდა გადავშალოთ ეს ფურცელი და ყველაფერი ახლიდან დავიწყოთ. „ნერაძურის“ დიდი პოტენციალი აქვს და ამის დამტკიცებას მომდევნო სეზონში შევეცდებით“.*

### სევდიანი დაბრუნება

„პესკარა“-„ფიორენტინას“ 64-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც თამაშში **ჯუზეპე როსი** ჩაერთო. ამ ამბავს ვერაფრით ავუვლიდით გვერდს, რადგან იტალიის ნაკრების ყოფილი და სავარაუდოდ, მომავალი ფორვარდი აქტიურ სპორტს წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. დიახ, ჯუზეპემ ურთულესი ოპერაცია გადაიტანა, სარეაბილიტაციო პერიოდში „ვილიარეალიდან“ „ფიორენტინაში“ გადაბარგდა და სერია A-ს უკანასკნელ ტურში დაბრუნდა... ნამატჩევს, როსი ბედნიერი და იმავდროულად, სევდიანი გახლდათ - თუ ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელია:

*„ბედნიერი ვარ, რომ ამხელა პაუზის შემდეგ, კვლავ მომეცა თამაშის საშუალება. ურთულესი ტრავმა გადავიტანე და მოედანზე კიდევ უფრო ძლიერი დავბრუნდი. ემოციები მახრჩობს, მაგრამ ამავდროულად, სევდიანი ვარ - „ფიორენტინა“ ჩემპიონთა ლიგის საგზურს იმსახურებდა. რა გაეწყობა, მიზანს მომდევნო სეზონში უნდა მივაღწიოთ“.*

### მოკლე რეზიუმე

- „იუვენტუსი“ ჩემპიონია, „ნაპოლი“ ვიცე-ჩემპიონი და ეს ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირზე იასპარეზებს.

■ ■ ■

- „მილანმა“ მესამე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში მოხვედრას საკვალიფიკაციო ეტაპიდან შეეცდება.


ვალტერ მაცარი „ნაპოლის“ ტოვებს

■ ■ ■

- ევროპალიგაზე „ფიორენტინა“ და „უდინეზე“ იასპარეზებენ, რომლებსაც იტალიის თასის გამარჯვებული დაემატება. აქვე ვთქვათ, რომ თასის ფინალში „რომა“-„ლაციოს“ დაპირისპირებას ვიხილავთ.

■ ■ ■

- სერია A „პალერმომ“, „სიენამ“ და „პესკარამ“ დატოვეს.

■ ■ ■

- გათამაშების ბომბარდირი **ედინსონ კავანი** გახდა, რომლის ანგარიშზეც 29 შედეგიანი დარტყმაა. მეორე ადგილი **ანტონიო დი ნატალემ** დაიკავა 23 გოლით, მესამე-მეოთხე ადგილებს კი **სტეფან ელ შაარავი** და **პაბლო დანიელ ოსვალდო** იყოფენ 16-16 გოლით.

■ ■ ■

- ყველაზე მეტი საგოლე გადაცემა **მარეკ ჰამშიკმა** შეასრულა „ნაპოლიდან“ (14), მეორე ადგილზე **ფრანჩესკო ტოტია** „რომადან“ (12), ხოლო მესამე **ბორხა ვალერო** (11) „ფიორენტინადან“.

### ციფრები და ფაქტები

**დიეგო მარადონას** შემდეგ, ედინსონი კავანი „ნაპოლის“ მეორე ფეხბურთელია, რომელიც სერია A-ს ბომბარდირი გახდა.

■ ■ ■

„სიენა“-„მილანის“ შეხვედრაში, **ფილიპ მექსემ** პირველი გოლი გაიტანა სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში.

■ ■ ■

„მილანს“ არ წაუგია არც ერთი შეხვედრა, რომელშიც მარიო ბალოტელიმ მიიღო მონაწილეობა.

■ ■ ■

მარიო ბალოტელიმ „მილანის“ მაისურით 13 მატჩი გამართა და 12 გოლი გაიტანა.

■ ■ ■

„სიენამ“ „მილანთან“ მიჯრით მე-9 მატჩი წააგო.

■ ■ ■

„ფიორენტინას“ თავდამსხმელმა, **ადემ ლიაიჩმა** პირველი ჰეთთრიკი შეასრულა სერია A-ში. ბოლო 12 მატჩში ადემმა 10 გოლი გაიტანა.

■ ■ ■

**მატი ფერნანდესი** „ფიორენტინას“ მე-16 ფეხბურთელი გახდა, რომელმაც მიმდინარე სეზონში გოლი გაიტანა. ასეთი მაჩვენებელი სხვა არც ერთ გუნდს არ აქვს.

■ ■ ■

„ფიორენტინას“ თავდამსხმელმა ჯუზეპე როსიმ წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ ითამაშა.

■ ■ ■

„პესკარამ“ მიჯრით 9 მატჩი წააგო საკუთარ მოედანზე.

■ ■ ■

„პესკარამ“ სერია A-ს ანტირეკორდი დაამყარა, დამარცხდა რა 28 შეხვედრაში.

■ ■ ■

„იუვენტუსს“ „სამპდორიასთან“ გასვლითი მატჩი 2006 წლის შემდეგ არ მოუგია.

■ ■ ■

„ინტერმა“ მორიგი ანტირეკორდი დაამყარა, წააგო რა 7 მატჩი საკუთარ მოედანზე.

■ ■ ■

„უდინეზემ“ მიჯრით 8 მატჩი მოიგო, რაც გუნდისთვის სარეკორდო მაჩვენებელია.

■ ■ ■

**გაბრიელ სილვამ** „უდინეზედან“, **ჟუან ჟესუსმა** „ინტერიდან“, **მატი ფერნანდესმა** „ფიორენტინადან“ და **მარკო ვიტილიომ** „პესკარადან“, პირველი გოლები გაიტანეს სერია A-ში.

■ ■ ■

„კატანიამ“ რეკორდი გაიუმჯობესა, დააგროვა რა 56 ქულა გათამაშებაში.

■ ■ ■

„ჯენოამ“ ბოლო სამი მატჩი ნულოვანი ფრით დაასრულა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

### ესპანეთი

**ლა ლიგა. XXXVI ტური**

**მალიორკა-ბეტისი 1:0**

გოლი: 1:0 ჰემედი (21)

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - ჰატონი, ჟერომელი, ბიგასი, ლუნა - პინა (35. ტისონე), მარტი - ჯოვ. დოს სანტოსი (90. ნსუე), მარკესი (81. არისმენდი), ვიქტორი - ჰემედი.

**ბეტისი (4-2-3-1):** ადრიანი - ჩიკა, ამაია, მარიო, ნაჩო - რ. პერესი, ბენიატი - კემპბელი (37. პაბონი), სევილია (82. მოლინსი), ხუან კარლოსი (57. ვადილიო) - რ. კასტრო.

**გაფრთხილება:** მარტი, ჰატონი, არისმენდი, ავატე - პერესი, ნაჩო

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 14-3 (7-1); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 12 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 36 | 30 | 4 | 2 | 109-39 | 94 |
| 2. რეალი | 36 | 25 | 6 | 5 | 96-37 | 81 |
| 3. ატლეტიკო | 36 | 22 | 6 | 8 | 62-30 | 72 |
| 4. სოსიედადი | 36 | 17 | 11 | 8 | 66-46 | 62 |
| 5. ვალენსია | 36 | 18 | 8 | 10 | 63-50 | 62 |
| 6. მალაგა | 36 | 15 | 9 | 12 | 49-45 | 54 |
| 7. ბეტისი | 36 | 15 | 7 | 14 | 52-55 | 52 |
| 8. ვალეკანო | 36 | 15 | 4 | 17 | 46-63 | 49 |
| 9. სევილია | 36 | 13 | 8 | 15 | 53-49 | 47 |
| 10. ხეტაფე | 36 | 13 | 8 | 15 | 42-53 | 47 |
| 11. ესპანიოლი | 36 | 11 | 11 | 14 | 43-49 | 44 |
| 12. ბილბაო | 36 | 12 | 8 | 16 | 42-62 | 44 |
| 13. ვალიადოლიდი | 36 | 11 | 10 | 15 | 47-52 | 43 |
| 14. ლევანტე | 36 | 11 | 9 | 16 | 38-56 | 42 |
| 15. გრანადა | 36 | 10 | 9 | 17 | 35-53 | 39 |
| 16. ოსასუნა | 36 | 9 | 9 | 18 | 29-45 | 36 |
| 17. დეპორტივო | 36 | 8 | 11 | 17 | 46-66 | 35 |
| 18. სარაგოსა | 36 | 9 | 7 | 20 | 36-55 | 34 |
| 19. მალიორკა | 36 | 8 | 8 | 20 | 39-70 | 32 |
| 20. სელტა | 36 | 8 | 7 | 21 | 34-52 | 31 |

**ბომბარდირები:** 46 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 34 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 28 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 21 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 20 - ალვარო ნეგრედო (სევილია).

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# ტორესის მშრალი სერიის დასასრული

**ფერნანდო ტორესმა** „სტემფორდ ბრიჯზე" კარიერა 2011 წლის იანვარში დაიწყო. მას მერე გულშემატკივარს ესპანელთან მხოლოდ ერთი სასაყვედურო აქვს: „ელ ნინიოს" ცოტა გოლი გააქვს, თორემ მონდომებასა და გუნდისთვის თავდადებას მას არავინ უკარგავს. პრეტენზიას საფუძველი ნამდვილად აქვს. თავად წარმოიდგინეთ, 29 წლის თავდამსხმელმა მეორე წრეში პრემიერლიგაში მხოლოდ 1 გოლი გაიტანა. „ევერტონამდე" მშრალი სერია 18 შეხვედრა გაგრძელდა. უკანასკნელად ტორესს 23 დეკემბერს „ასტონ ვილასთან" (8:0) შეხვედრაში ჰქონდა გატანილი. მერსისაიდელებთან მატჩში ესპანელმა ინგლისის ჩემპიონატში თავისი მე-80 გოლი გაიტანა. მიმდინარე სეზონში ტორესმა საკლუბო დონეზე 64 თამაში ჩაატარა, 22 გოლი შეაგდო და 11 შედეგიანი გადაცემა შეასრულა, აქედან 8 გოლი და 9 პასი ჩემპიონატში. ამას დაუმატეთ 3 თამაში ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაშიც. 67 შეხვედრა „ელ ნინიოს" აქამდე არასდროს ჩაუტარებია, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ აპირებს გაჩერებას, რადგან „ფურია როხასთან" ერთად კონფედერაციის თასზე გამგზავრებაზე ოცნებობს. ვფიქრობთ, რომ ტორესის თამაშის უარყოფითად შესაფასებლად ძალიან ძნელია, ვინმეს ენა მოუბრუნდეს:

- დარწმუნებული ვარ, რომ სეზონში ჩატარებული თამაშებით რეკორდი დავამყარე, მაგრამ იმედია, რომ კიდევ ვითამაშებ, რადგან წინ ბრაზილიაში კონფედერაციის თასის გათამაშება გველის. მხოლოდ ამის მერე თუ ჩავთვლი სეზონს დახურულად. როცა ტრავმის შემდეგ მოედანს უბრუნდები შენდა უნებურად იმაზე ფიქრს იწყებ, რომ სამომავლოდ მაინც აირიდო დაზიანება, შენი სხეული დამატებით რისკებს მოარიდო. მთავარია, დროულად მოახერხო და ექიმს იქამდე მიაკითხო, ვიდრე პროფილაქტიკა უკვე დაგვიანებული არ არის. ის ფეხბურთელები, რომელთაც მძიმე ტრავმები ჯერ არ ჰქონიათ, ამაზე წინასწარ უნდა დაფიქრდნენ. ამ დროს შეიძლება გეჩვენებოდეს, რომ შენ მსგავსი რამ არ გემუქრება, მაგრამ ეს თითქმის გარდაუვალია. ასაკთან ერთად კი ამის შანსი კიდევ უფრო იზრდება. ამიტომ საკუთარ თავზე მუშაობა უფრო მეტად გიწევს, ვიდრე ამას წარმოიდგენდი.

ხუან მატამ „ჩელსის" საუკეთესო ფეხბურთელად დასახელება დაიმსახურა. არჩევანის გაკეთება მასა და ედენ აზარს შორის რთული იყო, რადგან გუნდისთვის ბელგიელმაც ძალიან ბევრი რამ გააკეთა. თუმცა ხუანის მიღწევები, საიმედოობა და მიზანმიმართულობა განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს. გადატვირთული სეზონის ბოლოს ყველას ძალიან გაგვიჭირდა. მატა კი, ჩემი აზრით, სწორედ ამ დროს ათამაშდა ყველაზე სტაბილურად. შარშან ჩვენ ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ, წელს – ევროპის ლიგა. იმ გუნდის რიგებში საუკეთესოდ დასახელება, რომელიც ასეთ ტურნირებში იმარჯვებს, კიდევ უფრო საამაყოა. იმედია, ის მომდევნო სეზონს კიდევ უფრო მაღალ დონეზე ჩაატარებს.


ფერნანდო ტორესმა აწ უკვე დასრულებული საკლუბო სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა

ვარსკვლავი

# ლეგენდა სახელად კარაგერი

**ჯეიმი კარაგერმა** „ქუინზ პარკთან" მატჩში (1:0) „ლივერპულის" მაისურა 737-ედ მოირგო და „ენფილდზე" საკუთარ გულშემატკივარს გამარჯვებული დაემშვიდობა. კარიერის უკანასკნელ შეხვედრაში მას თავის გამოჩენაც შეეძლო, მაგრამ შორეული დარტყმა კარს ზუსტად ვერ დაუმიზნა. 85-ე წუთზე ბრენდან როჯერსმა მოედანზე მის ნაცვლად სებატიან კოატესი შეუშვა და ამით გადავსებულ სტადიონს კერპთან სათანადოდ გამოთხოვების საშუალება მისცა. თამაშის დასრულების შემდეგ მან „ლივერპულის" ოფიციალურ ვებგვერდს მისცა ინტერვიუ:

- მე არ ვარ ემოციური ადამიანი, მაგრამ დღევანდელი დღე მაინც გამორჩეული იყო ჩემთვის. ტრიბუნებზე შეკრებილი იყვნენ ჩემი ახლო მეგობრები და ოჯახის წევრები. ამის მიუხედავად მაინც მოვახერხე თამაშზე კონცენტრირება. წარმოუდგენელი ატმოსფერო იყო. სეზონის უკანასკნელი თამაში, თანაც „ენფილდზე", სტადიონზე, რომელიც ჩვენთვის მუდამ რაღაც განსაკუთრებულს წარმოადგენდა. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება, რადგან გულშემატკივარმა მართლა დაუვიწყარი გაცილება მომიწყო. „ლივერპულში" წლების განმავლობაში ვთამაშობდი და ახლა იმის გაცნობიერება მიწევს, რომ ამიერიდან აღარასოდეს მომეცემა აქ თამაშის საშუალება. მესმის ისიც, რომ ადრე თუ გვიან ეს მაინც უნდა მომხდარიყო. მართალია მივდივარ, მაგრამ აქაურობასთან ძალიან ბევრი ტკბილი მოგონება მაკავშირებს. პენსიაზე დამშვიდებული გავდივარ, რადგან ვიცი, რომ გუნდი საიმედო ხელშია. ის ნელ-ნელა იზრდება და თანდათან უფრო ანგარიშგასაწევ ძალად ყალიბდება.

## როჯერსი: კარას შეცვლა გაჭირდება

**„ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი აცხადებს, რომ უჭირს იმის წარმოდგენა, თუ როგორ უნდა შეცვალოს ვეტერანი ცენტრალური მცველი. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების მხრიდან არაერთი შეკითხვა დაისვა ამ თემაზე. აი, რა თქვა ჩრდილოირლანდიელმა:**

- სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არ მაქვს, შეიძლება თუ არა კარაგერის სტილის მეორე ფეხბურთელის მოძებნა. მისი დამსახურება მშობლიური კლუბის წინაშე წარმოუდგენლად დიდია. ჯეიმი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო წლების განმავლობაში, მაგრამ ოდესღაც ყველა დიდ ფეხბურთელს უწევს კარიერის დასრულება. „ლივერპულში" თავის დროზე იან რაშიც თამაშობდა. მის ნაცვლად გუნდში ჯონ ბარნსი და პიტერ ბერდსლი მოვიდნენ, რომელთაც თავიანთი სტილი მოიტანეს გუნდში. ამჯერადაც ასე უნდა მოვიქცეთ. უნდა მოვნახოთ ფეხბურთელი, ვინც სათანადოდ შეგვეწყობა.

თამაშის მიწურულს კარაგერის შეცვლას ცხადია თავიდანვე ვგეგმავდი. ყველამ ვნახეთ, თუ რა დონეზე ჩაატარა მან ეს შეხვედრა. მე და მას სეზონის განმავლობაში ხშირად გვქონდა კონტაქტი და ვიცოდი, რომ კარიერის დასრულება გადაწყვეტილი ჰქონდა. ის ყოველთვის გამოირჩეოდა სხვებისგან კლუბისადმი ერთგულებითა და პროფესიონალიზმით. კარა მთელი კარიერის განმავლობაში უმაღლესი დონის ფეხბურთელი იყო. ახალი წლის შემდეგ ჩემპიონატში მან 16 თამაში ჩაატარა და აქედან მხოლოდ ერთხელ დავმარცხდით, რაც იმას ადასტურებს, რომ ასაკის მიუხედავად შესაშურ ფიზიკურ კონდიციებში იყო.

კარა ყოველთვის რჩებოდა ნამდვილ ლიდერად და მებრძოლად. ამის გარდა მას სხვა ღირსებებიც ჰქონდა. მაგალითად პასის კულტურა, თავით თამაშის უნარი და ძლიერი დარტყმა. ყველა უკანახაზელს არ შეუძლია ერთნაირად ეფექტურად ითამაშოს დაცვაშიც და შეტევებშიც. ჯეიმი კი ერთ-ერთი ასეთი იყო.


ჯეიმი კარაგერი „ლივერპულს" 17-წლიანი ერთგული სამსახურის შემდეგ გამოეთხოვა

ამბები


პეპე

## რეალმა პეპეს ფასი დაასახელა

„მანჩესტერ სიტისა" და **მანუელ პელეგრინის** დამოყვრებაზე ინფორმაციას ჯერ არავინ ადასტურებს, მაგრამ პრაქტიკულად ყველა დარწმუნებულია, რომ ეს ასეც მოხდება. როგორც ცნობილი გახდა, ჩილელმა სპეციალისტმა „ქალაქელებს" პირველი სატრანსფერო ამოცანა უკვე დაუსახა. ლაპარაკია მადრიდის „რეალიდან" პორტუგალიური პასპორტის ბრაზილიელი ცენტრალური მცველის, 30 წლის **პეპეს** შეძენაზე. იმის გათვალისწინებით, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" დიდი საკადრო გადაადგილებებია მოსალოდნელი, მადრიდელები უხეშობით სახელგანთქმული ფეხბურთელის გაშვებაზე უარს ალბათ არ იტყვიან. ტრანსფერი 20 მილიონ ფუნტად (23,66 მლნ ევრო) არის შეფასებული.

## იოლის მოთხოვნები

40 წლის **მარკ შვარცერს** „ფულჰემთან" ხელშეკრულება ერთ თვეში ეწურება, ავსტრალიელს სამომავლო გეგმები ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია. მან მხოლოდ ის იცის, რომ ფეხბურთიდან წასვლა არ სურს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ იოლმა** ხელმძღვანელობას უკვე სთხოვა მასთან თანამშრომლობის 1 წლით გაგრძელება. კლუბი ამ ნაბიჯის გადადგმისგან ჯერჯერობით თავს იკავებს, რადგან „ქრეივენ კოტეჯზე" ბრუნდება სეზონის მეორე ნახევარში „ჰალ სიტიში" იჯარით მივლენილი და შესანიშნავად ათამაშებული **დევიდ სტოკდეილი**. საბოლოოდ ვისზე მოუწევს აქცენტის გაკეთება ჰოლანდიელ სპეციალისტს, ჯერჯერობით უცნობია.

## სტიაუას პრეზიდენტი დაპატიმრებულია

**რუმინელი** მილიარდერი, საფეხბურთო კლუბ „სტიაუას" მესაკუთრე **ჯიჯი ბეკალი** ბუქარესტის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანეს. სამართალდამცავებს ის გაფრთხილებული ჰყავდათ, რომ არც კი ეფიქრა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაღწევაზე. როგორც ჩვენი რუმინელი კოლეგები იტყობინებიან, ბიზნესმენს თანამდებობის ბოროტად გამოყენება და სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულად დიდი ოდენობის ზარალის მიყენებაში ედება ბრალი. გამოძიების ვერსიით, ბეკალიმ თავდაცვის ყოფილი მინისტრის **ვიქტორ ბაბიუკის** დახმარებით სამინისტროს ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთები ვითომდაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებლად ჩაიგდო ხელთ. გეტყვით, რომ ბეკალი რუმინეთის პარლამენტის მოქმედი წევრია და სულ რამდენიმე თვის წინათ ქვეყანას ის ევროპარლამენტშიც წარმოადგენდა.

## სატელევიზიო შემოსავლები

ინგლისის პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში 10-დან მხოლოდ 2 შეხვედრას ჰქონდა შერჩენილი სატურნირო ინტრიგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოედნებზე მაინც ბევრი რამ წყდებოდა. თუნდაც წლის ბოლოს სატელევიზიო შემოსავლების გადანაწილების საკითხი. კლუბები თანხას იმის მიხედვით იღებენ, რომელ ადგილს დაიკავებენ საბოლოო ცხრილში. საბოლოო მონაცემები ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. იუნაიტედი | 15 101 240 |
| 2. სიტი | 14 246 178 |
| 3. ჩელსი | 13 591 116 |
| 4. არსენალი | 12 836 054 |
| 5. ტოტენჰემი | 12 080 992 |
| 6. ევერტონი | 11 325 930 |
| 7. ლივერპული | 10 570 868 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 9 815 806 |
| 9. სუონსი | 9 060 744 |
| 10. ვესტ ჰემი | 8 305 682 |
| 11. ნორვიჩი | 7 550 620 |
| 12. ფულჰემი | 6 795 558 |
| 13. სტოკ სიტი | 6 040 496 |
| 14. საუთჰემპტონი | 5 285 434 |
| 15. ასტონ ვილა | 4 530 372 |
| 16. ნიუკასლი | 3 775 310 |
| 17. სანდერლენდი | 3 020 248 |
| 18. უიგანი | 2 265 186 |
| 19. რედინგი | 1 510 124 |
| 20. ქუინზ პარკი | 755 062 |

## მოიესი ველარ ითმენს

„ევერტონის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **დევიდ მოიესი** გუშინ დილის 9 საათზე მანჩესტერში „კერინგტონის" საწვრთნელ ბაზაზე გამოცხადდა. „ეშმაკებთან" 50 წლის შოტლანდიელის ხელშეკრულება ძალაში ოფიციალურად 1 ივლისს შედის, მაგრამ ის იქამდე მოთმენას არ აპირებს. „დეილი მეილის" ვარაუდით, მანჩესტერში მისი ვიზიტის უმთავრესი მიზანი **უეინ რუნისთან** შეხვედრა და 27 წლის ფეხბურთელის დარჩენაზე დაყოლიება უნდა იყოს. ამას გარდა მოიესს კლუბის ტექნიკურ პერსონალთან პირადად შეხვედრა აქვს დაგეგმილი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● ჩემპიონთა ლიგა

# რიცოლი ფინალში

## უეფამ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბაიერნისთვის უილბლო მსაჯი დანიშნა

25 მაისს ლონდონის „უემბლიზე“ სეზონის უმთავრესი მატჩი გაიმართება - ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთმანეთს მიუნხენის „ბაიერნი“ დორტმუნდის „ბორუსია“ შეხვდებიან. უეფამ უკვე დანიშნა ამ შეხვედრის არბიტრი - იტალიელი **ნიკოლა რიცოლი.**

41 წლის რიცოლი 2007 წელს გახდა ფიფას არბიტრი. ამ სეზონში მან ევროთასებზე 5 შეხვედრა განსაჯა.

სხვათა შორის, რიცოლის „დორტმუნდის“ მატჩი ჯერ არასდროს განუსჯია, „ბაიერნის“ შეხვედრის მსაჯი 2-ჯერ იყო და ორჯერვე წააგო გერმანულმა გრანდმა: 2010 წელს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ და 2012 წელს „ბაზელთან“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნიკოლა რიცოლი









ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო. ევროპის ჩემპიონატი



მარცხნიდან: I რიგში - გივი ნადარეიშვილი, შორენა შარაძე, ლევან ნახუცრიშვილი, ვახტანგ ჩიდრაშვილი, უშანგი კუზანაშვილი. II რიგში - ჯონდო მუზაშვილი (უფროსი მწვრთნელი), ლაშა გურული, ნიკო კუცია, ნოდარ მეტრეველი, კახა მამულაშვილი, ირინე ლეონიძე და პაატა ღვინიაშვილი.

# 7 მედლით, მაგრამ უჩემპიონოდ

იტალიურ კრემაში დასრულდა სამბისტთა ევროპის პირველობა სამბოში, სადაც საქართველოს ნაკრები ოქროს გარეშე დარჩა, თუმცა 7 მედალი კი მოიპოვეს - 3 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. აქედან 1 ბრინჯაო ქალთა გუნდის მონაგარია - კონტინენტის პრიზიორი **შორენა შარაძე** (64) გახდა, რომელმაც შარშანდელი შედეგი გაიმეორა.

ვაჟებიდან ვერცხლის მედლებს **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (57), ნიკოლოზ კუცია (82) და ნოდარ მეტრეველი (100) დაეუფლნენ. ამათგან ჩიდრაშვილი ფინალში ბელარუს **არიფ ბაგიროვთან** დამარცხდა, სხვებზე კი ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

ბრინჯაოს მედალოსნები **უშანგი კუზანაშვილი** (62), **კახა მამულაშვილი** (74) და **ლაშა გურული** (100) გახდნენ. ამათგან კუზანაშვილი და მეტრეველი ევროპის შარშანდელი ჩემპიონები არიან (კუზანაშვილი - ქვედა წონაში), თუმცა ტიტული ვერ შეინარჩუნეს.

ისე მოხდა, რომ კვირას და ორშაბათს მოჭიდავე ქართული სამეულებიდან ყველამ მოიპოვა მედალი. ასეთი შედეგის ჩვენება შაბათსაც შეგვეძლო, მაგრამ მიზნამდე თითო მოგება დაგვაკლდა. მაშინაც საჭიდაოდ სამი ქართველი გავიდა - **გივი ნადარეიშვილი** (52), **ლევან ნახუცრიშვილი** (68) და **პაატა ღვინიაშვილი** (90), რომლებმაც დამამშვიდებლის ფინალამდე მიაღწიეს, მაგრამ წააგეს და მეხუთეზე დარჩნენ. ასევე მეხუთეზე გავიდა ქალთა ტურნირის მეორე ქართველი მონაწილე **ირინა ლეონიძეც** (80).

*გაბრიელ ბარჯაძის ფოტო*

ჭიდაობა

# ჭაბუკთა წარმატება

ანტალიაში დასრულდა ჭაბუკ მოჭიდავეთა XVI საერთაშორისო ტურნირი „ვიქტორიის თასი", რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ფალავნები - ჯამში 16 მედალი მოიპოვეს. აქედან 4 ოქროა, 5 - ვერცხლი და 7 - ბრინჯაო. მისასალმებელია, რომ მედალოსანთა შორის გოგონაც გვყავს, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა - **დავით პოლოსიანის** აღზრდილი გორელი **გვანცა კარელიძე** (38) მეორეზე გავიდა.

ბერძენ-რომაელებმა 9 მედალი - 2-2 ოქრო-ვერცხლი, 5 ბრინჯაო და გუნდური მეორე ადგილი მოიპოვეს. ჩემპიონები **ლევან ქავჟარაძე** (58) და **გიორგი მელია** (60) გახდნენ, **დავით ჩხარტიშვილი** (50) და **გიგა ქოქალაძე** (85) მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ, **თორნიკე ჭელიძე** (42), **გიორგი კურტანიძე** (54), **გიორგი გუჯაბიძე** (58), **ნუკრი შავაძე** (76) და **ზვიად პატარიძე** (100) კი მესამეზე გავიდნენ.

„თავისუფლებმა" სამივე სინჯის 2-2 მედალი ირგუნეს, რითაც გუნდურ ჩათვლაში მესამეზე გავიდნენ. საჩემპიონო ტიტულს **შმაგი თოდუა** (46) და **ტარიელ გაფრინდაშვილი** (63) დაეუფლნენ, ვერცხლის მედლები **გიორგი პასიკაშვილმა** (50) და **გივი მაჭარაშვილმა** (76) მოიპოვეს, ბრინჯაოს პრიზიორები კი **რამაზ ზოიძე** (58) და **კონსტანტინე გაბაშვილი** (85) გახდნენ.



გამარჯვებული შმაგი თოდუა

ჭიდაობა. ახალი წესები

# მოჭიდავეები ოლიმპიადას დაუახლოვდნენ

## ლალოვიჩი ოფიციალური პრეზიდენტია

18 მაისს მოსკოვში გამართულმა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა სერბი **ნენად ლალოვიჩი** ოფიციალურად აირჩია ორგანიზაციის ახალ პრეზიდენტად. შეგახსენებთ, რომ ის დროებით ასრულებდა ამ მოვალეობას მას შემდეგ, რაც თებერვალში პოსტიდან გადააყენეს ძველი პრეზიდენტი **რაფაელ მარტინეტი.** ლალოვიჩი ფილა-ს 2014 წელს გასამართ კონგრესამდე უთავკაცებს, როცა ახალი არჩევნები გაიმართება. სერბმა 125 ხმა მიიღო 7-ის წინააღმდეგ.

კონგრესამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მარტინეტიც აპირებდა, რომელმაც თებერვლის ამბების შემდეგ ცოტათი სული მოითქვა და შეტევაზეც გადავიდა. „ლელო" წერდა, რომ მან თებერვალში გამართული ფილა-ს ალმასკომის სხდომის კანონიერება და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ანუ მისი პოსტიდან გადაყენება და ლალოვიჩის არჩევა, ეჭვქვეშ დაყენა. ფილა-მ მისი პრეტენზიები მაშინ კი უარყო, მაგრამ მარტინეტიმ ბიუროს წევრობამდე მაინც მიაღწია. ეტყობა, მეტად ველარ „გაქაჩა" და პრეზიდენტობაზე „დაამუხრუჭეს" - კანდიდატურა არ წამოაყენა, რის შემდეგაც ასრულდა რუსთა მიერ ადრევე თქმული, ლალოვიჩი ერთადერთი და უალტერნატივო კანდიდატურა იქნებაო. მარტინეტიმ „კუდი მაინც მოიქნია" და ბოლო წუთებში ერთი არაორდინალური იდეაც გაახმოვანა - ოლიმპიადის პროგრამაში ჭიდაობის დასაბრუნებლად თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის... გაერთიანება მოითხოვა!

მოსკოვური კონგრესი იმ მხრივაც მნიშვნელოვანი იყო, რომ ფილა-მ წესებში შეტანილი ცვლილებების პაკეტიც წარადგინა და დაამტკიცა ახალი წესები. გადაწყდა - მსოფლიოს წლევანდელი პირველობა განახლებული წესებით ჩატარდება, თუმცა მანამდე მათ რამდენიმე ტურნირში კიდევ გამოცდიან და არაა გამორიცხული, რალაც ისევ შეიცვალოს.

თუმცა მოსკოვში რაც შეცვალეს, ესეც მნიშვნელოვანია და ძირეული. კერძოდ, გაუქმდა ბურთულის ამოღება და დამატებითი დრო. სამი ორწუთიანი პერიოდის ნაცვლად ამიერიდან ორი სამწუთიანი იქნება, ანუ მცირდება პერიოდების რაოდენობა, მაგრამ იზრდება საჭიდაო დროის ხანგრძლივობა, შესვენება კი 30 წამი იქნება. გამარჯვებული დაგროვებული ქულების რაოდენობით გამოვლინდება, როგორც ეს ადრე ხდებოდა, და მკაცრად დაისჯება პასიური ჭიდაობა - პირველ ჯერზე სიტყვიერი გაფრთხილებით, რასაც განმეორების შემთხვევაში უკვე ქულაც დაემატება. იგივე პრინციპი იმოქმედებს ზონიდან გასვლაზეც - ადრე თუ ფეხის გადგმაც ქულით ისჯებოდა, ახლა ასე ფეხის სანტიმეტრების აზომვას ალარ დაიწყებენ, მაგრამ ზონიდან გასვლა ანუ ლეიბიდან გაქცევა დაისჯება. ასევე დაისჯება მცდელობა, მეტოქე გააგდონ ზონიდან. მოგეხსენებათ, ადრე ბევრი არა ილეთის გაკეთებას, არამედ ხელის კვრით გარეთ გაგდებას, ან, უბრალოდ, ძალით მიწოლას და ისე გაყვანას ესწრაფვოდა, ახლა კი ამის გამკეთებელი თვითონ დაჯარიმდება ქულით. ოღონდ ცუდია, რომ ამის გადაწყვეტა მსაჯზეა დამოკიდებული ანუ შეიძლება, არ დასაჯოს. არბიტრებისთვის ამდენი უფლების მიცემა კი ყოველთვის შეიცავს მიკერძოების საფრთხეს. აჯობებს, მკაცრად განისაზღვროს წესებში ყველაფერი, ვიდრე მათ ლავირების საშუალება მიეცეთ. მსაჯის როლი დიდია პასიურობის შეფასებაშიც, სადაც ასევე მოსალოდნელია დანდობა-მიკერძოება. პასიურობასთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიაც ვრცელდება - გაფრთხილებულ მოჭიდავეს 30 წამი მიეცემა შეტევისთვის. ამ ვადაში ილეთს თუ ვერ გააკეთებს, მაშინ ქულა მეტოქეს მიეცემა. დაველოდოთ უახლოეს მომავალს, ვიდრე ყველაფერი გაირკვევა. სიახლეა ისიც, რომ შეჯიბრება არა 13 საათზე, არამედ 10-ზე დაიწყება, რაც მოჭიდავეებს უშუალოდ ტურნირის მსვლელობისას ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს.



ნენად ლალოვიჩი

წესებში სხვა სიახლეებიც შევიდა, თუმცა ბევრი რამ ჯერაც გასარკვევია - კონგრესის მონაწილენი ყველა წვრილმანზე ვერ შეთანხმდნენ. მათ შორისაა ისეთი საკითხებიც, ერთდღიანი იყოს შეჯიბრების ფორმატი თუ - ორდღიანი (ანუ წონის შეხვედრები იმავე დღეს დასრულდეს თუ არა); განითესონ თუ არა ლიდერები და რა პრინციპით... უფრო სწორად, განთესვის საჭიროებაზე შეთანხმდნენ (რათა მთავარი ფავორიტები პირველივე წრეში არ შეხვდნენ ერთმანეთს), მაგრამ პრინციპზე - ვერა.

ახალი წესები უკვე 19 მაისსვე გამოიცადა ლოს ანჟელესში აშშ-ის, რუსეთისა და კანადის სამატჩო შეხვედრაზე, თუმცა საბოლოო ვარიანტის შეჯერებამდე, სავარაუდოდ, კიდევ შეიცვლება რალაცები. მით უფრო, როგორც გითხარით, ეს სატესტო პერიოდია, რაც სწორედ ცვლილებებისთვისაა განკუთვნილი.

ტყვიის სროლა. საქართველოს პირველობა

# დედა-შვილი - კვარცხლბეკზე

გუშინ ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, რომელშიც ქვეყნის ყველა უძლიერესი მსროლელი გამოდიოდა. სამწუხაროდ, ისინი მხოლოდ ორ ქალაქს - თბილისსა და ქუთაისს წარმოადგენდნენ, რადგან, სპორტული ბაზების არარსებობის გამო, სხვაგან სპორტის ეს სახეობა ალარც შემორჩა. ასპარეზობა შაბათს დაიწყო და გუშინ დასრულდა, სამ დღედ კი ფარების სიმცირის გამო გაიწელა.



ლიზი კილაძე

ცხადია, ქალთა შორის უძლიერესი **ნინო სალუქვაძე** აღმოჩნდა, რომელმაც შესარჩევში 379 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე მისივე კლუბის წევრი **თამილა ასათიანი** გავიდა - 370, ბრინჯაო კი 364-იანმა **მეგი ქადაგიძემ** მოიპოვა, ვინც ასევე სალუქვაძის კლუბში ვარჯიშობს.

ვაჟებში უძლიერესი **ბესიკ სირაძე** გამოდგა, მეორე და მესამე ადგილები კი **ლევან ქადაგიძემ** და **ჯუმბერ ოქრუაშვილმა** მოიპოვეს. სამივე მედალოსანი თბილისელია, ოლონდ სირაძე ასკ-ს ტირს წარმოადგენს, დანარჩენები კი სალუქვაძესთან ემზადებიან.

ახალგაზრდა გოგოებმა და ბიჭებმა ცალკე იასპარეზეს. გოგოებში ჩემპიონობა არც ამჯერად დაუთმო ვინმეს ქუთაისელმა **ლიზი კილაძემ**, რომელმაც 373 ქულა დააგროვა. ვერცხლი თბილისელმა **ანა გაგილაძემ** მოიპოვა 368-ით, ბრინჯაო - 364-იანმა **მარიამ მალრაძემ.** გაგილაძე და მალრაძეც სალუქვაძესთან ვარჯიშობენ. თუ შედეგებს დააკვირდებით, კილაძეს უფროსებში რომ ესპარეზა, მეორეზე გავიდოდა, დანარჩენები კი პრიზიორებში მოხვდებოდნენ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, ნიჭიერი თაობა რომ იზრდება და მათ მეტი ხელშეწყობა, მეტი შეჯიბრებები და შეკრებები სჭირდებათ.

ბიჭებში ჩემპიონობა **მიხეილ სანიკიძემ** მოიპოვა, ვერცხლი - ნინო სალუქვაძის შვილმა **ცოტნე მაჭავარიანმა**, ბრინჯაო - **ივანე ჭანკვეტაძემ.** აქაც სამივე მედალოსანი სალუქვაძის ტირს წარმოადგენს.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძე**

**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების, ძალაძების და რაიონების საყურადღებოდ!**

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-16 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჩბოსნობა

# გლდანის ტბაზე კანოეთი და ბაიდარათი

თბილისის, მცხეთის, დუშეთის, ქუთაისის, ფოთისა და რუსთავის 80-მდე წარმომადგენლი მონაწილეობდა გლდანის ტბაზე ბაიდარათი და კანოეთი საქართველოს თასის გათამაშების მე-2 ეტაპში. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს ნაკრების წევრმა **ზაზა ნადირაძემ** (მცხეთა), რომელმაც კანოეთი ოთხი პირველი ადგილი დაიკავა. ასევე იყოჩალა ბაიდარათი ბადრი ყაველაშვილმა (თბილისი), რომელიც ასევე ოთხჯერ იყო ფინიშთან პირველი. სპეციალისტთა და მაყურებელთა სიმპათიები დაიმსახურა **ნიკ მინდოდაურმა,** რომლის მშობლებიც ისრაელში ცხოვრობენ. თავად ნიკიც პირველად გაეჯიბრა ქართველ ნიჩბოსნებს. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ბორის მხეიძემ** გვითხრა, რომ მინდოდაური პერსპექტიული, ნიჭიერი ნიჩბოსანია. იგი ამ დღეებში საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს და ჩვენი ქვეყნის სახელით იასპარეზებს ახალგაზრდების ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე, როგორც ერთ, ისე ორადგილიანი ბაიდარათი და თბილისელ ბადრი ყაველაშვილთან ერთად 2014 წლის მსოფლიო ახალგაზრდობის მეორე ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლად იბრძოლებს. აქვე საქართველოს თასის გათამაშების მეორე ეტაპის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ:



ბადრი ყაველაშვილი



ზაზა ნადირაძე

**გოგონები**

**ბაიდარა**

**200 მ.** 1. ანი გვილავა (მცხეთა). 2. ეკა შაბურიშვილი, 3. მადონა ყარსიმაშვილი (ორივე - დუშეთი). **500 მ.** 1. ეკა შაბურიშვილი, 2. ანი გვილავა,. 3. მადონა ყარსიმაშვილი.

**ვაჟები**

**ბაიდარა**

**ერთადგილიანი. 200 მ.** 1. ბადრი ყაველაშვილი (თბილისი), 2. გიორგი მარტოლეკი (მცხეთა), 2. ნიკ მინდოდაური (თბილისი). **500 მ.** 1 ნიკ მინდოდაური (თბილისი). 2. ლევან სოსელია (მცხეთა), 3. გიორგი ელბაქიძე (დუშეთი). **1000 მ.** 1. ბადრი ყაველაშვილი, 2. ნიკ მინდოდაური (ორივე - თბილისი), 3. ლევან სოსელია (მცხეთა). **ორადგილიანი. 200 მ.** 1. გიორგი მარტოლეკი, ლევან სოსელია (მცხეთა), 2. ნიკა პაიჭაძე, ბადრი ყაველაშვილი (თბილისი), 3. ლაშა კვაჭაძე, რომან ბრეგვაძე (ფოთი); **500 მ.** 1. ბადრი ყაველაშვილი, ნიკ მინდოდაური (თბილისი), 2. გიორგი მარტოლეკი, ლევან სოსელია (მცხეთა), 3. ნიკოლოზ მალლაფერიძე, ზაურ ბერიძე (ქუთაისი), **1000 მ.** 1. ბადრი ყაველაშვილი, ნიკ მინდოდაური (თბილისი), 2. გიორგი მარტოლეკი, ლევან სოსელია (მცხეთა), 3. გიორგი გოგელაშვილი, ემზარ კიკალიშვილი (ქუთაისი).

**კანოე**

**ერთადგილიანი, 200 მ.** 1. ზაზა ნადირაძე (მცხეთა), 2. გიორგი შაბურიშვილი (დუშეთი), 3. ვალერი პესტოვი (მცხეთა). **500 მ.** 1. ზაზა ნადირაძე (მცხეთა), 2. გიორგი შაბურიშვილი, 3. მიხეილ ჭინჭარაშვილი (ორივე - დუშეთი). **1000 მ.** 1. ზაზა ნადირაძე (მცხეთა), 2. გიორგი შაბურიშვილი, 3. მალხაზ ჭინჭარაშვილი (ორივე - დუშეთი). **ორადგილიანი. 200 მ.** 1. ვარლამ ნადირაძე, ზაზა ნადირაძე (მცხეთა), 2. გიორგი შაბურიშვილი, მალხაზ ჭინჭარაშვილი (დუშეთი), 3. ოთარ კაკულია, ლერი კონჯარია (ფოთი). **1000 მ.** 1. გიორგი შაბურიშვილი, მალხაზ ჭინჭარაშვილი (დუშეთი), 2. ვასილ პრესტოვი, ვარლამ ნადირაძე (მცხეთა), 3. ოთარ კაკულია, ლერი კონჯარია (ფოთი).

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტოები

ფარიკაობა

# ვარშავაში მსოფლიოს თასზე

პოლონეთში მოხმალავეთა მსოფლიოს თასის გათამაშებაში 22 ქვეყნის 121 წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის ოთხი ქართველი მოფარიკავე გახლდათ.

ჩვენებურთაგან სხვებზე უკეთ ისპარეზა 18-წლამდელებში ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა **სანდრო ბაზაძემ,** რომელმაც ჯგუფში ექვსიდან ოთხი შეხვედრა მოიგო, პლეი ოფში მარჩინ კონიუჯს (პოლონეთი) სძლია 15:13, მაგრამ მე-2 წრეში ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ ლუიჯი სამელესთან (იტალია) დამარცხდა (6:15) და საბოლოოდ 28-ე ადგილი დაიკავა. პლეი ოფში ასპარეზობის უფლება მოიპოვა **მიხეილ მარდალეიშვილმაც,** მაგრამ პირველივე პაექრობა დათმო კორეელ ბონგლი გუსთან (6:15) და 62-ე ადგილს დასჯერდა. საგულისხმოა, რომ აზიელმა საბოლოოდ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო იტალიელმა გერმანელ ბენედიქტ ვაგნერთან მეოთხედფინალში პაექრობა ერთი ჩხვლეტით (14:15) დათმო და მე-5 ადგილი ხვდა. ფინალში ალიაქსანდრ ბუიკევიჩმა (ბელარუსი) დიეგო ოჩიუზის (იტალია) აჯობა — 15:14 და პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ სლავი სანდრო ბაზაძეზე 9 წლით, რომაელი კი 12 წლით უფროსია. ასე რომ, ჩვენს ბიჭებს, რომლებიც ახლა იკვლევენ გზას უფროსებში და წარმატებითაც, გამოცდილების გასამდიდრებლად ჯერ კიდევ ბევრი გარჯა მოუწევთ.

აქვე შევნიშნავთ, რომ 23-წლამდელებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **ბექა ბაზაძე** 65-ე ადგილზე გავიდა, **საბა სულამანიძე** კი 111-ე იყო.

**ვაჟა დანელია**

სოჭი 2014. ახალი ამბების ესტაფეტა

SOCHI 2014

# ნხლ ფიქრობს

ადრე ცნობილი გახდა, რომ ჰოკეის ნაციონალური ლიგის (ნხლ) მოთამაშეებმა დიდი ალბათობით შეიძლება მონაწილეობა არ მიიღონ სოჭის ოლიმპიადაში. ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **რენე ფაზელმა** ამ დღეებში განაცხადა, რომ საკითხი კვლავაც განხილვის პროცესშია.

„ოფიციალურად ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, მიმდინარეობს მოლაპარაკება, თავი იჩინა მთელმა რიგმა არსებითმა პრობლემებმა. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება. ძალიან გვინდა, რაც შეიძლება მალე გამოვაცხადოთ ოლიმპიადაში ნხლ-ის ჰოკეისტების მონაწილეობის მიღების თაობაზე". - თქვა ფაზელმა.

# ოლიმპიური ჩირაღდანი

14 ათასი მეჩირაღდნე 123 დღის განმავლობაში შემოატარებს მთელ რუსეთს ოლიმპიურ ცეცხლს. პირველად ოლიმპიადების ისტორიაში გამოცხადებულია კონკურსი „ოლიმპიადის მეჩირაღდნის წოდებაზე". მსურველებიდან შეირჩევა 2.000 ყველაზე საინტერესო კანდიდატი. ისე, რომ მთელი მსოფლიო იხილავს კონკურსით შერჩეულ ესტაფეტაში მონაწილე მეჩირაღდნეებს, რომელთა შორის იქნებიან ცნობილი სპორტსმენები, საზოგადო მოღვაწეები, საერთოდ, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, მათ შორის ინვალიდები.

# ოლიმპიური მედლები

სოჭის 2014 ზამთრის ოლიმპიადის და 2014 წლის პარალიმპიადის მედლების პრეზენტაცია გაიმართება 30 მაისს სანკტ-პეტერბურგში.

ამ დღეს ყველა მოუთმენლად მოელის. საქმე ის არის, რომ სოჭის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მედლების დიზაინი განუმეორებელია, გამოირჩევა ადრე გამართული ყველა ოლიმპიადების ჯილდოებისგან, გამოხატავს რუსეთის თავისებურებას და მის თვითმყობადობას".

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

ჩოგბურთი

# ევროპის კორტებსა და მსოფლიო რეიტინგში



ოქსანა კალაშნიკოვა

ქართველი ჩოგბურთელები ამჟამად ბრიუსელში (ბელგია), სტრასბურგსა (საფრანგეთი) და კასერტაში (იტალია) იმყოფებიან: **ოქსანა კალაშნიკოვამ** ბელგიაში (საპრიზო ფონდი 690.000 დოლარი) საკვალიფიკაციოდან ძირითად ბადეში ვერ გაალწია, მაგრამ გუშინ ლატვიელ ლიგა დეკმეირესთან შეამხანაგებულმა წყვილებში შუკო აოიამას (იაპონია) და ტამარინ ტანასუგარნის (ტაივანი) აჯობა 6:4, 6:4 და მეოთხედფინალში პირველ ნომრად განთესილ სანია მირზას (ინდოეთი) და იე ჟენს (ჩინეთი) დაუპირისპირდება, რომლებმაც სტარტზე ევა ჰრდინოვას (ჩეხეთი) და ლინდსეი ლიი-უატერსს მოუგეს - 6:2, 6:4.

**ანა ტატიშვილი** სტრასბურგის ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) ჩაებმება. გუშინ ერთეულთა თანრიგის ძირითად ბადეში „უაილდ ქარდით" დაშვებულ მასპინძელს - კაროლინ გარსიას უნდა შეხვედროდა, მაგრამ უამინდობის გამო მატჩი გადაიდო. ჩვენებური წყვილებში ვესნა დოლონჩთან (სერბეთი) ერთად მე-3 ნომრად განთესილ გარა ბლექსა (ზიმბაბვე) და მარინა ერაკოვიჩთან (ახალი ზელანდია) გაარკვევს ურთიერთობას.

**მარგალიტა ჩახნაშვილი** იტალიური კასერტას 25.000-იანი ტურნირის სტარტზე კაროლინა პილოტს (იტალია) გაუწევს მეტოქეობას.

შეჯიბრება შეჯიბრებად, მაგრამ რა სიტუაციაა ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) განახლებულ რეიტინგში? ბოლო კვირის მონაცემებით, 23 წლის ანა ტატიშვილმა 2 საფეხური დათმო და 778 ქულით 83-ე ადგილზეა. დანარჩენ ჩვენებურთა მდგომარეობა ასეთია: 256 (256). **სოფიო შაფავათა** (212), 320 (320). ოქსანა კალაშნიკოვა (139), 410 (415). **მაკა ჩახნაშვილი** (87), 477 (484). **სოფიო ქვაცაბაია** (66), 539 (542). **ეკატერინე გორგოძე** (432), 829 (825). **ნათია გეგია** (18 ქულა).

წყვილებში კალაშნიკოვა 888 ქულით 98-ეა, ტატიშვილი კი 466 ქულით 111-ედან 158-ე ადგილზე ჩამოქვეითდა.

ვაჟები სან მარინოში დევისის თასზე ევროაფრიკული ზონის მესამე ჯგუფში იბრძოლებენ მე-2 ზონის ორი საგზურისთვის. **ვიქტორ ბაკშის** განკარგულებაშია სამი ჩოგბურთელი: **ალექსანდრე მეტრეველი, გიორგი ცივაძე** და **შოთა მეფარიძე.** ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი გუნდთან ერთად არ არის. პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATF) რეიტინგში ამჟამად მხოლოდ ოთხი ქართველის გვარი ფიგურირებს: 262 (260). **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (176), 965 (959). ალექსანდრე მეტრეველი (10), 1510 (1488). **გიორგი ჯავახიშვილი** (2), 1553 (1537). გიორგი ცივაძე (2).

დღეს სან მარინოში 16 გუნდი წილისყრით 4 ჯგუფში განაწილდება და მეტოქეთა ვინაობასაც შევიტყობთ.

**ვაჟა დანელია**

სუმო. ნაცუ ბაშო. 12-26 მაისი

# 0–9 მეტისმეტია

0-9 - ასეთია **ლევან გორგაძის (ტოჩინოშინი)** ახალი ანტირეკორდი პროფესიულ სუმოში: 9 დღეა ქართველს, რომელიც ელიტაშიც კი გამორჩეული ფალავანია, ერთი ორთაბრძოლაც ვერ მოუგია!

ამჯერად, ჩვენებურმა ისეთ სუმოისტთან წააგო, რომელსაც ასევე არ ჰქონდა ზაფხულის ბაშოზე გამარჯვება მოპოვებული. თავიდან თითქოს, ტოჩინოშინმა შეუტია **ტაკარაფუჯის,** მაგრამ შემდეგ იაპონელმა იგდო ხელთ ინიციატივა. ამ ბრძოლაში გამოჩნდა, რომ ლევანი ძველებურ ჯანზე ვერ არის. ტოჩინოშინის მორიგი მეტოქე **ტოიონოშიმაა** (4:5 ურთიერთშეხვედრებში).

სამაგიეროდ, გვახარებს **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ).** ბაშოს მე-9 დღეს მან ბრაზილიელი **კაისეი** დაამარცხა. ქართველმა სამხრეთამერიკელს დაჯახების შემდეგ შეტევის საშუალება არ მისცა და მეთოდურად გაიყვანა დოჰიოს რკალიდან. 6-3 ასეთია გაგამარუს ბალანსი და ახლა ის **ტაკეკაძეს** შეხვდება (5:3 ურთიერთშეხვედრებში).

**IX დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰოაოიამა (ჰიკიოტოში), ჰარუმაფუჯი-გოეიდო (უვატენაგე), კისენოსატო-ტოიონოშიმა (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-კაკურიუ (იორიკირი), ტაკარაფუჯი-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), **გაგამარუ**-კაისეი (ოშიდაში).

**საჭურნირო მდგომარეობა**

**9-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა); კისენოსატო (ოძეკი).

**8-1:** კაკურიუ (ოძეკი)... **6-3: გაგამარუ** (მაეგაშირა 11)... **0-9: ტოჩინოშინი** (მ 2).

**X დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯიშოჰოზანი, ჰაკუჰო-გოეიდო, კაკურიუ-არანი, კოტოშოგიკუ-აოიამა, კისენოსატო-კოტოოშუ, მიოგირიუ-ოკინოუმი, **ტოჩინოშინი**-ტოიონოშიმა, **გაგამარუ**-ტაკეკაძე.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერლიგა 2012-13. ფინალი

# დანინაურდა შსს

20 მაისი, თბილისი. სპორტის სასახლე

| | ოლიმპი | შსს აკადემია |
|---|---|---|
| | 71 | 79 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 18 | 14 | 17 | 22 |
| შსს აკადემია | 21 | 16 | 22 | 20 |

| ოლიმპი | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გულისაშვილი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ტომარაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სოკი | 33 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 15 |
| ბერიშვილი | 32 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 21 |
| თენიეშვილი | 7 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ფაკაცია | 36 | 7 | 7 | 1 | 1 | 0 | 10 |
| დვალიშვილი | 8 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მორი | 25 | 4 | 0 | 2 | 0 | 1 | 10 |
| მილოშევიჩი | 34 | 13 | 2 | 4 | 1 | 7 | 13 |
| ანდრიუკატისი | 12 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |

| შსს აკადემია | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიტაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვონი | 33 | 3 | 4 | 1 | 2 | 0 | 21 |
| როგავა | 9 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ბოქოლიშვილი | 27 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 6 |
| ლონდარიძე | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| პრევიტი | 33 | 12 | 6 | 1 | 1 | 0 | 8 |
| ლომოური | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| კუნასი | 20 | 3 | 5 | 3 | 4 | 0 | 9 |
| ბექაური | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| არჩიბექი | 35 | 12 | 2 | 4 | 1 | 2 | 14 |
| რეიმონდი | 26 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 16 |

*მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი*

როგორც მოსალოდნელი იყო, სუპერლიგის ფინალში "ოლიმპი" და "შსს აკადემია" გავიდნენ. მატჩის წინ ორ გა-



მოცდილ მწვრთნელთან მომიწია დალაპარაკებამ. ერთმა შანსები 50-50-ზე შეაფასა, მეორემ – 60-40-ზე "ოლიმპის" სასარგებლოდ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ორივე გუნდი თანაბარი ძალისაა და სერიაშიც თანაბარ ბრძოლებს უნდა დავლოდებოდით.

ასეც მოხდა – მიუხედავად იმისა, რომ შსს-მ "ოლიმპთან" თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა, მეოთხე პერიოდის დასაწყისში **მიხეილ ბერიშვილის** სამქულიანების წყალობით ოლიმპელებმა 9:0 გაქცევა მოაწყვეს და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს – 61:62.

სამქულიანები ვახსენეთ და ამ კომპონენტმა დიდწილად იმოქმედა მატჩის შედეგზე. პირველ ტაიმში მხოლოდ "ოლიმპს" ჰქონდა ჩაგდებული 2 სამიანი, მეორე ნახევარში კი ორივე გუნდმა 8-8 შორეული ტყორცნა გამოიყენა და იოლი წარმოსადგენია, რაოდენ სანახაობრივი გამოდგა მეორე 20-წუთიანი მონაკვეთი.

სხვათა შორის, მას მერე, რაც "ოლიმპმა" სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა (მეოთხე რაუნდში), "შსს აკადემიას" კალათბურთელებმა ასევე სამქულიანებით სხვაობა ჯერ ხუთ ქულამდე გაზარდეს, შემდეგ – რვამდე და საბოლოოდ მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს.

ძალოვნებმა საბოლოოდ მოახერხეს ფარქვეშ უპირატესობის მოპოვება. მართალია, ეს უპირატესობა შთამბეჭდავი არ იყო, მაგრამ გამარჯვებისთვის მაინც საკმარისი აღმოჩნდა.

დღეს სერიის მეორე მატჩია და როგორც მწვრთნელებმა თქვეს, კიდევ უფრო საინტერესო ორთაბრძოლა უნდა გამოდგეს. 18 საათზე სპორტის სასახლეში გელით.

**გეორგიოს კეცელიდისი** (შსს აკადემია):

- როგორც მატჩისწინა პრესკონფერენციაზე აღვნიშნე, დიდი წარმატება იყო ჩვენთვის ფინალში გასვლა. ალბათ, სეზონის დასაწყისში ზოგი არც ელოდა ჩვენგან ამ შედეგს. მოვედით, რათა აღგვენიშნა ფინალში გასვლა და ამ სიხარულს დაემატა საქართველოს საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ გამარჯვება. ჩემს მოთამაშეებს ყოველთვის ვეუბნები, რომ „ოლიმპთან" თამაშისას, რომელსაც ძალიან კარგი შემადგენლობა და მწვრთნელი ჰყავს, არასდროს შეიძლება მოდუნება. დაახლოებით 3 წუთის განმავლობაში კონცენტრაცია დავკარგეთ და მაშინვე მეტოქემ 3 სამქულიანი ჩააგდო. ორივე გუნდისთვის ძალიან რთული იქნება ხვალინდელი თამაში, რადგან წარმოუდგენელია, ზედიზედ ორი თამაშის ასეთ დონეზე ჩატარება. დავისვენებთ და განვეწყობით მეორე მატჩისთვის და შევეცდებით კიდევ ერთი გამარჯვება მოვიპოვოთ.

**გია კაზანჯიანი** (ოლიმპი):

- ვულოცავ „შსს აკადემიას" გამარჯვებას. ყველა კომპონენტში გვაჯობეს - მოხსნებში, პასებში, ჯარიმებში. შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა. თუმცა, სერია ახლა დაიწყო, ყველაფერი წინაა და ვეცდებით ხვალ უკეთესად ვითამაშოთ როგორც დაცვაში, ისე შეტევაში.

**ბენჯამინ რეიმონდი** (შსს აკადემია):

- განსხვავებით თასის გათამაშებისა, სუპერლიგის ყოველ თამაშს ისე ვუყურებთ, როგორც ფინალს და მაქსიმუმს ვაკეთებთ.

**მიხეილ ბერიშვილი** (ოლიმპი):

- იმედია, გამოვასწორებთ შეცდომებს და აგრესიულად შევხვდებით მეორე თამაშს. გპირდებით, ხვალინდელი შეხვედრა კიდევ უფრო დაძაბული და საინტერესო იქნება.

საქართველოს ჩემპიონატი. U-16

# ოქრო შსს აკადემიასია

**ფინალი**

**20 მაისი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**მართვე 2–შსს აკადემია 76:85**

19:20, 16:19, 21:22, 20:24

**მართვე 2:** გელოვანი (8ქ), ძანძავა, ჭიჭველიშვილი (10ქ), ლომიძე (27ქ, 14მ, 6პ, 4ჩ), ნიკოლაიშვილი (15ქ, 15მ), სანაია (14ქ, 7მ), ტამლიანი (2ქ), აბაშიძე, ეჯიბია, კვინიკაძე-ბარტყულაშვილი.

**შსს აკადემია:** დოლიძე, ქვარაია (6ქ, 8მ), გოგალაძე (25ქ, 4პ), ფალავა (12ქ, 4პ), ისიანი (27ქ, 19მ, 3ჩ, 7დ), მარიამიძე, ტულუში, მჭედლიშვილი (6ქ, 9მ, 4პ), ჩაჩხიანი, შერაზადიშვილი, სხირტლაძე (7ქ), კუტალაძე, ლვინიანიძე.

**მსაჯები:** დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი, გ. მიქელაძე



თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა 16-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალური სერიის მეორე მატჩი. პირველი შეხვედრა „შსს აკადემიას" ჰქონდა მოგებული და მეორედ გამარჯვების შემთხვევაში ქვეყნის ჩემპიონობას მოიპოვებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ფავორიტმა ამჯერადაც მოიგო და **გიორგი ნიკოლაძის** გაწვრთნილი „აკადემია" ოქროს მედლებს დაეპატრონა.

მატჩის ბომბარდირობა მართველმა **დავით ლომიძემ** და შსს-ელმა **ვილი ისიანმა** გაიყვეს. მათ 27-27 ქულა ჩააგდეს. ვილის სამმაგ დუბლამდე 3 დაფარება დააკლდა. მის ანგარიშზე 27 ქულის გარდა 19 მოხსნა და 7 დაფარებაა. სნაიპერებს 2 ქულით ჩამორჩა **ლევან გოგალაძე** - 25 ქულა.

სუპერლიგა 2012-13. III ადგილისთვის

# მესამე არმიაა

**20 მაისი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**არმია–ქუთაისი 68:57**

23:9, 16:17, 15:16, 14:15

**არმია:** გამყრელიძე (8პ, 4ჩ), ბოისა (3ქ), ნივნივაძე (3ქ), ლეჟავა (11ქ, 11მ, 3პ, 3ჩ), საყვარელიძე (7ქ, 6მ), შარაბიძე (8ქ, 6მ), ჯგერენაია (9ქ, 6მ), ფარლალავა (27ქ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (5ქ, 4პ), ბაბუნაშვილი, დიდია (5ქ, 6მ), კვიმსაძე (15ქ, 3პ), დ. ბარბაქაძე (2ქ), გ. ბარბაქაძე (15ქ), მათიაშვილი (15ქ, 19მ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი

"ქუთაისმა" შარშანდელი შედეგი ვერ გაიმეორა. მესამე ადგილისთვის მატჩში თბილისში, "არმიასთან" 57:68 დამარცხდა. თავის მხრივ კი არმიელები უტიტულოდ არც ამჯერად დარჩნენ. მათ ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში ჩემპიონობა არ დაუთმიათ, წლეულს კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

მატჩის საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა პირველმა პერიოდმა, რომელშიც "არმიას" ყველაფერი გამოუვიდა, "ქუთაისს" – არაფერი. ამაში თავად დარწმუნდებით თუ მეოთხედების ანგარიშებს გადახედავთ.

შეხვედრა მინისტრთან




# ატლანტაში სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ...

გუშინ სპორტის სამინისტროს **ზაზა ფაჩულია** სტუმრობდა. იგი მინისტრ **ლევან ყიფიანს** შეხვდა, რის შემდეგაც პრესკონფერენცია გაიმართა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ზაზასთან შეხვედრისას არაერთ საკითხს შეეხნენ:

- ფაჩულიას დონის კალათბურთელი ბევრი არ გვყავს და მისი გამოცდილება ნამდვილად სასარგებლოა. ზაზა დავპატიჟეთ 26 მაისს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ზეიმზე, გაიმართება ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მათ შორის კალათბურთში და ზაზა ფაჩულიას მისვლა დიდი სტიმული იქნება.

ამის შემდეგ „ატლანტას" ქართველი კალათბურთელის მისამართით დაისვა შეკითხვები. დავინტერესდით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით.

- პროგრესი აშკარაა, მკურნალობა კარგად მიმდინარეობს. ექიმთან კონსულტაციის შემდეგ ეგრეთ წოდებული ჩექმა უკვე გავიხადე და ჩვეულებრივად დავდივარ. არ ვიცი ეს რისი ნიშანია, წინ ვუსწრებ დაგეგმილ რეაბილიტაციის პროცესს, თუ არა, მაგრამ ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც ჩემი კარიერისთვის საჭირო იქნება. 13 წელია ნაკრებში ვარ და არაერთი ტარვმა მიმიღია, თუმცა ასეთი ხანგრძლივი დროით არ დამისვენია. სამწუხაროდ, სექტემბერში დაგეგმილი ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება მომიწევს, თუმცა ვიმედოვნებ, რომ რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ ახალი ძალით, ახალი ენერგიით ახალ ეტაპს დავიწყებ. ტრავმის შემდეგ ზოგ კალათბურთელს ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნება. მე კი საკუთარი თავის იმედი მაქვს და ამიტომაც ვამბობ, უფრო ძლიერად დავბრუნდები-მეთქი.

ფაჩულიას მის შემცვლელზეც ვკითხეთ. როგორც ფედერაციაში გვითხრეს, ტანმაღალი ამერიკელის დამატებასაც აპირებენ.

- როცა მოედანზე ვარ, სიტუაციასაც ვაკონტროლებ. ახლა კი საქართველოს ნაკრებში ვერ ვითამაშებ და ნამდვილად ვერ გეტყვით, ტაქტიკური თვალსაზრისით რა შეიცვლება გუნდში. ალბათ, ჩემს შემცვლელს მეტი სათამაშო დრო ექნება და იმედი მაქვს, თავსაც გამოიჩენს. რაც შეეხება უცხოელს, ლეგიონერის ჩამოყვანა-არჩამოყვანის საქმეში არ ვერევი. ეს მწვრთნელის პრეროგატივაა. თუმცა, ქართველებიც კარგი მოთამაშეები არიან...

ზაზას „ატლანტასთან" კონტრაქტი ივნისში ეწურება. როგორც თავად აღნიშნა, სადღეისოდ ოპერაციისშემდგომ რეაბილიტაციაზეა ორიენტირებული და სატრანსფერო საკითხზე ნაკლებად ფიქრობს.

- 8 წელია, ატლანტაში ვცხოვრობ და იქაურობასთან შეგუებული ვარ. ატლანტაში ბევრი კარგი დღე მქონია და მითქვამს კიდეც, რომ ამერიკაში ჩემი სახლი სწორედ ეს ქალაქია. ჯორჯიის შტატში სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ კალათბურთი ბიზნესია და საბოლოოდ ჩემი და ჩემი ოჯახისთვის საუკეთესო ვარიანტს ავარჩევ.

ფაჩულიამ ბრუკლინელ ახალწვეულ **თორნიკე შენგელიაზეც** ილაპარაკა:

- მას ბავშვობიდან ვიცნობ, ჩემი უახლოესი ადამიანია. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ნამდვილი პროფესიონალია. ამიტომაც მიაღწია NBA-მდე. ველოდი, რომ „ბრუკლინის" დარ ძლიერ გუნდში დამკვიდრება იოლი არ იქნებოდა, მით უმეტეს ევროპიდან ჩასული ახალგაზრდა კალათბურთელისთვის. თუმცა მთავარია, რომ პირველმა სეზონმა ჩაიარა, თორნიკეს შანსი რამდენჯერაც მიეცა, თავი დადებითი კუთხით წარმოაჩინა, როგორც NBA-ის განვითარების ლიგაში, ასევე ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში. დარწმუნებული ვარ, შენგელიას NBA-ში ხანგრძლივი და საინტერესო კარიერა ელის.

ქართველი უკრაინაში



# ცამეტი

უკრაინის ჩემპიონატში მესამე ფინალური მატჩი გაიმართა. **გიორგი ცინცაძის** "ბუდიველნიკმა" სტუმრად "აზოვმაშთან" 74:86 დათმო და სერიაში 1:2 ჩამორჩა (4 მოგებამდეა). მომდევნო შეხვედრა ისევ მარიუპოლშია – 22 მაისს.

გუშინ ცინცაძემ 28 წუთი ითამაშა, 13 ქულა (6-დან 5 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 7 პასი და 3 მოხსნა მოაგროვა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თბილისის თასი

# სამხრეთ აფრიკა და ირლანდია ემზადება

თბილისში, 7 ივლისს ახალ ტრადიციულ ტურნირს ჩაეყრება საფუძველი, რომელიც რაგბის საერთაშორისო საბჭოს ეგიდით გაიმართება. თბილისის თასის პირველ გათამაშებაში საქართველოს ნაკრებთან ერთად ურუგვაის ეროვნული გუნდი, მზარდი ირლანდია და სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები იასპარეზებს.



პუმასი - ვოდაკომის თასის ფინალისტი

ჩვენი მეტოქეებიდან, სამხრეთაფრიკელებმა და ირლანდიელებმა გუნდების შემადგენლობა უკვე დაასახელეს. სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრებს, რომელიც ძირითადად იმ მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, რომლებსაც ამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები აქვთ მოვლილი, „პუმასის" მწვრთნელი ჯიმი სტონჰაუსი უთავკაცებს.

სამხრეთაფრიკულმა გუნდმა მზადება ორშაბათიდან კეიპთაუნში დაიწყო. საწვრთნელი შეკრება ორ კვირას გასტანს. 25 მაისს საპრეზიდენტო ნაკრები ნამიბიის ეროვნულ გუნდს გაეჯიბრება და თბილისში 2 ივნისს ჩამოვა.

სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრების შემადგენლობაში „პუმასის" 11 მოთამაშეა. გუნდის, რომელმაც ჩრდილოეთის კონფერენცია მოიგო და „ვოდაკომის თასის" გათამაშების ფინალში გააღწია. ხუთი მორაგბე მიავლინა ნაკრებში „კავალიერსმა", ოთხ-ოთხი კი, „ლეოპარდსიდან" და „ბულდოგსიდანაა".

„ამ გუნდის გამოსვლას თვალს ყურადღებით ვადევნებ. დარწმუნებული ვარ, ის სამხრეთ აფრიკას ღირსეულად წარმოაჩენს საქართველოში.

თბილისში მძიმე ბრძოლები გველის, რადგან საქართველოსა და ურუგვაის ნაკრებებთან მოგვიწევს თამაში, რომლებსაც 2015 წლის მსოფლიოს თასზე თამაშის პრეტენზია აქვთ. ეს შეჯიბრება დიდი გამოცდილება იქნება ჯიმისა და მისი გუნდისთვის. დარწმუნებული ვარ, ისინი ამ ტურნირისგან ბევრ სასარგებლოს მიიღებენ და თავიანთ ცოდნას გაიღრმავებენ. ცხადია, რთული იქნება, მაგრამ თუ მუყაითად იშრომებენ, თბილისში წარმატების მიღწევა შესაძლებელია" - თქვა სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ორეგონ ჰოსკინსმა.**

გუნდის 26-კაციანი შემადგენლობა დაასახელა ირლანდიის რაგბის კავშირმაც. მზარდ ირლანდიას თბილისში „სამყურების" ერთ-ერთი მწვრთნელი **ლი კისი** უთავკაცებს. ირლანდიის ეროვნული ნაკრები კი ამ დროს ჩრდილოეთ ამერიკაში გაემგზავრება ტურნეში.

„ორივე ტურნირი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ჩრდილოეთ ამერიკაში ისეთი გუნდი გავაგზავნეთ, რომელშიც გამოცდილება და ახალგაზრდობაა შეხამებული, თბილისში ის მორაგბეები ითამაშებენ, რომლებმაც ახალგაზრდული ნაკრები ახლახან დატოვეს და საკმაოდ სერიოზული ამბიციები აქვთ. ეს ტურნირი მათთვის დიდი გამოცდა იქნება და იმედი გვაქვს, მას წარმატებით ჩააბარებენ" - თქვა ირლანდიის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ჯო შმიდტმა.**

## მზარდი ირლანდია

**პირველი ხაზი:** რიჩარდ ლატონი, რობერტ ჰერინგი (ალსტერი), ჯეკ მაკგრეითი, შონ კრონინი, მარტინ მური, მაიკ ბენეტი (ოთხივე-ლენსტერი), ჯონ რაიანი (მანსტერი).

**მეორე ხაზი:** დევიდ ფოლი, იან ნეიჯელი (მანსტერი), ლუის სტივენსონი (ალსტერი).

**მესამე ხაზი:** რობი დიაკი (ალსტერი), ევან მაკკოენი (ქონოთი), ჯოდი მერფი, დომინიკ რაიანი, რის რადოკი (სამივე-ლენსტერი).

**№9:** ჯონ კუნი (ლენსტერი), მაიკლ ჰინეი (ალსტერი).

**№10:** იან კეიტელი (მანსტერი), კეტალ მარში (ლენსტერი).

**№11-14:** ენდრიუ კონუეი, ნილ მორისი (ორივე-ლენსტერი), ტირნან ოჰალორანი (ქონოთი),

**№12-13:** მაიკ ალენი (ალსტერი), ბრენდონ მაკენი (ლენსტერი), ევან გრიფინი (ქონოთი).

**№15:** დევიდ კირნი (ლენსტერი).

## სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები

**პირველი ხაზი:** მარტინ დრეიერი (ლეოპარდსი), ივან ესპეგი, ვინსენტ კოხი, ფრენკ ჰერნი (სამივე-პუმასი), ხვეზილოკუსა მხაფუ (ბულდოგსი), ეშტონ კონსტანტი (კავალიერსი).

**მეორე ხაზი:** მარიუს კუცია (პუმასი), ჯიანტ მტიანდა (იგლზი), ბრენდონ სნიმანი (ლეოპარდსი).

**მესამე ხაზი:** ენალდო ბოთმა, იაკო ბოუერი, უზაირ კასიემი (სამივე-პუმასი), ვინსენტ გვავუ (ვალკე), ზანდრე იორდანი (კავალიერსი), ბრაიან შაბანგუ (ბულდოგსი).

**№9:** ნტანდო კებე (კავალიერსი), ინუს კირცინგერი (გიფონსი), სინოვუიო ნიოკა (ბულდოგსი).

**№10:** კარლ ბეზუიდენჰაუტი (პუმასი), რიკარდო კორი (კავალიერსი).

**№11-14:** ალშაუნ ბოკი (იგლზი), ჯო სირანე (ბოლდოგსი), როსკო სპეკმანი (პუმასი).

**№12-13:** ადრიან ენგელბერხტი (ლეოპარდსი), ვილმურ ლოუ, ჯერომ პრეტორიუსი (ორივე-სპუმასი).

**№15:** ჟაკ იანსენი (კავალიერსი), ჰოფმან მარიცი (ლეოპარდსი).

## საქართველო

**პირველი ხაზი:** მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), დავით ქუბრიაშვილი, ლევან ჩილაჩავა (ორივე-ტულონი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე), შალვა მამუკაშვილი (არმია), ირაკლი ნატრიაშვილი (ბრივი).

**მეორე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე).

**მესამე ხაზი:** გიორგი ნემსაძე (ტარბი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბიწაძე (არმია)

**№9:** ვაჟა ხუციშვილი (ხარები), გიორგი ბეგაძე (ბათუმი)

**№10:** ლაშა ხმალაძე (ლელო)

**№11-14:** თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი), გიორგი ფრუიძე (აია), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი).

**№12-13:** დავით კაჭარავა (როდეზი), მერაბ შარიქაძე (აკადემია), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№15:** ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი).

### თბილისის თასი

**7 ივლისი**

ურუგვაი-სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები

საქართველო-მზარდი ირლანდია

**11 ივლისი**

მზარდი ირლანდია-სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები

საქართველო-ურუგვაი

**16 ივლისი**

ურუგვაი-მზარდი ირლანდია

საქართველო-სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები



ირლანდიის ნაკრები

● ზერაგბი



პეტრუს ერასმუს ფან ზილის ლელო

# ლიდერობა ორ კონფერენციაში გაიმყარეს

ზერაგბის გათამაშების მე-15 ტური უცნაური გამოდგა. ავსტრალიის კონფერენციის ორივე ლიდერმა წააგო. ახალი ზელანდიისა და სამხრეთი აფრიკის კონფერენციებში კი გამარჯვებას მიაღწიეს და პოზიციები გაიმყარეს.

## ავსტრალია

ავსტრალიის კონფერენციაში პირველ ადგილზე მყოფმა კანბერას „ბრამბიზმა" სტუმრად ითამაშა სიდნეის „ვორათაზთან" და 22:28 წააგო. კანბერელები 43-ე წუთამდე ანგარიშში წინ იყვნენ და სწორედ ამ დროისთვის შეძლეს მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება - 13:13. გადამწყვეტი უპირატესობა „ვორათაზმა" მატჩის ბოლო ათ წუთში მოიპოვა.

ამავე კონფერენციაში ბოლოადგილოსანმა პერთის „ფორსმა" სამხრეთ აფრიკის კონფერენციის მესამეადგილოსან დურბანის „ნატალ შარქსს" უმასპინძლა და 13:23 წააგო. აღსანიშნავია, რომ პერთელებმა პირველი ტაიმი მცირედი უპირატესობით მოიგეს - 10:7. სტუმრებმა გარდატეხას დასკვნით 20 წუთში მიაღწიეს. მათ ერთი გარდასახული ლელოსა და ორი საჯარიმოს გატანა შეძლეს.

მეორე წყვილში, სადაც ასევე ავსტრალიური და სამხრეთაფრიკული გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. „მელბურნ რებლზმა" დაძაბულ მატჩში კეიპთაუნის „სტორმერზს" მოუგო - 30:21.

### XIV ტური

მელბურნ რებლზი-სტორმერზი 30:21, ფორსი-ნატალ შარქსი 13:23.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბრამბიზი - 46 ქულა, 2. რედსი - 44, 3. ვორათაზი - 38, 4. მელბურნ რებლზი - 28, 5. ფორსი - 19.

### XV ტური

მელბურნ რებლზი-ვორათაზი, ფორსი-ჰაილენდერზი

## ახალი ზელანდია

ახალი ზელანდიის კონფერენციაში ლიდერმა, ჰემილტონის „ჩიფსმა" სტუმრად ითამაშა ველინგტონის „ჰარიკენზთან" და 17:12 მოუგო. დედაქალაქელებმა ჰემილტონელებს სერიოზული წინააღმდეგობა პირველ ტაიმში გაუწიეს, თუმცა სამი ქულის სხვაობით მაინც წააგეს - 9:12. შესვენების შემდეგ სტუმრები მეტი ყურადღებით გაისარჯნენ და მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება შეძლეს.

განსაკუთრებულ ინტერესს კი, ამავე კონფერენციის მესამეადგილოსანის, ზერაგბის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ქრაისთჩერჩის „კუსეიდერზის" და მეორე ადგილზე მყოფი ოქლენდის „ბლუზის" დაპირისპირება იწვევდა. „ჯვაროსნებმა" შინ შესანიშნავად ითამაშეს და მეტოქეს 20 ქულის სხვაობით მოუგეს - 23:3. შედეგად, ქრაისთჩერჩელები სატურნირო ცხრილში მეორე საფეხურზე გადაბარგდნენ. თამაშში მონაწილეობა არ მიუღია გამოჯანმრთელებულ **რიჩი მაქოას**. სამაგიეროდ, მწყობრში იყო მგეზავი **დენ კარტერი**, თუმცა კარში დარტყმის ფუნქცია ფულბეკმა **ტომ ტეილორმა** ითავა. მან სამი საჯარიმო და ორი გარდასახვა გაიტანა (13 ქულა).

### XIV ტური

ჰარიკენზი-ჩიფსი 12:17, კრუსეიდერზი-ბლუზი 23:3

### სატურნირო მდგომარეობა

1. ჩიფსი - 48 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 42, 3. ბლუზი - 41, 4. ჰარიკენზი - 34, 5. ჰაილენდერზი - 16.

### XV ტური

ჩიფისი-კრუსეიდერზი, ბლუზი-ბრამბიზი

## სამხრეთი აფრიკა

სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში, როგორც უკვე ვთქვით, ორივე ლიდერმა გაიმარჯვა. ამ ქვეყნის რაგბის ფლაგმანმა, პრეტორიის „ბლუ ბულზმა" შინ მიიღო ახალი ზელანდიის კონფერენციის აუტსაიდერი დანიდინის „ჰაილენდერზი" და 35:18 დაამარცხა. მასპინძლები 72-ე წუთამდე 24 ქულის სხვაობით იგებდნენ. დანიდინელები დასკვნით რვა წუთში გააქტიურდნენ, თუმცა ანგარიშის მხოლოდ 17 ქულამდე შემცირება შეძლეს. „ლურჯი ხარების" მგეზავმა **მორნი სტეინმა** სამი საჯარიმო და ამდენივე გარდასახვა გაიტანა (15 ქულა).

პრეტორიელებს კვალში უდგას ბლუმფონტეინის „ჩიტაზი", რომელმაც შინ დაამარცხა ავსტრალიის კონფერენციის მეორეადგილოსანი ბრისბენის „რედსი" - 27:13. „წითლებს" ორი ლელო მასპინძელთა ცხრა ნომერმა **პეტრუს ერასმუს ფან ზილმა** გაუტანა. მასპინძლების უპირატესობა მთელი თამაშის განმავლობაში საგრძნობი იყო. ისინი მეტოქეს 77-ე წუთამდე 21 ქულის სხვაობით უგებდნენ. ბრისბენელებმა ერთი საპასუხო ლელოს გატანა თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე მოახერხეს.

### XIV ტური

ბლუ ბულზი-ჰაილენდერზი 35:18, ჩიტაზი-რედსი 27:13

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბლუ ბულზი - 46, 2. ჩიტაზი - 40, 3. ნატალ შარქსი - 33, 4. სტორმერზი - 30, 5. საუთერნ კინგზი - 24.

### XV ტური

საუთერნ კინგზი-ჩიტაზი, სტორმერზი-რედსი, ნატალ შარქსი-ბლუ ბულზი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

● ჩოგბურთი. რეიტინგები


რაფაელ ნადალი

# დიდი ოთხეული ისევ გაერთიანდა

რომისმასტერსის მოგების შემდეგ, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** დაიბრუნა ადგილი ტოპ-ოთხეულში.

ფინალურ მატჩში ნადალმა ორი სეტში დაამარცხა შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** - 6:1, 6:3, რამაც მას თანამემამულე **დავიდ ფერერის** გასწრების საშუალება მისცა - რაფა მეოთხე ადგილზე გადავიდა, ფერერი კი, შესაბამისად, მეხუთეზე ჩამოქვეითდა. სხვათა შორის, ეს ჩოგბურთელები რომში მეოთხედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ნადალმა ორ სეტში გაიმარჯვა.

ATP-ის რეიტინგის ტოპ-ათეულში სხვა ცვლილება არ მომხდარა.

■ ■ ■

სამაგიეროდ, რამდენიმე ცვლილება მოხდა WTA-ის პირველ ათეულში. **სარა ერანიმ** შეავიწროვა **ნა ლი** და მეხუთე ნომერი გახდა, **პეტრა კვიტოვამ ანჟელიკ კერბერი** ჩამოაქვეითა მეშვიდე ადგილიდან, **სამანტა სტოსურმა** კი მეცხრე ადგილი დაიბრუნა.

| ATP | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 12 310 |
| 2(2). ენდი მიურეი (ბრიტ) | 8 670 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 8 000 |
| 4(5). რაფაელ ნადალი (ესპ) | 6 895 |
| 5(4). დავიდ ფერერი (ესპ) | 6 740 |
| 6(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 700 |
| 7(7). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4 320 |
| 8(8). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 795 |
| 9(9). რიშარ გასკე (საფ) | 3 090 |
| 10(11). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 2 640 |
| 11(10). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 2 630 |
| 12(13). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 570 |
| 13(12). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 490 |
| 14(14). ტომი ჰაასი (გერ) | 2 340 |
| 15(15). კეი ნიშიკორი (იაპ) | 2 315 |
| 16(16). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 225 |
| 17(17). ჟილ სიმონი (საფ) | 1 940 |
| 18(22). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 1 750 |
| 19(18). ხუან მონაკო (არგ) | 1 750 |
| 20(19). სემ კუერი (აშშ) | 1 730 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 11 620 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 10 015 |
| 3(3). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 9 005 |
| 4(4). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 6 475 |
| 5(6). სარა ერანი (იტა) | 5 835 |
| 6(5). ნა ლი (ჩინ) | 5 335 |
| 7(8). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 5 175 |
| 8(7). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 5 135 |
| 9(10). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 3 645 |
| 10(9). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 3 625 |
| 11(11). ნადია პეტროვა (რუს) | 3 065 |
| 12(12). მარია კირილენკო (რუს) | 3 036 |
| 13(14). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2 845 |
| 14(13). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 800 |
| 15(15). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 785 |
| 16(16). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 590 |
| 17(17). სლოან სტივენსი (აშშ) | 2 540 |
| 18(18). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2 500 |
| 19(19). ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 2 010 |
| 20(22). კარლა სუარეს ნავარო (ესპ) | 1 975 |

| ATP. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 4 032 877 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 3 739 437 |
| 3. ენდი მიურეი (ბრიტ) | 2 360 521 |
| 4. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 495 019 |
| 5. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1 291 932 |
| 6. ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 1 197 205 |
| 7. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 138 425 |
| 8. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 910 439 |
| 9. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 855 892 |
| 10. რიშარ გასკე (საფ) | 842 311 |
| 11. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 801 743 |
| 12. ბობ ბრაიანი (აშშ) | 721 286 |
| 12. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 721 286 |
| 14. კეი ნიშიკორი (იაპ) | 687 724 |
| 15. ჟილ სიმონი (საფ) | 590 748 |
| 16. ტომი ჰაასი (გერ) | 573 110 |
| 17. ჟულიან ბენეტო (საფ) | 548 397 |
| 18. მილოშ რაონიჩი (კან) | 534 908 |
| 19. ჟერემი შარდი (საფ) | 508 975 |
| 20. ფაბიო ფონინი (იტა) | 507 194 |

| WTA. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 3 247 084 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 2 751 481 |
| 3. მარია შარაპოვა (რუს) | 2 537 411 |
| 4. ნა ლი (ჩინ) | 1 560 897 |
| 5. სარა ერანი (იტა) | 1 367 457 |
| 6. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 889 241 |
| 7. რობერტა ვინჩი (იტა) | 849 396 |
| 8. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 815 802 |
| 9. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 798 908 |
| 10. სლოან სტივენსი (აშშ) | 665 112 |
| 11. ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 643 234 |
| 12. ანჟელიკ კერბერი (გერ) | 638 670 |
| 13. მარია კირილენკო (რუს) | 528 737 |
| 14. ნადია პეტროვა (რუს) | 513 021 |
| 15. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 505 389 |
| 16. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 479 215 |
| 17. ელენა ვესნინა (რუს) | 478 829 |
| 18. ანა ივანოვიჩი (სერ) | 474 674 |
| 19. ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 465 818 |
| 20. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 396 411 |

# ყველაზე ახალგაზრდა 20-მილიონიანი

ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** მეათე ჩოგბურთელი გახდა ისტორიაში, ვინც კარიერის განმავლობაში 20 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, - იუწყება WTA-ის ოფიციალური ვებგვერდი. გარდა ამისა, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ყველაზე ახალგაზრდაა (23 წლის), ვინც ამ ზღვარს მიაღწია.

| კარიერის საპრიზოები | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (26) | 44 549 390 |
| 2. ვენუს უილიამსი (28) | 28 674 658 |
| 3. მარია შარაპოვა (25) | 25 689 934 |
| 4. კიმ კლაისტერსი (27) | 24 442 340 |
| 5. ლინდსი დავენპორტი (29) | 22 166 338 |
| 6. შტეფი გრაფი (26) | 21 895 277 |
| 7. მარტინა ნავრატილოვი (38) | 21 626 089 |
| 8. ჟუსტინ ანენი (27) | 20 863 335 |
| 9. მარტინა ჰინგისი (26) | 20 130 657 |
| 10. ვიქტორია აზარენკა (23) | 20 104 361 |

შენიშვნა: ფრჩხილებში მითითებულია ასაკი, როცა ჩოგბურთელმა 20-მილიონიან ზღვარს მიაღწია.


ვიქტორია აზარენკა

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# სპურსმა გასეირნებით დაიწყო

ძალიან უცნაური სტატისტიკა ჰქონდა "სან ანტონიოს" კონფერენციის ფინალის პირველ შეხვედრაში. მასპინძლების "მაღლების" კვარტეტმა (**ტიმ დანკანი, ტიაგო სპლიტერი, დეჟუან ბლერი და ბორის დიაო**) ერთად მხოლოდ 15 ქულა და 13 მოხსნა დააგროვა, რაც ნებისმიერ სხვა მატჩში **გრეგ პოპოვიჩის** გუნდის კრახს გამოიწვევდა, მაგრამ სერიის პირველ მატჩში გამონაკლისი აღმოჩნდა. უბრალოდ, ამ მატჩში გაილაღეს "სპურსის" სნაიპერებმა, წინა ხაზმა კი გაქანება არ მისცა "მემფისის" "მაღლებს" – **მარკ გასოლსა და ზაკ რენდოლფს**. ამ უკანასკნელმა თამაშიდან მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდო (რვა ცდიდან), ისიც მატჩის დასრულებამდე ცხრაწუთნახევრით ადრე.

ის, რომ სტუმრებს რთული მატჩი ელოდათ, დებიუტშივე კარგად გამოჩნდა. პირველი 14 შეტევიდან, **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდებმა ათი ლოგიკური შედეგით დაასრულეს. აქედან ნახევარი **ტონი პარკერის** ორგანიზებული იყო, რომელიც კარგად იყენებდა მეტოქის დაცვის ხარვეზებს. მის პარტნიორებს მეოთხედის შუაში უამრავი ბურთი რომ არ აეცილებინათ, მატჩის ბედი დიდი ხნით ადრე იქნებოდა გარკვეული, თუმცა ამ უზუსტობის მიუხედავადაც, პირველ შესვენებამდე 4.35 წუთით ადრე, მასპინძლები 15 ქულას იგებდნენ. საბოლოოდ, სასტარტო მეოთხედში "სან ანტონიომ" 31 ქულა დააგროვა, არადა, მეტოქედ ლიგის საუკეთესო დაცვის მქონე გუნდი ჰყავდა.

შეხვედრას ინტრიგა მესამე მეოთხედის შუაში დაუბრუნდა, როცა **ქუინსი პონდექსტერის** მონდომებით "მემფისმა" 10:0 გაქცევა შეძლო და სხვაობა ექვს ქულამდე შემცირდა. შეიძლებოდა ეს სხვაობა სამ ქულამდეც დასულიყო, პოპოვიჩის ტაიმ-აუტის შემდეგ, **ბეილესს** სამქულიანი რომ ჩაეგდო, მაგრამ ააცილა და მალე "სპურსი" ისევ საწყის პოზიციას დაუბრუნდა, როცა 11:1 გაქცევა მოაწყო. ხოლო, როცა მეოთხე მეოთხედის სტარტზე **კავაი ლეონარდმა** გაიბრწყინა (10 ქულა ჩააგდო), საქმე მომთავრებული იყო. ამას გუნდების მწვრთნელებიც მიხვდნენ, რომლებმაც საფინალო სირენამდე დაახლოებით ხუთი წუთით ადრე სათადარიგოთა სკამზე დასვეს ლიდერები.

საბოლოოდ, "სან ანტონიომ" 22 ქულის სხვაობით მოიგო. ცნობისთვის, 22-დან 19 შემთხვევაში, გრეგ პოპოვიჩის "სპურსი" იგებდა სერიას პირველ მატჩში გამარჯვების შემდეგ.

**სან ანტონიო–მემფისი 105:83**

31:14, 20:23, 22:20, 32:26

ს-ა: პარკერი (20+9 პასი), ლეონარდი (18), გრინი (16+3 პასი), ბონერი (12), ნოა (11), დანკანი (6+10 მოხსნა+4 პასი).

მ: პონდექსტერი (17), გასოლი (15+7 მოხსნა), კონლი (14+8 პასი).

**სერია:** 1-0


დიდი ბრძოლა სამწამიანში


დუაიტ ჰოვარდი

# კობიმ წასვლა უარყო

## დუაიტ ჰოვარდი კი ახალ კლუბს ეძებს

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** უარყო გასულ უქმეებზე გავრცელებული ჭორი იმის თაობაზე, რომ აქტიური კარიერის დასრულებას აპირებს.

გასულ კვირას, ტრავმირებულმა კობიმ Facebook-ის საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ კვირას მნიშვნელოვანი განცხადების გაკეთებას აპირებდა. სწორედ ამის შემდეგ ატყდა აჟიოტაჟი იმასთან დაკავშირებით, თითქოს ბრაიანტმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

*"სერიოზულად? მე ვასრულებ კარიერას? ეს მალე მოხდება, მაგრამ არა ახლა: მე კიდევ მაქვს რაღაც-რაღაცეებზე სამუშაო"*, - დაწერა ბრაიანტმა საკუთარ "ტვიტერზე".

როგორც გაირკვა, "მნიშვნელოვან განცხადებაში" იგულისხმებოდა ახალი ამბავი კალათბურთელის საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობის შესახებ. ამით კობი უსახლკარო ბავშვებს დაეხმარება.

■ ■ ■

ამასობაში, "ლეიკერსის" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** ჯერ ვერ ჩამოყალიბდა მომავალ კარიერასთან დაკავშირებით და თავისუფალი აგენტების ბაზარზე ყველა შესაძლო ვარიანტის განხილვას გეგმავს. შეგახსენებთ, რომ ივლისში "სუპერმენი" შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტი გახდება.

27 წლის ცენტრი ამ სეზონში "ლეიკერსის" ღირსებას იცავდა და ამ გუნდთან კონტრაქტის გაგრძელება ჯერ გადაწყვეტილი ამბავი არ არის. კალიფორნიულმა კლუბმა, შესაძლოა, მაქსიმალური კონტრაქტი შესთავაზოს ცენტრს – 110 მილიონი დოლარი ხუთწლიანი ხელშეკრულების სანაცვლოდ.

ჰოვარდით დაინტერესებული გუნდებიდან ყველაზე ხშირად "ჰიუსტონსა" და "დალასს" ასახელებენ.

● ამბები

**კალათბურთი**

### მუქარა იარაღით

"ბოსტონ სელტიქსის" მცველი **ტერენს უილიამსი** პოლიციიამ დააკავა ცეცხლსასროლი იარაღით მუქარის გამო, - წერს ამერიკული პრესა.

მსხვერპლი ამტკიცებს, რომ კალათბურთელი, რომელიც მისი 10 წლის ვაჟის მამა გახლავთ, დაგეგმილ შეხვედრაზე მივიდა შვილის მოსანახულებლად. ქალის თქმით, მასსა და უილიამსს შორის ჩხუბი მოხდა, რომლის დროსაც მოთამაშე პისტოლეტით ემუქრებოდა თავისი ვაჟის დედას.

კალათბურთელმა დატოვა ინციდენტის ადგილი, თუმცა, მოგვიანებით, ის პოლიციამ დააკავა.

### სმიტი ნიქსს არ დატოვებს

გასულ უქმეებზე კიდევ ერთი ჭორი გავრცელდა – თითქოს "ნიუ იორკ ნიქსის" მცველს, წლევანდელი სეზონის საუკეთესო "მეექვსე მოთამაშეს" **ჯეი არ სმიტს** არ სურს ნიუიორკულ კლუბში კარიერის გაგრძელება და ზაფხულში სხვა გუნდში გადასვლას აპირებს.

მაგრამ, ჟურნალისტთან საუბარში სმიტმა განაცხადა, რომ სწორედ "ნიქსში" უნდა თამაშის გაგრძელება.

*"მინდა კარიერა "ნიუ იორკში" დავასრულო. "ნიქსის" გარდა, სხვა გუნდში თამაშის სურვილი არ გამაჩნია"*, - განაცხადა კალათბურთელმა.

27 წლის სმიტი "ნიუ იორკის" რიგებში მეორე სეზონს ატარებს. წლევანდელ პლეი ოფში ის საშუალოდ მატჩში 14.3 ქულასა და 4.7 მოხსნას აგროვებს.

**ფორმულა 1**

### გუნდები ბერნის მხარეს არიან

ფორმულა 1-ის გუნდების მფლობელებმა კენჭისყრა ჩაატარეს და თანადგომა გამოუცხადეს „დიდი რბოლების" მთავარ პრომოუტერს **ბერნი ექლსტოუნს**. კენჭისყრის შედეგების მიხედვით, მათ არ სურთ, რომ ბრიტანელ მილიარდერს დაკავებული თანამდებობა დაატოვებინონ.

შეგახსენებთ, რომ 82 წლის ექლსტოუნი მომავალი ზუნდოვანია მას შემდეგ, რაც გერმანიის პროკურატურამ ის კორუფციაში დაადანაშაულა და სისხლის სამართლის საქმე აღძრა. გამოძიებას მიაჩნია, რომ ბერნიმ 44 მილიონი დოლარის ოდენობის ქრთამი გადაიხადა ფორმულა 1-ზე კომერციული უფლებების შეძენისას.

**ჰოკეი**

### საგაისოდ ჯგუფები დააკომპლექტეს

მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ 2014 წლის პირველობისთვის ჯგუფების შემადგენლობები შეადგინა. ქვეჯგუფები ფედერაციის ახალი რეიტინგის მიხედვით დაკომპლექტდა:

**A ჯგუფი:** შვედეთი (1), ჩეხეთი (4), კანადა (5), სლოვაკეთი (8), ნორვეგია (9), დანია (12), საფრანგეთი (13), იტალია (18);

**B ჯგუფი:** ფინეთი (2), რუსეთი (3), აშშ (6), შვეიცარია (7), გერმანია (10), ლატვია (11), ბელარუსი (14), ყაზახეთი (16).

2014 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატამდე გაიმართება სოჭის ოლიმპიადა, სადაც ჯგუფების შემადგენლობები თებერვალში დაკომპლექტდა მაშინდელი რეიტინგის თანახმად:

**A ჯგუფი:** რუსეთი (1), სლოვაკეთი (6), აშშ (7), სლოვენია (18);

**B ჯგუფი:** ფინეთი (2), კანადა (5), ნორვეგია (8), ავსტრია (15);

**C ჯგუფი:** ჩეხეთი (3), შვედეთი (4), შვეიცარია (9), ლატვია (11).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# სასწაული ოტავაში

გუშინ, ჰოკეის ეროვნული ლიგის პლეი ოფში ორი მატჩი გაიმართა – "ბოსტონი" დამაჯერებლად გაუსწორდა "რეინჯერსს" მეორე შეხვედრაში, "ოტავას" გოლკიპერმა **კრეიგ ანდერსონმა** კი მოახერხა **სიდნი კროსბის** "პიტსბურგის" შეჩერება.

"ბოსტონმა" მეორე საშინაო შეხვედრაშიც შეძლო "რეინჯერების" დამარცხება, თუმცა, თავიდან, სტუმრებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს. "დათვები" ორჯერ გავიდნენ წინ და სტუმრებმა ორივეჯერ მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. ანგარიში "ბოსტონის" 22 წლის მცველმა **კრუგმა** გახსნა. წლევანდელ სტენლის თასამდე, ამ ახალგაზრდას NHL-ში მხოლოდ სამი მატჩი ჰქონდა ჩატარებული, პლეი ოფში კი ამ სერიის წინა შეხვედრაში შედგა მისი დებიუტი, რომელშიც გოლი გაიტანა. გუშინ კი ის უფრო შორს წავიდა – ჯერ ძალიან ეფექტური გოლი შეაგდო (ფეხებს შუა გაიტარა შაიბა და ზუსტად დაარტყა ახლო კუთხეში), შემდეგ კი ერთი საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში. ასე რომ, კრუგს ორ მატჩში 3 ქულა (2+1) დაუგროვდა.

მას შემდეგ, რაც მეორე პერიოდის მეოთხე წუთზე **რიკ ნეშმა** მეორედ გაათანაბრა ანგარიში, დარჩენილ დროში გოლებს მხოლოდ მასპინძლები იტანდნენ. ეს "ბრუინზის" მეკარის **ტუუკა რასკის** კარგი თამაშის დამსახურებაა, აგრეთვე "ნიუ იორკის" დაცვამაც "ისახელა" თავი. "რეინჯერსის" დაცვა ძალიან იოლად აძლევდა დარტყმის საშუალებას "დათვებს" – ბოლო სამი შაიბიდან ორი ბოსტონელებმა ორი-სამ მეტრიდან გაიტანეს. საინტერესოა, რომ "რეინჯერსის" დაცვის ლიდერი **ჟირარდი**, რომელმაც წინა სერიაში შავი დღე აყარა **ოვეჩკინსა** და კომპანიას, "ბოსტონის" ხუთივე გოლის დროს მოედანზე იმყოფებოდა.

კვლავ იჩინა თავი "რეინჯერსის" სენმა – ნიუიორკელებმა ისევ ვერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა (ხუთიდან ნული გუშინდელ მატჩში და 36-დან ორი პლეი ოფში).

■ ■ ■

„ოტავამ“ პატარა სასწაული ჩაიდინა და ინტრიგა დაუბრუნა „პიტსბურგთან“ სერიას, რომელსაც პირველი ორი მატჩის შემდეგ 0:2-ს აგებდა.

29 წამი არ ეყო „პინგვინებს“ იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა ძირითად დროში ერთშაიბიანი უპირატესობა და მესამე გამარჯვება გაეფორმებინა. ბოლო წუთზე „ოტავა“ რიცხობრივ უმცირესობაში იყო დარჩენილი, ამიტომაც შემადგენლობების გასათანაბრებლად, მეკარე მოხსნა და მის ნაცვლად წინა ხაზის მოთამაშე გაიყვანა ყინულზე. ამ სვლამ გაამართლა და ვეტერანმა **დანიელ ალფრედსონმა** მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. პირველ დამატებით დროში „პიტბურგი“ უფრო ახლოს იყო მიზანთან, როცა **პასკალ დუპუიმ** ძელს გაარტყა შაიბა, მეორე ოვერტაიმში კი „ოტავას“ გაუმართლა, როცა ახლო მანძილიდან **გრინინგმა** გაიტანა - 3:2.

„სენატორზის“ რიგებში კვლავაც შეუდარებელი იყო კრეიგ ანდერსონი, რომელმაც 49 დარტყმა მოიგერია და დღის პირველი ვარსკვლავი გახდა.

**ბოსტონი-რეინჯერსი 5:2**

1:1, 2:1, 2:0

გოლები: 1:0 კრუგი-2 (ჰორტონი-5, კრეიჩი-10), 1:1 კელეჰანი-2, 2:1 გ. კემპბელი-1 (კრუგი-1, მაკუეიდი-1), 2:2 რიკ ნეში-1 (ზუკარელო-5, ჟირარდი-2), 3:2 ბოიჩაკი-3 (მარჩანდი-5, ბერჟერონი-3), 4:2 მარჩანდი-2 (ბერჟერონი-4, ბარტკოვსკი-1), 5:2 ლუჩიჩი-3 (კრეიჩი-11, დ. ჰემილტონი-2).

**სერია:** 2-0

**ოტავა-პიტსბურგი 2:1 (2ო)**

0:0, 0:1, 1:0, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 ტაილერ კენედი-2 (კუკი-1), 1:1 ალფრედსონი-3 (მ. მიხალეკი-2, გონჩარი-6), 2:1 გრინინგი-3 (ბენუა-2, კონდრა-6).

**სერია:** 1-2




უტევს ოტავა

კრივი

# დოპინგის გამო დავობენ

სუპერმძიმე წონაში სამი ვერსიის მსოფლიოს ჩემპიონის, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკოს** მენეჯერი **ბერნდ ბენტე** აცხადებს, რომ ბრძოლა რუს **ალექსანდრ პოვეტკინთან** მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმართება, თუ დოპინგკონტროლს ჩაატარებს ეროვნული ანტისადოპინგო სააგენტო (NADA). ამ ორგანიზაციის ბაზა გერმანიაში მდებარეობს.



ვლადიმერ კლიჩკო

ბენტემ აღნიშნა, რომ კლიჩკო მყარად დგას თავის პოზიციაზე და მზად არის უარი თქვას შეხვედრაზე, თუ მისი პირობები დაკმაყოფილებული არ იქნება.

თავის მხრივ, პოვეტკინის გუნდი ჯიუტად იმეორებს, რომ დოპინგ-სინჯები რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტომ (RUSADA) უნდა აიღოს. პოვეტკინის მენეჯერის **ვლადიმერ ხრიუნოვის** თქმით, უკიდურეს შემთხვევაში დათანხმდება კომპრომისულ ვარიანტს: NADA აიღებს ორივე მოკრივისგან სინჯს, მაგრამ იგივეს გააკეთებს RUSADA-ც.

კლიჩკოსა და პოვეტკინის ბრძოლა 5 ოქტომბერს, მოსკოვში გაიმართება.

23 აპრილს, ვლადიმერ ხრიუნოვმა 23 მილიონ დოლარად მოიგო ვაჭრობა ამ ბრძოლის ორგანიზებაზე. შეხვედრის ჰონორარი განაწილდება სისტემით - „75 25-ზე“ უკრაინელის სასარგებლოდ. ასე რომ, კლიჩკო მიიღებს დაახლოებით 17 მილიონ დოლარს, პოვეტკინი - ხუთ მილიონზე ოდნავ მეტს.

შეგახსენებთ, რომ რუსი ფლობს WBA-ის ვერსიით „ჩვეულებრივი“ ჩემპიონის ტიტულს, კლიჩკო კი WBA-ის სუპერჩემპიონია, გარდა ამისა, უკრაინელს ეკუთვნის საჩემპიონო ქამრები WBO-სა და IBF-ის ვერსიებით.

მაისში ორივე მოკრივემ წარმატებით დაიცვა თავისი ტიტულები. 4 მაისს, კლიჩკომ იტალიელი **ფრანჩესკო პიანეტა** დაამარცხა, 17 მაისს კი პოვეტკინმა პოლონელ **ანჯეი ვავჟიკს** სძლია. ორივე შემთხვევაში ტექნიკური ნოკაუტი დაფიქსირდა.

ველოსპორტი

# ორი სახელოვანი წავიდა

გუშინ, ერთბაშად ორმა ცნობილმა ველომრბოლმა მიიღო კარიერის დასრულების გადაწყვეტილება.

დიდ სპორტს გამოეთხოვა 39 წლის ამერიკელი **ლივაი ლაიფაიმერი**, რომელმაც გასული წლის შემოდგომაზე, **ლენს არმსტრონგის** გახმაურებულ საქმეზე მოწმის სტატუსით დაკითხვისას აღიარა, რომ თავადაც იყენებდა აკრძალულ პრეპარატს. ამის გამო, ველომრბოლმა ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოსგან 6-თვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

ამ სასჯელს ვადა მარტში გაუვიდა, მაგრამ ლაიფაიმერმა თავისთვის გუნდის პოვნა ვერ შეძლო და კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

ლივაი ლაიფაიმერი ხუთი წლის განმავლობაში გამოდიოდა ერთ გუნდში ლენს არმსტრონგთან ერთად და მუდმივად მის ჩრდილში იმყოფებოდა პრესტიჟულ ველორბოლებში.

■ ■ ■

ასევე გუშინ, ოფიციალურად გამოაცხადა დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ რუსმა **დენის მენშოვმა**.

ამ ველომრბოლმა ვერ შეძლო სეზონის საგაზაფხულო ნაწილის გაგრძელება მუხლის ტრავმის გამო - ამიტომაც მიიღო კიდევ ეს გადაწყვეტილება.

კარიერის განმავლობაში, მენშოვს რამდენიმე დიდი გამარჯვება აქვს მოპოვებული, მათ შორის, სამჯერ მოიგო გრანდტური: ორჯერ „ვუელტა“ (2005, 2007) და ერთხელ „ჯირო დ'იტალია“ (2009).

*„ჯიროზე“ გამარჯვება - ყველაზე დიდი მიღწევაა ჩემს კარიერაში, - განაცხადა მენშოვმა. - მაგრამ ამჯერად ვერ შევძელი ამ ველორბოლაში სტარტის აღება. სწორედ ეს იყო ამ სეზონში ჩემი მთავარი მიზანი და მივხვდი, რომ კარიერის დასრულების დრო დადგა.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ლივაი ლაიფაიმერი

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ესპანეთი** | |
| მალიორკა-ბეტისი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| გვადალახარა-მურსია | 3:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| გოსლარერი-კლოპენბურგი | 4:2 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-რანდერსი | 2:2 |
| ჰორსენსი-ბრონდბიუ | 0:1 |
| კოპენჰაგენი-სონდერიისკი | 1:1 |
| მიდტიულანდი-აგფ ორჰუსი | 3:2 |
| ნორდსილანდი-ესბერგი | 1:0 |
| ოდენსე-სილკებორგი | 3:3 |
| **II დივიზიონი** | |
| აკადემისკი-ლუნგბიუ | 4:2 |
| ბრონსჰოი-ფრედერისია | 2:2 |
| ჰიორინგი-ვესტსიელანდი | 0:0 |
| ჰობრო-სკივე | 3:4 |
| ვეილე-კიოგე | 2:0 |
| **ნორვეგია** | |
| სტარტი-სტრიომსგოდსეტი | 0:6 |
| ოლესუნდი-ოდ გრენლანდი | 2:0 |
| ჰაუგესუნდი-სიოგნდალი | 0:1 |
| ჰიონეფოსი-ლილესტრიომი | 1:0 |
| რუსენბორგი-მიოლდე | 0:0 |
| ტრომსიო-ბრანი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| სტაბეკი-ულ კისა | 1:0 |
| ფოლო-ელვერუმი | 3:1 |
| ჰამ კამი-ბოდო გლიმტი | 0:0 |
| კონგსვინგერი-რანჰაიმი | 2:3 |
| მიონდალენი-ბრინი | 0:3 |
| სანდეფიორდი-ვარდ ჰაუგესუნდი | 3:1 |
| სტრომენი-ფრედრიკსტადი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამარბიუ-ლანდსკრონა | 1:0 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პკ 35-ოპს | 2:3 |
| **ფინეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ჰაკა-კუიპიო | 1:1 დ.დ. 1:2 |
| ჰონკა-მარიეჰამნი | 1:2 |
| ჯაზ პორი-როვანიემი | 0:3 |
| ვაასა-იუვიასკიულა | 0:2 |
| **შვეიცარიის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ბაზელი-გრასჰოპერსი | 1:1 პენ. 3:4 |
| **ისლანდია** | |
| ვესტმანაიეარი-რეიკიავიკი | 0:2 |
| ტორი-ვიკინგური | 1:0 |
| კეფლავიკი-ფილკირი | 2:2 |
| **ჩეხეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვიქტორია-ბოჰემიანსი | 2:0 |
| **რუსეთი** | |
| ანჟი-ლოკომოტივი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| პეტროტრესტი-როტორი | 0:3 |
| სალუტი-ტომი | 1:1 |
| ვოლგარი-სიბირი | 0:1 |
| ტორპედო-ხიმკი | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| ვიძევი-ლეჩია | 1:2 |
| **რუმინეთი** | |
| გლორია-ტურნუ | 0:0 |
| რაპიდი-უნივერსიტატეა | 1:4 |
| იაში-გაზ მეთანი | 0:2 |
| **ლატვია** | |
| სპარტაკსი-იეგლავა | 4:2 |
| **ესტონეთი** | |
| ინფონეტი-ლევადია | 0:1 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (თ-ა)-ბნეი იეჰუდა | 0:3 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-ნანტი | 81:84 |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-მილანი | 72:66 |
| **თურქეთი** | |
| კოლეილილერი-ეფესი | 79:96 |
| ბეშიქთაში-ბანვითი | 74:81 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. დიუსელდორფი** | |
| სოედა-გემი | 4:6, 0:6 |
| ნიემინენი-ლაჩკო | 6:3, 6:1 |
| ბაუტისტა აგუტი-მიულერი | 2:6, 6:4, 6:2 |
| კამკე-ბეკერი | 6:3, 6:2 |
| პეია-კუბოტი | 6:4, 4:6, 6:4 |
| **ATP. ნიცა** | |
| ბერლოკი-ლ. მაიერი | 6:2, 6:1 |
| მატოშევიჩი-ჰაასე | 1:6, 4:6 |
| სეპი-ლუ | 5:7, 6:1, 4:6 |
| ჰიუიტი-ანდუხარი | 3:6, 6:4, 3:6 |
| ჰანესკუ-რამოსი | 6:3, 5:7, 6:4 |
| **WTA. ბრიუსელი** | |
| გოვორცოვა-რუსი | 6:2, 7:5 |
| ჩეპელოვა-ცურენკო | 5:7, 6:3, 7:5 |
| ლეპჩენკო-იოვანოვსკი | 6:2, 6:7, 6:4 |
| ბალტაჩა-ფოგელი | 7:6, 7:5 |

TV პროგრამა

**21 მაისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXIV ტურის მიმოხილვა.
11:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ფრაიბურგი-შალკე.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. დორტმუნდი-აიაქსი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ჩელსი-ევერტონი.
21:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. მიმოხილვა.
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ლილი-ბაიერნი.
00:45 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ნიუკასლი-არსენალი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. კილმესი-ნიუელსი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ჩიკაგო. V მატჩი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჩემპიონის გზა. შარქსი-ტულონი.
19:00 ყველაზე სწრაფები.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჩემპიონის გზა. ბარსელონა-ოლიმპიაკოსი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ინდიანა-ნიუ იორკი. VI მატჩი.
01:00 NBA ACTION.
05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-მემფისი. II მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". მე-3 ადგილისთვის. ცსკა-ბარსელონა.
15:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. სარასენი-ალსტერი.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ოკლაჰომა.
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 13 | 25 | (მზე) |
| ქუთაისი | 18 | 30 | (მზე) |
| ბათუმი | 18 | 25 | (მზე) |
| ფოთი | 18 | 28 | (მზე) |
| ზუგდიდი | 16 | 30 | (მზე) |
| გორი | 13 | 26 | (მზე) |
| თელავი | 12 | 23 | (მზე) |
| სიღნაღი | 11 | 22 | (მზე) |
| ბაკურიანი | 5 | 21 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 10 | 25 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 9 | 23 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1026 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6354 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4850 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2182 |

● ნიჭიერი

# დანგრეული მეინ როუდი და საქართველოს ნაკრები

« მე-2 გვერდიდან

- ყველა თამაშის ნახვის საშუალება არ მქონია. ვუყურე ჩვენი გუნდის მატჩს ესპანეთთან და საფრანგეთთან. ესპანელებთან ჩვენებმა ღირსეულად ითამაშეს, საფრანგეთთან კი... იმის თქმა კი არ მსურს, საქართველოს ნაკრები საფრანგეთში უნდა ჩასულიყო და აუცილებლად მოეგო, უბრალოდ, შეიძლებოდა, რომ საქართველოს ნაკრებს საფრანგეთში უკეთესად ეთამაშა.

**- ამ შესარჩევში ნაკრებში აღარ ინვევდნენ ლევან კობიაშვილსა და ალექსანდრე იაშვილს. რა თქმა უნდა, უსასრულოდ ვერავინ ითამაშებს, თუმცა, როგორ ფიქრობ, მათ აღარ შეეძლოთ სარგებლობის მოტანა ეროვნული გუნდისთვის?**

- ჩემი აზრით, მათ შეეძლოთ სარგებლობის მოტანა ნაკრებისთვის, თუმცა, როცა მწვრთნელი იღებს გადაწყვეტილებას ასეთი ფეხბურთელების არგამოძახებაზე, ის წინ იხედება, პერსპექტივას ხედავს ახალგაზრდა ფეხბურთელებში.

**- ხშირად გვესმის აპელირება იმაზე, რომ საქართველოს ამ ნაკრებს არ ჰყავს მაღალი დონის ფეხბურთელები და ამიტომ ნუ ითხოვთ ჯგუფიდან გასვლას, შემტევი ფეხბურთის ჩვენებას და ასე შემდეგ. საინტერესოა, რას ფიქრობს ამ ყველაფერზე გიორგი ქინქლაძე...**

- სათამაშო პრაქტიკის შემთხვევაში ფორმაში შევა ლევან ყენია, გვყავს თორნიკე ოქრიაშვილი, ჯანო ანანიძე, დავით თარგამაძე, სანდრო კობახიძე... ეს ის ხალხია, ვისაც შეუძლია ამინდის შეცვლა. გვყავს კარგი მეკარე, დაცვაში ალექსანდრე ამისულაშვილი, ზურა ხიზანიშვილი, გურამ კაშია... საქართველოს ამ ნაკრებშიც სათითაოდ ყველა ფეხბურთელი დადებითად უნდა შეფასდეს.

**- ნაკრებში ცენტრფორვარდის პოზიციაზეც გამოჩნდა პოზიტივი...**

- გარდა იმისა, რომ მათე ვაწაძეს გოლის ალღო აქვს, კარგადაც იხსნება, უდავოდ კარგი ფეხბურთელია.

**- ქართული ფეხბურთიდან უცხოურზე გადავერთოთ. ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში გერმანული გუნდებისგან ესპანელების ასეთი დაჯაბნა ყველამ ყბად ილო. როგორ ფიქრობ, საფეხბურთო მოდა იცვლება?**

- ჩემი აზრით, საქმე ისაა, რომ უკვე კარგად აუღეს ალღო „ბარსელონას" თამაშს. ამ ყველაფერს კი წლები დასჭირდა. გერმანია, ტრადიციულად, „კარგად გაპოხილი მანქანა" იყო ფეხბურთში და ასეა დღევანდელი „ბაიერნის" შემთხვევაშიც. რაც შეეხება „დორტმუნდის" და „რეალის" დაპირისპირებას, ის ჟოზე მოურინიომ წააგო. წარუმატებლობის შემდეგ ჯოხი ყოველთვის მწვრთნელზე ტყდება, ამ შემთხვევაში მართლაც მწვრთნელის ბრალი იყო ბევრი რამ.

**- ფინალში ფავორიტად რომელი გუნდი მიგაჩნია?**

- ჩემი აზრით, ფინალს „ბაიერნი" მოიგებს, იუპ ჰაინკესის გუნდი ამ სეზონში ძალიან მაგარ ფორმაშია. მეკარე, დაცვა, ნახევარდაცვა და თავდასხმა - ამ გუნდს ნაკლი არ გააჩნია.

**- ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში საკუთარი გემოვნებით ყველაზე უფრო რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდი, რომელიც მანამდე განსაკუთრებულ ყურადღებას არ იპყრობდა მაღალ დონეზე თამაშით?**

- მარკო როისს - ის ამ სეზონს მართლაც სტაბილურად ატარებს.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი ქინქლაძემ „მანჩესტერ სიტიში" ბრწყინვალე მატჩები ჩაატარა

## CUP — BUSINESS CHAMPIONS LEAGUE 19.05.2013



NATAKHTARI - PSP

1/2 ფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | NATAKHTARI | 2 : 0 | PSP | |
| 20' | ქუცუხია | | | |
| 27' | ქუცუხია | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 0 : 4 | | |
| | | | 25' | ჩაქვიაშვილი |
| | | | 30' | ჩაქვიაშვილი |
| | | | 36' | ჭანტურია |
| | | | 40' | ბიოხაძე |

| ბომბარდირები: | | |
|---|---|---|
| ქუცუხია | NATAKHTARI | 6 |
| ჯობავა | VTB | 3 |

კვირას, 19 მაისს გაიმართა ბრინჯაოს ლიგის მე-4 ტურის ორი შეხვედრა. ბოლო ტურის წინ გამოვლინდა ორი ნახევარფინალისტი, დარჩენილი ორი კი ბოლო ტურში გაირკვევა. შესანიშნავი მატჩი დაძაბულობით და სანახაობრივად შემოგვთავაზა „ნატახტარი"-PSP-ს წყვილმა. ამ დაპირისპირების პირველ შეხვედრაში უპირატესობას პირველი წუთებიდან PSP-ს გუნდი დაეუფლა, რასაც სახიფათო მომენტები მოჰყვა ნატახტარის გუნდის კართან.

პირველი ტაიმის მეორე ნახევარში „ნატახტარმა" პრესინგს მიმართა მთელ მოედანზე, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო. PSP-ს უჭირდა ბურთის ამოტანა საკუთარი ზონიდან და ამის გამოც ხშირად კარგავდნენ ბურთს.

ნატახტარმა საბოლოო ჯამში მიაღწია ორბურთიან უპირატესობას, რაც ფინალში გასვლის გარანტიას არ იძლევა. ეს თვითონ ნატახტარის ორივე გუნდმა ოქროს და ვერცხლის ლიგების პლეი ოფებში წარმატებით დაამტკიცა.

მეორე ნახევარფინალურმა შეხვედრამ შედარებით მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. გუნდები დიდხანს ცდილობდნენ გაეკონტროლებინათ ბურთი და მეტოქის შეცდომის ხარჯზე შეექმნათ სახიფათო მომენტები. პატრულმა შედარებით წარმატებით გამოიყენა მეტოქეთა შეცდომები და ოთხი უპასუხო ბურთის ხარჯზე, მეორე შეხვედრისთვის კომფორტულ უპირატესობას მიაღწია.

## BRONZE LEAGUE

| | მონაწილე გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BARAMBO | 3 | 3 | 0 | 0 | 14-6 | 9 |
| 2 | GOODWILL | 3 | 2 | 0 | 1 | 18-5 | 6 |
| 3 | GPI HOLDING | 4 | 1 | 0 | 3 | 13-10 | 3 |
| 4 | MINISTRY of SPORT | 3 | 1 | 0 | 2 | 8-14 | 3 |
| 5 | GEO HOSPITAL | 3 | 1 | 0 | 2 | 7-16 | 3 |

| | | |
|---|---|---|
| გუდვილი GOODWILL | 12 : 1 | GEO HOSPITALS Hospitals' Network |
| ჯიპიაი | 3 : 6 | BARAMBO |

| ბომბარდირები: | | |
|---|---|---|
| ბოქერაძე | GPI HOLDING | 7 |
| მესხიშვილი | GOODWILL | 7 |
| ქავთაძე | BARAMBO | 5 |
| ჯაფარიძე | BARAMBO | 5 |

SPORT BUSINESS MANAGEMENT GEORGIA

JOMA SPORT GEORGIA

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608